

ქართული მეცნიერება

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

3

მარტი
2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მინიშვილი
პაატა ნაცვლიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ნინო ყულოშვილი
გვანცა ჯობაგა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

პოეზია

კატო ჯავახიშვილი. ლექსები	5
თამუნა არდიშვილი. ლექსები	9

მხატვრული პროზა

ჯორჯ გური. ციკინათელები აღუბლის ბაღში	12
თათია ქობალაია. უჟამო მზის პოვნისათვის	28

მწერლის არქივიდან

ესმა ონიანი. გამოუქვეყნებელი ჩანაწერები	31
--	-----------

ქართველები შინ და გარეთ

რუსუდან ენუქიძე. ორი შეხვედრა	36
როსტომ თიგიშვილი. ტურისტები საბჭოთა საქართველოდან	39

კრიტიკა

ნესტან ფიფია. „დუნე ცხოვრებაზე“ ამაღლებული პერსონაჟები ოთარ ჩხეიძის „ამაღლებაში“	44
თეიმურაზ ქურდოვანიძე. მარინა ცვეტაევას ლირიკის ბუნებისათვის	48

ახალი თარგმანები

- 59** **მორის მეტერლინკი.** დროის საზომი
(ფრანგულიდან თარგმნა **დათო აკრიანმა**)
- 63** **ფრიდრიჰ დიურენმატი.** გვიანი შემოდგომის საღამოს
(გერმანულიდან თარგმნა **ნანა გოგოლაშვილმა**)

78 რეპორტაჟი

lib.ge-სა და „როკ კლუბის“ არტ სადამოეები

79 ნიგნები

„ინტელექტი“ გთავაზობთ
„არტანუჯი“ გთავაზობთ

პოეზია

კატო ჯავახიშვილი

ნაქერალა

ვთენდები ახლა.
 შენ ჰაერით გრძნობ ჩემს შემოსვლას.
 მხრებიდან ქვევით. ნანილ-ნანილ.
 კიდიტ-კიდეშდე.
 ჩურჩული მახლავს,
 როგორც იმ ქარს, თავის სამოსელს
 დათოვლილ ტოტებს რომ ატოვებს თოვლის საკიდზე.
 ვმალდები უკვე.
 ნამცეც-ნამცეც გეყრები ჭირხლად.
 იქ, სადღაც შორს კი, ნაქერალას ათოვს უჩემოდ.
 მე ერთხელ მოგვკვდი
 და მეორედ სიკვდილი მიჭირს,
 ამიტომ წასვლას თუ გადავწყვეტ, არ შემაჩერო.
 სველ თითებს ვგრძნობდი
 ნუხელ ისევ, დათოვლილ მთების.
 შაორზე შარვალაკეცილი იდგა ზამთარი.
 მახსოვს ის ქოხი.
 მოგონილი. ჩემი და შენი.
 სხეულზე სიტყვად გაჩენილი კედლის ბზარებით.
 თენდება სადღაც
 და ხანდახან ნაბიჯის ხმაზე
 კრთებიან ძილში, შორიახლოს ალბათ ნაძვები.
 ხომ არის რაღაც, რასაც ხშირად სახელს არ ვარქმევთ,
 ვიგონებთ დროს და დროსთან ერთად ჩვენც ვიკარგებით.
 ვთენდები ისევ.
 შენ შაორის დგახარ ნაპირთან.
 ვეშვები ქვევით. ნანილ-ნანილ.
 ვფონავ ქაღალდზე
 და ქოხში გიშვებ,
 სადღაც ერთად ჩვენ არ ვყოფილვართ,
 რომ ცხელი სუნთქვა გაგატანო ნაქერალამდე.



ოქტავა

ნაბიჯი ჩვენ შორის. აცდენა ერთ ტონში. ოქტავა.
 შენ უფრო ქვევით ხარ. მე შენკენ დამხარეს ნოტებმა.
 გაცნობის სურვილი. სირბილი გამიდან გამამდე.
 სუნთქვა და სტოკატო. სუნთქვა და ფიქრების სონეტი.

ფოტო ლიკა ტაბუცაძისა



სეზონი საჩემო. წვეთების წკაპუნი. მაჟორულ
ლამეს ფილაქანზე უწყვია შიშველი ტერფები.
სექტემბრის გემბანი. ყვითელი ფოთლები. დე-ჟა-ვიუ.
კლავიში. ადგილი, შენთან საიდუმლოდ შეხვედრის.
ბიუსტი მეტრონომს ჩუმად იმეორებს. რიტმულად.
ბემოლზე ტუჩების თანხვედრა. ეს ვითომ შემთხვევით.
ჩახსნილი მკერდიდან მთვარე წვიმის წვეთებს ინჟურავს.
თვალეების დუეტი. ადგილის მონიშვნა. შე-ხე-ბა...
სექტემბრის გემბანი. ყვითელი ფოთლები სინქრონულ
კადრებად ლაგდება. ჩემი პიანო და... სტოპკადრი.
სუნთქვითი პაუზა. პედალი. მუხრუჭის არ ქონა.
ნაბიჯი ჩვენ შორის. აცდენა ერთ ტონში. ოქტავის.

ამ ქალაქს

ამ ქალაქს, როგორც ნოსტალგიამოძებულ ღამის
ასფალტზე წრიალს, მტკვრის სარკეში სრულიად მკვეთრად
გამოხატული ნაოჭები უეცრად დაღლის
და მერე რალაც შეირხევა მარცხნივ და მკერდთან.
სიმძიმის გრძნობას შეაჩერებ მიჭერით ხელის
ფილტვისკენ, სადღაც ზღვის გადაღმა ჩაგდებულ ბადეს
უცებ თუ მიხვდი, არ ამოჰყვა არცერთი თევზი
და რუხი ფონი სასიკვდილო ელფერად გადევს
სახეზე, თუნდაც აღარ ღირდეს დარჩენა მაშინ,
თუნდაც ამ მიწას სიცხისაგან აწვავდე ტუჩებს
და იდგე ცისქვეშ და იცოდე ქოლგას ვერ გაშლი
და შენთან ერთად ნატყვიარი აწვიმდეთ ქუჩებს,
რომლებსაც ისე ვერ ეშვები დარჩენით თითქოს
ინყები ისე, როგორც უკვე დამთავრდი გუშინ
და წლების ნაცვლად ამ კედლების ბზარები გითხოვს
და წლების ნაცვლად ამ ბზარებზე ბავშვობას გაშლილს
ხედავ და მერე ისევ ისე, თავიდან დილა
ინყება კვლავ და შენი სახლის კარებთან დაყრი
ფურცლებს და მერე მეეზოვეს ქალაქში მიაქვს
ქალაქში, სადაც
ერთ უბანში შენ გძინავს დაღლილს
და ფიქრი, როგორც ნოსტალგიამოძებულ ღამის
სიზმარი, სადაც შენ გაქცევა გინდოდა, შენთან
რჩება და როცა მტკვრის სარკეში შენ მზერას ჩაღვრი
ხედები, რომ რალაც არ გასვენებს, მარცხნივ და მკერდთან.

დუბლი

დაგვრჩა რამ?! მაინც დარჩენისთვის მედღეხვალზე
 ეს სიყვარული, დუმილს გვირღვეს რომ არ დავმუნჯდეთ.
 დაგვრჩა კი ძალა, რომ უბრალოდ ხელი მომხვიო,
 გადასასვლელზე გადავიდეთ სწორი ნაბიჯით
 მომავლისაკენ, გამიზნულად, იქნებ უმიზნოდ
 მეტად ქარიან ან პირიქით მშვიდ, წყნარ ამინდში
 გამოიტირო ყველა ნუთი, იქნებ უსიზმრო
 მქონდა ძილი და არ მინდოდა შორს რომ გამეშვი.
 ალილუია!.. იდგა ღმერთი სადღაც ჩვენ შორის,
 სადღაც ჩვენ შორის იდგა ღმერთი, გაბმულ ბანარზე
 გადადიოდა ზურგზე ტვირთით, ჩვენ რომ დავშაღეთ
 შავ-თეთრ კადრებად, გავამჟღავნეთ და ნანვიმარზე –
 ალილუია!.. იდგა დილა ჩვენ-ჩვენს მწვერვალზე,
 ჩვენც ხომ ვიდექით, ზურგშექცევით ერთმანეთისგან.
 ზურგიდან უფრო ადვილია
 ქაჩვა ნანწავის.
 ბინის შენებაც
 დატეხილი ასანთებით და
 ვისაც ელირსა მარტოობა, მან იმარტოვოს.
 ვისაც ელირსა შემოდგომა, იმას ახსოვდეს,
 ჩვენ შორის სივრცე რამდენს უდრის დეცს თუ სანტიმეტრს,
 ქუჩიდან, რამდენ გრძნობას ეკარგავთ ჩვენ-ჩვენს სახლამდე.
 ღილებს ბაღში აწყვეტა და ქარი ხელმრუდე.
 გოგრის თესლების ტაფამწვარი – საკმაზით მლაშე.
 სიტყვის სასულეს გადაცდენა – ერთხელ გახვიდე
 გზააბნეული ფრაზიდან და ვერაფრით გაშრე.
 გამცვდარ ღიმილზე – თაბაშირის სქელი გრიმასი.
 ალილუია!.. სიბნელეა. ის ლოცვა გახსოვს?!
 ზურგებით დგომა შემოდგომის თავსხმა წვიმაში
 და დუბლი ერთი, მერამდენედ, შორით და ახლოს.

– ამ წელს სიყვარულს ვერ დაგიბრუნებ,
 ნაკიანია.

ერთხელაც მივხვდი, საბავშვო ზღაპრებს
 გადარჩენისთვის ვწერთ, ჩვენ, დიდები.



შვილი

და იყო ასე. რაღაც ერქვა. გრძნობა. ან ჩვევა.
 ერთმანეთს ვშლიდით. დრო გაგვყავდა. ორნი. ვისხედით.
 ზამთარი კაბას იხდიდა და ძირს ეგდო ჩვრები.
 შეკითხვებს არ ვართ. არც პასუხებს. მხოლოდ ნაჯერი
 სითხეა ცრემლი. რამდენჯერაც დაარტყამს გული,
 ნუთში იმდენი სიყალბეა.



გიხსნი. მიჯერებ.

ისარი ორჯერ გადაკვეთავს დღე-ღამის ღერძს და
სხვადასხვა დროში გადაგვადებს ისევ. ორჯერვე.

ახლა ასე ვწერ. შენ ჩემს გვერდით. ჩემში. ჩემს უკან.
ჩემს სათქმელს იქით. ჩემს სათქმელში. თუნდაც მანამდე
უთქვამს ეს ბევრს. ან უთქვამს ერთს. ან არავის უთქვამს
და ვზივართ ორნი, სახლში, სადაც გრძელ აივანზე
ვერასდროს გავალთ, რადგან არ გვაქვს. პატარა ბინა
მხოლოდ ჩვენ გვიტევს და ამიტომ აქვე ვივახშმებით.
საათს შეხედე, რამდენჯერაც დაარტყამს გული
ნუთში, იმდენი სიკეთეა.

გიხსნი.

მიჯერებ.

ისარი ორჯერ გადაკვეთს ამ დღე-ღამის ღერძს და
სხვადასხვა ფერებს გვაგრძნობინებს ეს დროც ორჯერვე.

და დავწერ ასე: შენს ფიქრებში. მე. შენთვის. შენად.
შეკითხვებს არ ვართ. არც პასუხებს. თუკი საღილე
აგინყდა ანდა, გინდა ვინმეს ზურგით მიეყრდნო,
კედელი. უკან დაბრუნდე და

ან წინ წახვიდე,

ჩამომიჯექი ჩემს სათქმელში. ან სათქმელს იქით.

და არასოდეს აიფარო ხელი სახეზე.

გიხსნი. მიჯერებ.

ისარი ორჯერ გადაკვეთს ამ დღე-ღამის ღერძს და
სხვადასხვა მხარეს გადაგვადებს ისევ. ორჯერვე.

ოღონდ ჩემს მელანს შენს ფურცელზე ნუ გადააქცევ,
თეთრია, შვილო...

თამუნა არდიშვილი

სოფელმა იცის...

სოფელმა იცის,
 ცას თავს დაგაღვრის,
 ვარსკვლავთა ელვას გადმოგაჭექებს,
 სოფელმა იცის,
 სურასავით გაგალიცლიცებს
 და ნოტიო მიწაში ჩაგღვრის...
 მზის გულზე წამი
 გადიქცევა ოქროსფერ ორთქლად
 და იმ ოქროთი გაუღენთილი
 ჰაერით სუნთქავ...
 ხის მაგიდასთან ჩამომჯდარს
 ფიქრის ფაფუკ ბადეში
 უბელო ცხენთა თქარათქური მოგეზმანება
 და იმავ წუთას დაირწევი
 სიჩუმის ნავში
 და წყლის დგაფუნის
 ელდასავით გაბასრავს სმენას...
 და ფანჯრის უბეს
 ამოავსებს მწუხრის ნათელი,
 როგორც იების ცვრიანი ბლუჯა...
 სოფელმა იცის
 მწუხრის ჩუმი შუქით დალოცვა
 და ლილისფერი ჩრდილების მოგვრა...



სოფელი ჩემი

ნინა, ვიცი,
 შემოაღებს ბინდისას ჭიშკარს,
 ხის მაგიდასთან ჩამოვსხდებით,
 შუშის ჭიქებში ჩამოვასხამთ
 მენამულ სითხეს...
 დღეს რას გვიამბობ, ნინია, ნეტა?
 დღეს რას გვიამბობ?
 ქროლა თვალეები
 თითქოს კვიმატ ნაპერწკლებს უგავს
 ნინიას ჩვენსას...
 გაბზარულ სარკმელს შეასკდება
 სიცილის ჩქეფი...



* * *

გაჩერებაზე დავტოვე დედა,
 ძველ პალტოში,
 გაცვეთილი ღილკილოებით...
 ღამეულ ლანდებს შევატოვე,
 მომლოდინეთ...
 ის ძლიერ ჰგავდა
 ახლა ბებიას,
 თავჩარგული რატომღაც მხრებში,
 დაფიქრებული...
 ბებიაჩემი უცნაურად მეცხადებოდა...
 და მოდიოდნენ
 მოჭრიალე ავტობუსები,
 იტაცებდნენ ღამეულ ლანდებს...
 და რომელიმეს
 წაჰყვებოდა თან დედაჩემიც...

* * *

კვირიავ, სად ხარ,
 კვირიავ?
 ცაა თუ კოკის პირია?
 ჩამოეტყავათ კვირტები,
 ხეები მწარედ ტირიან...
 წამოგრაგნილა მიწა და
 ცაა თუ დანის პირია?
 ბარემღა გულზედ დამისვი,
 ისედაც მწარედ ვტირია...

* * *

ღამე კოშკია
 ანთებული
 მრავალი სარკმლით,
 ღამე კოშკია
 და არა აქვს
 რატომღაც კიბე...
 მინდოდა, როგორც ბავშვობაში
 აწონილ ხეებს,
 მოვეცეოდი მას კენწეროზე
 და ყველა შიში
 ფრთაშესხმული დამეფრინა
 იმ სიმაღლიდან...


* * *

გაგიგონია ქარის ტირილი?!
 ჩუმი, თითქოსდა გულში ჩაკლული,
 ქარის მალული ჩაგოდება,

ეული ქარის...
 ბნელ ფანჯარასთან,
 ჩიტივით უნდოდ მოფრთხილეთ
 თითქოსდა წამით ჩაიბუდებს,
 ჩაიყურსება,
 გულს მოიოხებს
 და გრძელ მოსასხამს
 გაშმაგებით დაიქნევს მერე...

* * *

ისე მოდიხარ,
 უკვდავების წყალსა მთხოვ თითქოს,
 ჩემი წყარო კი,
 ამომსკდარი მინის გულიდან,
 მიწადვე იქცა.



ქველი სახლი

სიმყუდროვეა აივანზე,
 მზე ცეცხლოვანი
 აგიზგიზდა ნაძვების თავზე...
 ხმელი ხის ტახტი
 და ზედ მუთაქა –
 მატყლის და სველი ფოთლების სუნი.
 ჩაშავებული დარბები ავაჭრიალე,
 სიბერისაგან, მომეჩვენა,
 ხმა ჩახლეჩოდათ
 და როგორც მავანს,
 ღამის წყვდიადს თავშეფარებულს,
 თვალს ატკენს კაშკაშა შუქი,
 შეიშმუნა ოთახი თითქოს,
 ამოიხვნეშა და სინათლისკენ
 გაიწოდა დიდი ფანჯრები.
 დილის ნიავმა, მონაბერმა,
 გახუნებული შეაკრთო ფარდა,
 საუკუნო ძილიდან თითქოს გამოაფხიზლა,
 ჩამოთოვილი მის ფრთაზე მტვერი
 ისევ დაიფრქვა ბრწყინვით, ხალისით.
 მიმოვიხედე,
 წერილები, როგორც ოდესლაც,
 დასტადვე ეწყო ხის მაგიდაზე,
 ბროლის სამელნეს
 გამჭვირვალე პეშვში თითქოსდა
 ცა ჩაეგუზა
 და ძველი სარკე რუხ კედელზე
 ისე ეკიდა,
 ვით გაბზარული ზეცის ნაჭერი...

მხატვრული პროზა



ჯორჯ გური

ციცინათელავი ალუბლის გაღმა

იმ წელს ბერძნები, ვისაც უცხო ქვეყნის ქვეშევრდომობა ჰქონდა მიღებული, საქართველოდან შორეულ ყაზახეთში გადასახლეს... და არამარტო საქართველოდან, არამედ სხვა რესპუბლიკებიდანაც, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

ამის მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: როგორც კი სამამულო ომი დაიწყო, საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა ბერძენ მოსახლეობას მიეღოთ სსრკ მოქალაქეობა, რათა შემდგომ შესაძლებელი გამხდარიყო მათი ომში განწევვა.

უმრავლესობამ უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე. უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებს კი ომში მონაწილეობას ვერაფერი აიძულებდა.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ძალის ნაკბენით გაიხსენა ის უარი და შურისძიებამაც არ დააყოვნა – როგორც არასანდო პირნი, ყაზახეთის შიშველ ტრამალებზე გადასახლეს ისინი...

ცნობა რაიმე სიახლის შესახებ, რაც არ უნდა გასაიდუმლოებული იყოს, მაინც ახერხებს გაჟონვას და ყველაზე ადრე სადალაქოში შეაღწევს, როგორც წესი.

ნიკო კაისიდიმ, გაგრამი ცნობილმა დალაქმა, სწორედ იქ გაიგო, გადასახლებას, რომ უპირებდნენ.

შურისძიება იყო მოულოდნელი, შემზარავი, მოჩვენებითი თავაზიანობის სამოსელში გახვეული უხეში ძალა, რომლისთვისაც ბრძანების შესრულება სადისტურ მოთხოვნილებად იქცა. შურისძიებას სისხლი სწყუროდა, სალოკი თითი სასხლეტზე ეჭირა. ხალხმა წამსვე იგრძნო ეს.

შურისძიებამ გააფრთხილა თავისი მსხვერპლი დაუფიქრებელი მოქმედებით ყოფა არ გაერთულებინა.

დავრდომილებსაც არ ინდობდნენ – საკაცით მიაქანებდნენ...

სიჩუმე ნისლივით ჩამოწვა მთელ ქალაქში. შიშმა და სიჩუმემ ჩაყლაპა ქალაქის მრავალბმიანობა... თუმცა ქალაქს იმ ხანებში ხმაური ნამდვილად არ აკლდა. ზღვიდან ქარიშხალი ამოვარდა, ვებერთელა ტალღები დაუშინა ნაპირს. ანგრევდა ბეტონის ჯებირებს, ხიდებს... დატბორა გზები, სახლებში, უვარდებოდა და აწიოკებდა ზღვისპირელებს.

ქალები ჩურჩულით გადასცემდნენ ერთმანეთს: „ბერძნების შემდეგ სხვების ჯერიც დადგებაო“, – ძალზე ზოგადად იყო ნათქვამი, მაგრამ უდრტვინველად ცხოვრების უფლებას მაინც არ იძლეოდა.

ნიკო კაისიდიმ, დალაქმა, თავისი სამივე ვაჟიშვილი გააფრთხილა:

– როცა შემოვლენ, თითი არ გაანძრიოს არც ერთმა! გადანწყვტილი ამბავია ეს, წინ არაფერი დაუდგება. ისე მოიქეცით, ვითომდა არაფერიო... რისი წაღების უფლებასაც მოგვცემენ, წავილეთ. დანარჩენი ცეცხლშიც დამწვარა... ანესტი, ძმებში შენ ხარ უფროსი, გააგებინე ამათ...

კაცმა რომ თქვას, ეს გაცილებით მკაცრი სასჯელი იყო, ვინემ პატიმრობა – ხალხი, დიდ-პატარიანად სატვირთო ვაგონებიდან პირდაპირ შიშველ მიწაზე ჩამორეკეს ცხვრებივით.

რისი ბარაკები! რა კარვები!

გადასახლებულებს წერაქვები, ბარები და ნიჩბები დაურიგეს, რათა სან-გრები გაეთხარათ და იქ ეცხოვრათ, სანამ რაიმეს მოიფიქრებდნენ...

ხალხი წინასწარ იყო გაფრთხილებული, ვინც წესრიგს დაარღვევდა, სასტიკად დაისჯებოდა...

– ძაღლია ადამიანი და ძაღლის ბედიც გვერგო! ბარაქალა საბჭოთა მთავრობას! – ბურტყუნებდა დალაქი. ცოლი პირში სწრიდა დამუშტულ ხელს, ემუდარებოდა დაოკებულიყო.

საცხოვრებელ ობიექტს, როგორც იმ ადგილს ეძახდნენ, სადაც ანესტი, მისი დედ-მამა და უმცროსი ძმები ჩამოყარეს, ვეტრენი ერქვა. უკაცრიელი, ქარ-ყინვიანი, ბარხანებით მოფენილი ტრამალი იყო, სადაც ქარი გამუდმებით წიოდა, ზუზუნებდა და ხანაც ქალივით მოთქვამდა.

თუმცა გაზაფხული იდგა, ღამ-ღამობით მაინც ყინავდა. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ყველაზე მეტად ბავშვებსა და ხანდაზმულებს გაუჭირდათ. ველარ უძლებდნენ ღია ცის ქვეშ უძილობას, სიცივეს, უწყლობას... ამგვარმა პირობებმა ბევრი მათგანი შეიწირა... ხან სად გაისმოდა ქალების მოთქმა-ტირილი, ხან – სად.

ყინვით გასუდრულ ტრამალს მგლების ყმული აყრუებდა.

ტრამალის ყინვა და ქარი ჩაუდგა კრიჭაში გადასახლებულებს. ნებისმიერი საშუალებით უნდა ებრძოლათ ამის წინააღმდეგ, ანდა სიკვდილს დანებებოდნენ.

სხვა გზა არ ჩანდა.

...ფარდულამდე, სადაც მუხუდოს ფქვილისგან გამომცხვარ პურს ყიდდნენ, სამიოდე ვერსი მაინც იდო. ცოტა მოშორებით, გზის ნაპირას, ნახშირის გორაკი მოჩანდა. ამ ნახშირს, ვინ ტომრით, ვინ კიდევე ვედროებით ანდა თვითნაკეთი მაზიდით მიაცოცებდნენ შინისაკენ...

ხალხი სანგრებს თხრიდა, მიწაში მიძვრებოდა, რათა ქარ-ყინვისგან თავი გადაერჩინა.

ყოფნა-არყოფნის ჟამი დაუდგათ გადასახლებულებს.

საცხოვრებელი ობიექტის მომარაგებას ერთი ჯაბახანა „პალტარატონკაც“ ემსახურებოდა. ის ხშირ-ხშირად ფუჭდებოდა. გაძალღებული ჰქონდა ყოფა ჭაბუკ მძღოლს, რომელსაც თემუჩინს ეძახდნენ. მანქანის შეკეთებას ველარ აუდიოდა, თუმცა ბევრი არაფერი გაეგებოდა ამ საქმისა.

ერთხელ, როგორღაც, ანესტიც შეესწრო იმის წვალებას. თემუჩინი ძრავას უკირკიტებდა. შუბლიდან ღვარად გადმოსდიოდა ოფლი. ჩამოუცურდებოდა კეპის წინაფრა ცხვირზე, გაისწორებდა შუბლზე ქუდს. ისევ ჩამოუცურდებოდა, ისევ გაისწორებდა. დიდი ზომისა შეერჩია, არ უჩერდებოდა შუბლზე კეპი.

ანესტი ღიმილით ადევნებდა თვალყურს.

თემუჩინმა ბენზოტუმბოს დაქაჩა რამდენიმეჯერ. მერე კი ორივე ხელით ჩააფრინდა ძრავის დასაქოქ სახელურს. დაატრიალა რაკარუკით, მაგრამ ნურას უკაცრავად! არ ამუშავდა ძრავა.

– მიმიშვი ერთნუთს, ძამიკო! – ეუბნება ანესტი.

თემუჩინმა უაზროდ შეხედა, ხელი ჩაიქნია და გვერდზე გადგა.

ანესტიმ ძრავა შეამოწმა. ის ხომ ერთხანს სატვირთო მანქანების სარემონტოში მუშაობდა ხელოსნად, სანამ ავტობუსის მძღოლი გახდებოდა. ის-ის იყო თემუჩინს უნდა ეთქვა, შეეშვი, მაინც არაფერი გამოგივაო, როცა ანესტიმ დაზიანებულ ადგილს მიაგნო, შეაკეთა და სახელური დაატრიალა თუ არა, ძრავაც ამუშავდა.


ჭაბუკ მძღოლს თვალეები გაუბრწყინდა.

– ეს რანაირად გამოგივიდა, ჯადოქარი ხარ? – ეუბნება.

– ჰე, ამის მეტი რა მიკეთებია, ნეპე! თუ დაგჭირდე, აქა ვარ, ნუ გეშინია.



ფოტოზა: გაგრა.



– თუ დაგჭირდეთ?! კი მაგრამ, აქამდე სად იყავი, დალოცვილო. შენისთანა კაცი ჰაერით გვჭირდება. ერთი ასეთი ჯაბახანაც მწყობრიდანა გამოსული. ეშმაკმა იცის, რა დაემართა. ტრაქტორიც, ასევე...

– იმათაც მოვიყვან ჭკუაზე, ფიქრი ნუ გაქვს, ნეპე!

ამ შემთხვევის შემდეგ თემუჩინი და ანესტი დამეგობრდნენ. კვირადღეს კი, როგორც მოილაპარაკეს, ანესტიმ ძირფესვიანად შეაკეთა ტრაქტორიც და ის მეორე ჯაბახანაც.

თემუჩინის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ადგილობრივ მოსახლეობაში ელვისამებრ გავრცელდა ხმა, რომ საცხოვრებელ ობიექტს ძალზე საჭირო კაცი შეემატა, საქმის მცოდნე მექანიკოსი.

თემუჩინს, ეროვნებით ყაზახს, ყველა პატივს სცემდა. კეთილი ბუნების ჭაბუკი იყო და თუკი ვინმეს მისი დახმარება დასჭირდებოდა, არავინ გაუნბილებია.

იმ საცხოვრებელი ობიექტის „ცენტრში“ ქვისა და ტალახისაგან ნაგები მიწურები იყო განლაგებული, რომელთა მობინადრეთა შორის თემუჩინი დიდი გავლენით სარგებლობდა. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამორჩენია ანესტის. ხელი ხელს ჰბანსო, რომ იტყვიან, მანაც ამ ხერხს მიმართა. თემუჩინს ესაუბრა თვისტომებზე. აუხსნა, რომ ისინი აუცილებლად საჭიროებდნენ სამჭედლოს, თუნდაც პრიმიტიულს. თემუჩინმა ამ საქმეში დახმარება აღუთქვა.

შაბათ დღეს, როგორც დათქვეს, ანესტიმ თავისი ხალხი დარაზმა, შესხა ჯაბახანას ძარაზე, თვითონ კაბინაში ჩაუჯდა თემუჩინს და დაიძრნენ.

ორიოდე საათის შემდეგ მდინარის დამშრალ კალაპოტს მიაღწენ, რომელიც სავსე იყო ხავსმოკიდებული მოზრდილი ქვებითა და ლოდის ნახეთქებით. ეს უნდა გამოეყენებინათ საშენ მასალად, რითაც სამჭედლოს კედლებს ამოიყვანდნენ.

დატრიალდნენ მამაკაცები. ქვებს მოზელილი ტალახიც მიაშველეს და რამდენიმე დღეში კედლებიც ამოიზარდა. კედლები დროებით ტოლით გადახურეს და შენობაც მზად იყო. ტოლი და ხის ნაწილებიც, რაც მშენებლობას სჭირდებოდა, თემუჩინმა იშოვა, სხვათა შორის, თავისი ნათესავისთვის გამოურთმევია, მომარაგების უფროსად რომ მუშაობდა.

შემდგომ ამისა მანვე მოათრია საიდანლაც რკინის ნაჭერი, რასაც დიდი განიკვეთი ჰქონდა და გრდემლის მაგივრობა უნდა გაენია. სამჭედლოში მოუყარეს თავი, თუკი ვინმეს ხელსაწყო-იარაღი გააჩნდა, ურო იყო, მარნუხი თუ სხვა რამ. სამჭედლო ნახშირით მომარაგდა. იქვე რკინის კასრიც გაჩნდა წყლისთვის. რაც მთავარია, თემუჩინმა საბერველიც იშოვა. თუმცა ნახშიარი იყო, ტყავის გვერდები დახეთქილი ჰქონდა და შეკეთებას საჭიროებდა. ანესტიმ ამოკერა დაზიანებული ადგილები და როცა შეამოწმეს, სახმარად ვარგისი აღმოჩნდა.

ოქროს ფასი დაედო ლითონს, რისგანაც საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები უნდა დაემზადებინათ. მაგრამ ეს წვრილმანი იყო იმასთან შედარებით, რაც აქამომდე გაკეთდა.

გამოჩნდა რამდენიმე პირიც, ვისაც მჭედლობა ეხერხებოდა და შეუდგნენ საქმეს. მართალია, სამჭედლოს ბევრი რამ აკლდა, მაგრამ დრო არ ითმენდა. დანაკლისს თანდათან შეავსებდნენ.

ანესტის ახალი გეგმა გაუჩნდა. როცა ის თემუჩინს გააცნო, იმას ლიმილი მოერია. თურმე თვითონაც უტრიალებდა თავში ის აზრი, რაც ანესტისგან მოისმინა:

– კარგი იქნებოდა, ტრაქტორების სარემონტო რო გაგვეხსნა, ნეპე!

თემუჩინმა კი დაუმატა:

– სადაც სატვირთო მანქანებსაც შეაკეთებდნენ, არა?

– რა თქმა უნდა, ნეპე!

ამ სიტყვებზე ორივეს გაეცინა.

საცხოვრებელ ობიექტზე გაჩნდნენ ღუმელის ოსტატები, რომლებიც სასწაულებს ახდენდნენ...

თანდათან გათბა მინისგული. ადამიანმა თვალში გამოიხედა, როგორც იტყვიან.

როდესაც კაისიდებმა, ანესტის თაოსნობით, კარგა მოზრდილი სანგარი გათხარეს საცხოვრებლად, თემუჩინმა ძელები ჩამოუტანა და სანგარი შიგნიდან გაამაგრეს. შემდეგ კი ჭის გათხრას შეუდგნენ, რადგან წყალზე შორს უწევდათ სიარული.

– იქით რა ქვეყანაა, ნეპე! – ჰკითხა ერთხელ თემუჩინს ანესტიმ და ხელიც გაიშვირა იმ მიმართულებით.

– იქ ჩინეთია, ძამიკო... საბჭოეთის მოძმე ქვეყანა, – სარკასტულად ჩაელიმა თემუჩინს.

– რა მეურნეობას ეწევიან, თუ იცი?

– შაქრის ჭარხალი მოჰყავთ. წელიწადში ორ მოსავალს იღებენ.

...იმ დღეს მზე ძალუმად აცხუნებდა. ქარიც ჩამდგარიყო და ანესტის თავისი მშობლიური გაგრა გაახსენა ამან. იმ წუთში იქ დარჩენილ ცოლ-შვილზე ფიქრობდა. განსაკუთრებით ენატრებოდა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი სავა, სავიკო, ვ წლისა, რომ დატოვა დედამისთან.

მარო, ანტესის მეუღლე, არ გაჰყვა ქმარს გადასახლებაში. გადაჭრით არ უთქვამს უარი – ჯერ თქვენ მოენყვით და მერე ვნახოთო... ქალს წარმოდეგნაც არ ჰქონდა, რა გაუსაძლისი პირობები ელოდათ შორეულ ყაზახეთში გადასახლებულებს.

მაროს, ეროვნებით ქართველს, ვერავინ დააძალებდა მეუღლის ხვედრი გაეზიარებინა, თუკი ამას თვითონ არ მოისურვებდა. სხვა თუ არა, დედ-მამას ბედის ანაბარა ვერ მიატოვებდა. ისინიც ამასვე ემუდარებოდნენ. დედის ცხარე ცრემლებმა და მამის ჩაგონებამ გადასძალა ბოლოს, თუმცა ქმარიც უყვარდა და მთელი არსებით განიცდიდა მის მწარე ხვედრს...

დრო კი გადიოდა.

მწარე ფიქრებსა და მტანჯავ მოგონებებში გადიოდა დრო.

...თავაულებელმა შრომამ და ყაირათიანობამ, რაც ბერძენთა დამახასიათებელი თვისებაა, თავისი ნაყოფი მაინც გამოიღო. ყაზახეთის ტრამალებზე ცხოვრების მეორე წელს გადასახლებულებმა ცხვარი მოაშენეს, ცხენები შეისყიდეს ხელსაყრელ ფასად. ანესტიმ ტრაქტორიც მიაშველა საქმეს და ყამირი მოხნეს, სადაც ხორბალი, ქერი და კარტოფილი დათესეს. მწვანედ აღლანდა ჯეჯილი და კარტოფილმაც გაიხარა, თანდათან იმრავლა ცხვრის ფარამ. ცალკე მატყლს აბარებდნენ სახელმწიფოს, ცალკე ხორცსა და ერბოს. რძისგან ყველს აკეთებდნენ და ალმა-ათის ბაზრებში გაჰქონდათ გასაყიდად.

წლები დასჭირდათ მაინც, რათა სანგრებისთვის თავი დაეღწიათ და ახალაშენებულ ქვითკირის სახლებში გადასულიყვნენ საცხოვრებლად.

„კარგია ზღვისპირეთი, – ფიქრობდა თავისთვის ანესტი, – მაგრამ შოვნის შესაძლებლობა აქ უფრო მეტია, ვისაც შრომა არ ეზარება“.

ბოლოს, ყაზახეთის მიწას მიაბარა ჯერ მამა და მერე დედაც.

დრო კი გადიოდა.

მწარე ფიქრებსა და მოგონებებში გადიოდა დრო.

ძმები დაცოლშვილდნენ, ანესტი კი ისევ მარტო იყო. ვერა და ვერ შეეჩვია უცხო გარემოს, თუმცა ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული იმ მიწაში, სადაც მოხუცი მშობლები ჩააწვინა.

ანესტიზე ბევრ ქალს ეჭირა თვალი, როგორც გაუთხოვარს, ასევე





გათხოვილსაც. ის კი ყელამდე საქმეში იყო ჩაფლული, მათთვის არ ეცალა. ის საერთოდ არ გახლდათ მექალთანე, რასაც ქალები მისი ხასიათის უცნაურობას მიაწერდნენ და გაორკეცებით ცდილობდნენ თავი მოეწონებინათ მისთვის. მაგრამ ანესტის ცოლის მოყვანაზე არც უფიქრია. დღე ისე არ ჩაივლიდა, ვაჟიშვილი არ გახსენებოდა. ის ყოველ წელს იხდიდა სავიკოს დაბადების დღეს, როგორც მოუხერხებოდა... ერთი სული ჰქონდა, წუთით მაინც შეეველო თვალი მისთვის.

გარკვეული მოსაზრებით, მეუღლესთან მიწერ-მოწერა არ ჰქონია. თავს არიდებდა ამას, – რამე არ ვაწვდო.

მოგვიანებით, როდესაც ზღვისპირეთში ჩასვლის შესაძლებლობა გაჩნდა, რაზედაც წინათ ოცნებაც არ შეეძლო, გადაწყვიტა ცოლ-შვილი მოენახულებინა... საოცრად აეკვიატა ეს განზრახვა, მაგრამ ჯერჯერობით ძმებს არ უმხელდა... მისი ვაჟიშვილი თექვსმეტი წლისა გამხდარიყო უკვე.

რა სწრაფად გაიბრინა წლებმა! თუმცა მისთვის მსუბუქი არ ყოფილა დროის დინება... რამდენჯერ წარმოუდგენია მაღალი, ბეჭბრტყელი ბიჭი, სავა, სავიკო, მისი სისხლი და ხორცი, ერთი შეხედვით მამასავით მოუხეშავი, მაგრამ სინამდვილეში საოცრად თავაზიანი და ენადაცული, როგორიც თვით ანესტი იყო... და როგორც ანესტის, სავასაც ხალი აჩნდა მარჯვენა ლოყაზე. იმ ხალზე კოცნიდა და მერე ჰაერში აბურთავებდა... შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. ვინ იფიქრებდა, ასე თუ შეტრიალდებოდა მათი ბედ-ილბალი...

ანესტიმ თავის მეორე ჩანაფიქრსაც შეასხა ხორცი. მანქანა-ტრაქტორების სარემონტოც გახსნა და თვითონვე ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში. მაგრამ ფიქრი, რომელიც ცოლ-შვილის მონახულებასთან დაკავშირებით აეკვიატა, წუთითაც არ მოშორებია. არც დღე ჰქონდა ამისგან მოსვენება, არც ღამე... მაინც თავს იკავებდა. ძმებისა ერიდებოდა, ეტყობა. ისინი ხომ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ რძლის მისამართით, მათი ბედი რომ არ გაიზიარა.

დრო კი გადიოდა.

ანესტის თვალწინ ედგა ბზიფის სადგურთან ჩამომდგარი სატვირთო ეშელონები, რომლებშიც გადასახლებულებს ტენიდნენ. ისმოდა ბავშვების ღნავილი, ქალების სასონარკვეთილი ხმები. ქრისტეს ტირილს წააგავდა ეს ყველაფერი.

სპეცრაზმელები ელვის სისწრაფით მოქმედებდნენ. ჯერ გააფრთხილეს, წინააღმდეგობა არ გაენიათ. წინასწარ დაიზღვიეს თავი რაიმე მოულოდნელობისგან. მერე კი ნაგაზებით აკითხავდნენ ოჯახებში. დახურული მანქანებით მიაქანებდნენ დანიშნულების ადგილისაკენ.

რამდენიმე შეიარაღებული წინააღმდეგობა მაინც მოხდა ბერძენთა მხრიდან. იყო დაჭრილებიცა და მოკლულებიც...

გაქცეულებს მთებსა და ღრანტეებში დაეძებდნენ იარაღით ხელში. ვისაც მიახწრეს, იქვე ჩახოცეს.

მარომ ქმარი გააფრთხილა, ის და სავიკო საავადმყოფოს მოპირდაპირედ დაელოდებოდნენ, მომცრო გორაკზე... ამ ადგილას მატარებლები სვლას ანელებდნენ, არასაიმედო ხიდის გამო, წინ რომ ელოდათ. არადა, ბზიფის სადგურის ტერიტორია სპეცრაზმელებით იყო შემოკავებული. არავის აძლევდნენ გადასახლებულებთან გამოლაპარაკების ან გამოთხოვების უფლებას.

როცა შემადგენლობა საავადმყოფოს შენობას მიუახლოვდა, ანესტის უჩვეულოდ აუჩქროლდა გული. იგი სარკმელს მივარდა, ზედა ლარტყა ჩამოგლიჯა და ყვირილი მორთო: „სავა! მარო! სავა!“, მაგრამ გორაკზე არავინ ჩანდა რამდენიმე სპეცრაზმელის გარდა, რომელთაც, როგორც ეტყო-

ბა, გაერეკათ გამცილებელნი.

მერე კი, როცა შემადგენლობამ ის არასაიმედო ხიდი უკან მოიტოვა და სიჩქარესაც მოუმატა, ვაგონში ყველა გაყურდა. ადამიანები დუმილით ეთხოვებოდნენ მშობლიურ ადგილებს...

თუმცა დედ-მამა არაფერს ამბობდა, ანესტი მაინც გრძნობდა, რძლის უკმაყოფილონი, რომ იყვნენ ისინიც, როგორც მათი უმცროსი შვილები. არადა, ამ ჯოჯოხეთში ბავშვის ჩადება, როცა არსებობდა ამისგან თავის დაღწევის საშუალება, ბოროტებად მიაჩნდა ანესტის. სხვა თუ არაფერი, ბავშვს მაინც გაუფრთხილდებოდა და სახლ-კარსაც შეუნახავდა.

ანესტი არ გახლდათ კონფლიქტების მოყვარული კაცი. ის ცდილობდა ყოველნაირი საქმე მშვიდობიანად მოეგვარებინა. სხვა გზა თუ არ იყო, წინ არაფერი დაუდგებოდა. ზღვისპირელებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ მისი ჩხუბი სამხედრო მეზღვაურებთან, როცა ისინი ქალაქში გამოხმაურდნენ, ბაზარში ჭაჭის არყით გაიღეშნენ და ანესტის აუხიოდნენ: „ჰეი, შავტრაკავ, აქ როდუნდულებს ისქელებ, რატო ომში არ მიჰყავხართო?!“ – იმან კი ზედმეტად ჩათვალა, მთვრალეებისთვის ახსნა-განმარტება მიეცა იმის თაობაზე, რომ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი ჯარში განწევას არ ექვემდებარება.

მშვიდად მოისმინა მათი ლანძღვა-გინება, მაგრამ არ აჰყვა, რამაც ძალზე გაათამამა „ზღვის მგლები“. ანესტიმ ზურგი შეაქცია მათ, გაცლას აპირებდა, როცა ერთმა მათგანმა გაუსილაქა... მაშინ კი დატრიალდა ავაზასავით. ცელივით კი არ იქნევდა ხელებს, მოკლე-მოკლე დარტყმებით უმასპინძლდებოდა აგრესიულ არამკითხეებს. ქალაქის ჩემპიონი იყო კრივში და კარგად ესმოდა ეს საქმე. ვისაც კი თავისი მძიმე მუშტი შემოჰკრა, ფეხზე ველარ დადგა ვერც ერთი.

სამიოდე წუთში ხუთივე მეზღვაური მიწაზე ფორთხილობდა.

პ ა ლ უ ნ დ რ ა ო! – მიაყვირა ერთ-ერთმა. პალუნდრა კი არა, თქვენი დედაცო! – ნიხლიც მიაზილა ფერდში, გადააბიჯა ზედ და გაქრა.

ის, საერთოდ, საფუძვლიანად აკეთებდა ყველაფერს, მუშტიკრივი იყო თუ რაიმე სამუშაო.

ნიკო კაისიდი, ანესტის მამა, ჭირვეულ კაცად ითვლებოდა, როგორც ოჯახში, ასევე სამუშაოზე. ახმახი იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი. გაჭალარავებული ჯაგარივით თმა მოკლედ შეეკრიჭა. როხროხა ხმა ჰქონდა და ის რომ ნაყლაპზე სიმღერას დაიჩემებდა, მეზობლის ძაღლები ყეფით გამორბოდნენ ქუჩაში. ქალაქში ათას ვინმეს იცნობდა და იმათ ნასაუბრევს ოჯახის წევრებსაც უყვებოდა ხოლმე. იშვიათად, რაიმე მოსწონებოდა. რაღაც აზრები მოსდიოდა თავში, ვერაფერს გაუგებდი. უმცროსი ვაჟი სიცილით იჭაჭებოდა, სოკრატეს ნაშიერაო. მთელი დღე ჯაჯლანებდა უმიზეზოდ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ.

დალაქი გაცვეთილ წიგნებზე ათენებდა, როცა ძილი გაუტყდებოდა. მერე წაკითხულ აზრებს ქადაგებდა ხმამაღლა.

– ჩვენ არარანი ვართ, მაგრამ ჩვენ ვართ საჭურველნი ზენაარისა... – ამბობდა ის ხშირ-ხშირად.

უმცროსი ვაჟი სიცილს ვერ იკავებდა.

დალაქი ბრაზობდა.

– რას იკრიჭები, ჩიტირეკიავ!.. უღმერთობა გჭირს, მიტომაც მოგდის ეს. უღმერთობამ სული დაგიბნელა.

– სული?... – მხრებს იჩეჩდა ვაჟი.

– ადამიანი სულიერია, ამას გეუბნები! ჩვენ ვამბობთ: სულიერად ძლიერი, სულიერად დაცემული... ჩვენ ვამბობთ: სულისკვეთება! ჩვენ ვამბობთ: უსულგულო, სულწასული... მაგრამ წარმოდგენაც არ გვაქვს სულზე. იქნება შენ ამიხსნა ეს, ჭკუის კოლოფო?





ვაჟი არ გაპასუხებია.

– სული პიროვნებაა! ეს შენ ხარ, მე ვარ, დედაშენია... შენთვის ეს ჩინურია, ჩიტირეკიავ!

ვაჟი კვლავ იკრიჭებოდა. მისთვის ეს მართლაც ჩინური იყო.

ვაჟიშვილები სანგრის გათხრას რომ შეუდგნენ, დალაქი მხოლოდ დარიგებებს იძლეოდა, თუ როგორ ემოქმედათ, თვითონ კი თითიც არ გაუძრევია. გაყინული მინა წერაქსს ისხლტდა, არ ნებდებოდა. ცხრატყავი გასძვრათ ძმებს, სანამ საქმეს მორჩებოდნენ. დალაქმა კი პათეტიკურად შესძახა:

– ყველა კაცი თავისი სანგრის პატრონია!

ეგონათ ხუმრობდა.

ანესტის დედა ქართველი ჰყავდა, ამაღლობელის ქალი. როდესაც დედამა კინკლაობას ატეხდნენ, ერთმანეთის ეროვნულობასაც შეეხებოდნენ, როგორც წესი. ამა თუ იმ ნაკლზე გაამახვილებდნენ ყურადღებას და ამით სურდათ გული მოეფხანათ. ეს უფრო ქართველთა დაუდევრობასა და ბერძენთა ხელმომჭირნეობას შეეხებოდა ხოლმე.

– შენი გამოსწორება არ იქნება, ნიკა, ხომ იცი, – ღიმილით მიუბრუნდა დალაქს ცოლი, – უცნაური კაცი ხარ. უცნაურიც და სხვანაირიც... უცნაური იყავი იქაც, გაგრაში. მანდარინის მაგივრად ალუბლის ბალი გააშენე. რამდენი გეხვეწე, ეს არ გაგეკეთებინა, მაინც არ დამიჯერე.

დალაქს ჩაეღიმა. არ გაპასუხებია.

ანესტის ახალაშენებული სახლის სასადილო ოთახში უსხდნენ მაგიდას, ყავას შეექცეოდნენ.

– ხალხმა ქვეყნის ფული იშოვა ღიმონით და მანდარინით, – განაგრძობდა ქალი მეუღლის ტვინის გამორეცხვას, – ჩვენ კი პირის გასასველებლად თუ გვეყოფნიდა. კარის მეზობელი რო იყო, ის ხეპრე ბესუ, სოჭში ჰყიდდა მანდარინს. შუადღემდე ორ კალათს მაინც გაასაღებდა, რაც არ უნდა ცუდი ვაჭრობა ყოფილიყო... ფრანგული ფუნთუშებითა და კრენდელებით ხელდამძიმებული ბრუნდებოდა შინ.

– ყველაფერი ფულით და ფუნთუშებით არ იზომება, დედაკაცო!

– მა რითი იზომება, თუ ღმერთი გნამს. ალუბლის ღვინით ხომ არა?

დალაქს ისევ ჩაეღიმა. თავი გადააქნია, ეუბნება:

– არა, ეს შეუძლებელია...

– რა არი შეუძლებელი?

– ის, რისი გაგებაც შენ ახლა გნადია.

– ალუბლის ბალი ზარმაცი კაცის საქმეა. არც შემობარვა უნდა, არც შენამღვა.

– ო, თქვენ არ იყავით, ქართველები, თავს რო იკლავდით შრომით?

– თქვენ კი რა გეხერხებათ, ლოკოკინაჭამიებს, თევზის დაჭერის მეტი. ჩააგდებთ ცარიელ ბადეს, თევზით გაძეგილს ამოიღებთ.

– მეზადურობა მარტო ბადის ჩაგდება და ამოღება რო არ არის, იცი შენ ეს ძალიან კარგად. ეს სადღეგრძელოს თქმა არ გეგონოს, ქართველებს რო გეხერხებათ.

– თქვენ არც ეს გეხერხებათ, სხვათა შორის. სტუმარი გენვიოთ, ცივ წყალს არ გამოუტანთ.

– სტუმარს გააჩნია, ქალო!.. თქვენთვის სტუმარი დაღვეის საბაბია და მეტი არაფერი.

– ჩვენმა ოჯახმა სტუმრის მიღება იცოდა, არც დაგესიზმრებათ...

– ჰე, მიატოვე ახლა! – გაანწყვეტინა კაცმა, – ოთხმოცდაათჯერ მაინც მექნება მოსმენილი „დაასხი, დამალევიე“!

– ისე შენ გაიხარე!

– კარგით ახლა, დე... – ღიმილით უთხრა ანესტიმ მშობელს და ორივე გაყურდა.

უფრო აშინდი იდგა. ტრამალის მტვერ-ბორიაყი გავრეშებული უტევდა სახლის ფანჯრებს, ათას სიბინძურეს აყრიდა, აზრიალებდა. ხუთიოდე ნაბიჯის იქით არაფერი ჩანდა. ჰაერი ტალახისფრად იყო გაღებნილი.

ნიკო კაისიდი ფანჯარაში იყურებოდა. მხოლოდ ანესტი ხვდებოდა მისი მოწყენის მიზეზს: უცნაური და სხვებისგან განსხვავებული რომ იყო, დალაქმა ეს თვითონაც მშვენივრად იცოდა. რატომ და რითი განსხვავდებოდა იმ სხვებისგან, ეს ვერ გაერკვიათ მათ...

მეუღლის საყვედური კი მართებული იყო. სახლის წინ ათიოდე ძირი ლიმონი და მანდარინი დარგო დალაქმა, სახლის უკან კი, მოზრდილ ეზოში, ალუბლის ბაღი გააშენა. ამის გამო ცოლი და ქმარი წალაპარაკდნენ. ქალი წინააღმდეგი იყო – ალუბლის ბაღი რა ჭირად მინდა, მინას აცდენსო. მაგრამ დალაქმა თავისი გაიტანა მაინც. რასაც მიზნად დაისახავდა, უნდა მიეღწია კიდეც.

ანესტი მამას არაფერს უმაღავდა. ნიკო კაისიდი ვაჟიშვილის თვალეში სიკეთესაც ამჩნევდა, სპარტანელის უდრეკელობასაც. მათი გულითადი საუბარი ღიმილს ჰგვრიდა ოჯახის დედას.

ანესტი მაშინ პატარა იყო. მის ზრდასთან ერთად, მაღლა-მაღლა მიიწევდნენ ალუბლის ხეები, ტანი აიყარეს, ნაყოფიც გამოისხეს. მოგვიანებით ალუბლის ღვინოს აყენებდა დალაქი. სტუმრები ღვინოს უქებდნენ და ისიც კამყოფილი იყო.

ანესტის კი ერთი უჩვეულო სურათი ეხატებოდა თვალწინ: ოდნავ შებინდებულზე პატარა სავიკო ციციანათელებს დასდევდა ალუბლის ბაღში სიცილ-კისკისით...

ეს სურათი სამუდამოდ ჩაებეჭვდა გონებაში.

ოჯახის დედა დილიდანვე სამზადში ფუსფუსებდა. კერიის ცეცხლზე შედგამდა რკინის სამფეხას, ზედ ვეება ტაფას მოათავსებდა და თევზის შეწვას შეუდგებოდა. თავის რძალს არ ანებებდა ამ სამუშაოს, ბავშვს მიხედო.

იმ ხანებში ანესტის ძმები თევზის კოლმეურნეობაში მუშაობდნენ, თევსაჭერ კარჭაპზე. სახლში ყოველდღე ახალდაჭერილი თევზი მოჰქონდათ. ოჯახში ძირითადი კერძი თევზი იყო: ქაფშია, კამბალა, გველთევზა, კეფალი...

ანესტიმ დიდხანს იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა გაემხილა ძმებისთვის, გაგრაში რომ აპირებდა გამგზავრებას ცოლ-შვილის სანახავად.

მაინც ბოჭავდა რაღაც ძალა. ძაღლის ნაკენივით ახსოვდა მაროს მისამართით შუათანა ძმის ღვარძლიანად ნათქვამი: „ქმარი რო ჰყვარებოდა ქალბატონს, მიზეზებს კი არ დაუნყებდა ძებნას... რა უჭირს, რა, ბავშვიც დაიტოვა და სახლ-კარიც მაგას დარჩა“.

ანესტი არ გაჰპასუხებია, რადგან დალაქმა დაასწრო:

– ჩაიგდე ენა მუცელში! შენ არავინ გეკითხება მაგას!

გაანდო, როგორც იქნა, ძმებს თავისი გულისნადები.

ისინი ღუმილით შეხვდნენ ამ ამბავს.

რძლებმა კი მოუწონეს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ იმათ არავინ ეკითხებოდა.

...ალიონზე მოუწია ჩამოსვლამ. მოეჩვენა, თითქოს ქალაქს არაფრად ჩაუგდია მისი უჩვეულო განწყობა. არადა, ის უკვე თავის ქუჩაზე იდგა ორივე ფეხით, ზღვის ქუჩაზე.

არ ჩქარობდა. ჯერ უნდა დამშვიდებულიყო. ოჯახისთვის ეგრევე თავზე დაცხრომას არც აპირებდა.

ალიონი მთვარით იყო განათებული. მეზობლის ძაღლი ალაყაფთან ყეფდა.





ჩემოდანი დაუშვა და სიგარეტს მოუკიდა. ენეოდა და თან ყურადღებით აკვირდებოდა მოძველებულ შენობებს, ვიტრინებს, ჩიხებს...

ზღვის ქუჩაზე ყველაფერი ძველებურად იყო. ისევ ისე იდგა ბებერი ჭადარი და მის გვერდით ფეხსაცმლის შემკეთებლის ჯიხური, რომლისთვისაც სარკმლის გაბზარული მინა აქამომდე არ გამოეცვალათ, რაც ადგილობრივთა დაუდევრობაზე მეტყველებდა და რამაც ღიმილი მოჰგვარა.

ჩემოდანი ჯიხურის უკან ბუჩქებში დამალა და ზღვისკენ გაემართა.

ბეტონის ჯებირზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა...

ზღვა კი უჩვეულოდ მშვიდი იყო ამ დილით. მის მოსარკულ ზედაპირს ჩიტის ფრთაც კი არ გაჰკარებოდა. მომცრო ტალღები კრიალოსანივით იმარცვლებოდა ნაპირთან.

ზღვა, რომელსაც შვილივით ნატრობდა მთელი ეს წლები, აგერ იდო, ხელის განვდენაზე... გაახსენდა, შემწვარი თევზის სუნით რომ ყარდა მთელი სახლი. სამაგიეროდ შიმშილი არ უგრძენიათ. ზღვა იყო მაშინ ოჯახის მარჩენალი. რამდენჯერ გაუსილაქებია ამ ზღვას, როცა მოზრდილ ტალღებს გასთამამებია. ისიც უნახავს, ზღვის ტალღას ნაპირისკენ გამოქცეულისთვის ზეზეურად რომ გაუხდია პერანგის ამხანაგი...

„ეს არ ისვენებს არასოდეს, – ჩაელიმა თავისთვის ანესტის, – არც არავის ემორჩილება. ფეხზე ჰკიდია მეუფეც და მისი ასაბიაც. თან დიდი ჰიპნოზიორიცაა... შეხედავ თუ არა, უცებ ჩამოგეხსნება გულიდან ათასი დარდუბალა და წიკომაკოზე ფიქრი... ნეტა რამდენი წლისაა ეს ბერყეცა? ალბათ მილიონის... კაცის სიცოცხლე კი ისე ხანმოკლეა, როგორც რამდენიმე ათეული ტალღის გამორბენა ზღვის შუაგულიდან სანაპირომდე... და მაინც, მართალი ნათქვამია, ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდათიც იქ არიო“.

ბავშვობაში ზღვის ჩვამებს ბაძავდა ანესტი, თევზით რომ იკვებებიან. ხანაც ყურყუმელასავით ყატყატებდა. სანაპირო იყო მაშინ ერთადერთი გასართობი ადგილი.

გვიანობამდე რჩებოდნენ ზღვაზე. შინდაბრუნებულს დედა უწყებოდა ხოლმე, გულს რატომ მიხეთქავო. მამა ცალკე ეჯავღლანებოდა, ძმებს კი ჩუმ-ჩუმად ეცინებოდათ.

ღამდამობით მამა ძველ, ფერგამოხუნებულ რადიომიმღებთან ჯდებოდა და ბერძნულ სიმღერებს უსმენდა. ომის დროს ოჯახში რადიომიმღების ქონა სასტიკად იკრძალებოდა. ამიტომაც ცოლი სულ აფრთხილებდა ქმარს, მიმღების ხმას დაუწიო. დალაქი ემორჩილებოდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ აუწევდა, რადგან ყურს აკლდა.

„რა დალოცვილი ქვეყანაა, – ფიქრობდა ანესტი, – მინა თბილია, ჰაერი ზომიერად რბილი, წყალი ცივი და უგემრიელესი, გასაქანი კი მაინც არ არის. მთელი სივრცე ერთი მხრიდან ზღვას უჭირავს, მეორე მხრიდან – მთებს. ყაზახეთში ბუნება მკაცრია, სამაგიეროდ ყამირი მიწებია, შოვნის საშუალებაც მეტია, ვისაც შრომა არ ეზარება“.

რამდენი ოფლი დაუღვრია იმ მინაზე ანესტის. ახლა უკვე აწყობილია საქმე. მეურნეობაც გამართა და ყველაფერი. ცალკე ქვითკირის სახლიც აიშენა თავისთვის. მარტოკა ცხოვრობს იმ სახლში, ეგაა ტაბასტა ცხვარი მოაშენა საზიაროდ. ძმები უვლიან ცხვრის ფარას და ის სამიოდე მწყემსი, რომელთაც წინასწარ მოურიგდა გასამრჯელოზე. ცხენების ჯოგზე ოცნებობს ახლა... მომავალში დოღის გამართვა აქვს გეგმაში თავის საცხოვრებელ ადგილას, ვეტრენის, რომ ეძახიან. ამის თაობაზე უკვე მოეთათბირა თემურჩინს. იმან ეს მოსაზრება თავის ნათესავს გაუზიარა, მომარაგების უფროსი რომ არის, იმას... ნათესავმა რაიონის ხელმძღვანელობას აცნობა ამის შესახებ. ხელმძღვანელობამ მოიწონა ანესტის ჩანაფიქრი, დახმარება აღუთქვა.

დონ კიხოტივით მეოცნებება, თუმცა რაღაც-რაღაცები გამოუდის ჯერ-ჯერობით.

მანქანა-ტრაქტორების სარემონტოში საათივით ააწყო საქმე. კარგ ჯამაგირსაც უხდიან. ალალი შრომით მიაღწია ყველაფერს. გასაქარწყლებლად არ ემეტება. ხალხი აფასებს, რაც მთავარია, ჭკუას ეკითხებიან. ამ ხალხთან ურთიერთობაში გამოიკვეთა მისი ხასიათი. მათი მიტოვებაც ეძნელება ანესტის. დედ-მამაც იქ მარხია. ამას სადღა წაუხვალ. ძმები და ძმიშვილებიც იქ ეგულება.

გაახსენდა, სიკვდილის წინ მამამ რომ უთხრა:

– დაიხსომე, შვილო, მაგათ უნდოდათ ერთმანეთი დაგვეჭამა... მაგრამ ხალხმა გამოსავალი გამონახა... გადასახლებული ადამიანი კეთროვანივითაა, რომელსაც სიკვდილივით გაურბიან. ახლა კარგად დამიგდე ყური. თუ ოდესმე შესაძლებელი გახდება, წუთითაც არ იფიქრო, დაუბრუნდი ოჯახს... ალუბლის ბაღს. არ ჩააქრო კერიის ცეცხლი, ამას გეუბნები. იქაური ქაფშია ჯობს აქ ირმის მწვადებს. ძმებსაც გადაეცი, რასაც გეუბნები.

– კი, მამი, ფიქრი ნუ გაქვს.

ბერიკაცმა სული მოითქვა. მერე ალბათ რაღაც გაახსენდა, ჩაელიმა და განაგრძო:

– გაზაფხულზე, ალუბლის ბაღი კვირტებს რო დაიყრიდა, თოვლის-ფერად და ვარდისფერად რო აყვავილდებოდა, ისეთ სურნელს დააყენებდა ეზოში, ჰაერით ვერ გაძლებოდი... და ეს აფეთქებული ხეები თითქო ცისკენ მიფრინავდნენ ტაატით, ასე მეჩვენებოდა. მეჩვენებოდა კი არა, ასე იყო, თუ დამიჯერებ. ცისკენ მიფრინავდნენ, ანესტი.

– ვიცი, მამი, მეც ასევე მეჩვენებოდა.

– მართლა?... ბარაქალა! ცისკენ მიფრინავდნენ, ხომ?... რა არი ადამიანი, ოცნება და წარმოდგენა თუ წაერთვა. ხვადაგია, სხვა რაღა... მთელი ამ მორთულობით, სურნელებით და მშვენიერებით, ცისკენ მიიწვოდნენ. ეს იყო სიცოცხლე, რომელიც სიკვდილსაც გააშეშებდა. ეს იყო ზღაპრული სილამაზე, რომელსაც ვერცერთი მხატვარი ვერ მოიგონებს ცხოვრებაში... და მეც, თუ დამიჯერებ, მეც მათთან ერთად მიფრინავდი ცისკენ.

– მჯერა, მამი, მეც ასე მემართებოდა.

– არ მითხრა! თუმცა, რატომაც არა... რატომაც არა! აი, რაზე მწყდება ყველაზე მეტად გული. ოდესმე თუ დაბრუნდი, არ მიატოვო ალუბლის ბაღი ბედის ანაბარა. თავის დროზე უნდა შენამღვა, შემობარვა...

– არ მივატოვებ, მამი.

– გასხვლა არ დაგავინყდეს, რაც მთავარია.

– არ დამავინყდება, დარდი ნუ გაქვს.

– თუ დაბრუნება ვერ მოახერხო, ეს მაინც არ დაივინყო, რაც ახლა გითხარი.

– არ დავივინყებ, მამი.

– თუ ეს გეხსომება, მეც გაგახსენდები მაშინ...

– რა თქმა უნდა, მამი.

– გამიგონია, პოეტს უთქვამს, მე ვალში დავრჩი იაპონიის ალუბლებისა და მშობლიური საქართველოს წინაშეო...

– ვიცი, მამი, წამიკითხავს. მაიაკოვსკის ნათქვამია.

– ბინიერების ბუდე დედამიწაა. ზესკნელშია უბინობა. ყველგან უსამართლობის ატანა დამამცირებელია, შვილო... ზესკნელის წარმოდგენა კი შეუძლებელია. ერთი სულეთის მიღმა მეორე სულეთია; იმის იქით და იმის იქით და იმის იქით ისევ სულეთია... ვარსკვლავეთის წარმოდგენა შეუძლებელია – ესაა სამყარო უკიდევანო... სამყარო – უსაზღვროობაა... არსად იწყება, აღარსად მთავრდება. რასაც აქ იმსახურებდი და არ გეძლოდა, იქ





აგინაზღაურდება, ამას გეუბნები!

– კი, მამი, ნამდვილად ასეა.

– ახლა დამტოვე. მარტო მინდა ყოფნა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ დალაქი გარდაიცვალა. სახეზე მშვიდი ღიმილი დაჰფენოდა.

ანესტის ეგონა, მშობლიური გარემო მოჰგვრიდა სიმშვიდეს. ყველა სირთულეს გაუმარტივებდა. მაგრამ ასე არ მოხდა რატომღაც. ერთადერთი სიხარული, რასაც ელოდა, ცოლ-შვილთან შეხვედრა იყო.

როგორი იქნებოდა ეს შეხვედრა მამა-შვილისთვის, ამაზეც ფიქრობდა ამ წუთებში.

იქნება შეიცვალა მარო?..

მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ერთმანეთი არ უნახავთ, იქნებ ვერ ჩაეტია მისი მოლოდინის უნარი?.. მართალია, ეჭვი არ ეპარება ქალის პატიოსნებაში და მაინც... ვინიცობაა, შეეჩვია ისეთ ცხოვრებას, როგორიც ჰქონდა და ქმარი არაფრად ეპიტიანება?..

ისიც კი არ იცის ანესტიმ, ხშირად იხსენებდა მარო ქმარს თუ იშვიათად?..

ეს ეჭვები აწვალებდა იქაც, ყაზახეთის ტრამალებზე... იქ აწყობილი ჰქონდა საქმე. აქ კი თავიდან მოუწევს ცხოვრების დაწყება.

რა უნდა გააკეთოს მაინც, ისევ ავტობუსის საჭეს მიუჯდეს?.. სათა-კილოდ არც ეს მიაჩნია, მაგრამ ამდენი ნაშრომი-ნაჯაფარი წყალში რომ ჩაეყრება?.. სახლ-კარს რაღას უპირებს, ცხვრის ფარას... გაყიდვაც, რომ დააპიროს, შესაფერის მუშტარს სადღა იშოვის?..

და გაახსენდა რატომღაც: პატარა რომ იყო, ხუთიოდე წლისა, მამას შეეკითხა:

– ხეებს რატომ სცვივა ფოთლები, მამი?

დალაქი ჩაფიქრდა.

– არ ვიცი, შვილო, – თქვა. მერე დასძინა: – შენ თვითონ როგორ ფიქრობ, რატომ სცვივა ხეებს ფოთლები?

– იმიტო რო ფესვები დაიფაროს ყინვისაგან.

დალაქი გააოცა მოსწრებულმა პასუხმა.

– ბარაქალა! – უთხრა და თავზე გადაუსვა ხელი.

რატომ გაახსენდა მაინცდამაინც ამ წუთებში ეს საუბარი მამასთან?.. ცოტა ხანს ფიქრობდა და მერე ჩაელიმა. თავისთვის ჩაილაპარაკა: „სწორედ ის ფოთლები მაკლია ახლა მე...“

უცნაურია, მიჩვევა იცის თურმე ადგილმა. თუნდაც ისეთმა, როგორიც ტრამალია. ესეც თავისებურად იზიდავს თვალს. რანაირ ფიქრებს არ აგიშლის ეს ბიბლიური პირველყოფილობა, უკაცრიელი, უსასრულო სივრცე... ბარხანები და ბუჩქებთან აქა-იქ გაბნეული ვაციწვერები.

წინათ ამაზე არასოდეს დაფიქრებულა.

...ქალაქს ეძინა. მხოლოდ ლადოს სათონე ხმაურობდა. ტაფ! – მოისმოდა იქიდან. გაბრტყელებულ ცომს თონის გაცხელებულ კედლებზე აკრავდა ლადო. ჩაყვინთავდა და ამოყვინთავდა... ბოლოს, როგორც კი სულის მოთქმის საშუალება მიეცა, უცხო სტუმარს გაუშტერა თვალები, ფართოდ გაღებული კარის ზღურბლთან რომ იდგა ჩემოდნით ხელში.

ყურადღებით დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო. ნაკვერცხლებს, ეტყობა, საგრძნობლად დაეზიანებინა მისი თვალისჩინი.

– გამარჯობა, ლადო ბიძია. ვერ მიცანი?

– დედა, ანესტი ხარ, ბიჭო?! – გადაეხვია და თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

წინსაფრის კალთით ამოიმშრალა, დასძინა: – თვალები, ეს ოხერი... ხმით გიცანი, ხომ იცი.

– ექიმთან არ ყოფილხარ?

– ვიყავი... მაშ, ჩამოხვედი, არა?... დედ-მამა, ძმები?

– მამის გარდაცვალების შემდგე, აღარც დედაჩემს უცხოვრია დიდხანს. ძმები იქ არიან.

– ეჰ, აცხონოს ღმერთმა... მამაშენთან ვიპარსავდი წვერს. კერკეტი კაცი იყო, მაგარი. მახსოვს, ქალაქში ცნობილი შფოთისთავი, რომელმაც ქალიშვილი გააუპატიურა და სასჯელი მოიხადა, მამაშენს მიაღდა წვერის გასაპარსად. იმან კი უარი სტიკა! ასეთებს მე არც წვერს გავპარსავ და არც გვერდით მიეუჯდებიო... ან იქედან ფეხი არ მოიცვალო, იცოდე!

– ცოლ-შვილს ვნახავ და მოვიფიქრებთ რამეს... სხვა, ოჯახში ხომ კარგად, ლადო ბიძია?

– კარგად ყოფნისა რა მოგახსენო, ვართ ისე... ამხნის კაცი ცეცხლს ვეთამაშები, აგერ! ხვალ-ზეგ დავბრმავდები ალბათ...

ხმაში სიცივე შეეპარა, მაგრამ ანესტის ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ლადომ გაზეთში შეუხვია რამდენიმე ცალი ცხელი პური, ფულის გამოთმევაზე ცივი უარი განაცხადა და გამოემშვიდობა.

ანესტი შინისკენ გაეშურა.

ალაყაფის კარი ბოქლომით იყო შიგნიდან ჩაკეტილი. სიმამრთან იქნებიანო, დაასკვნა გუნებაში.

– სავა! მარო! – დაიძახა ხმამალლა, ვინიცოხა, ვცდებიო.

პასუხი რომ არ მიიღო, სიმამრის სახლისკენ გასწია.

აქვე შორიახლო ცხოვრობდნენ მისი სიდედრი და სიმამრი.

სწორედ ამ დროს მისი კარის მეზობელი გამოისვეტა ქუჩაში.

– ბეხუ! – დაუძახა ანესტიმ.

იმან კი რატომღაც ხელი მოიჩრდილა, თუმცა მზე არ აცხუნებდა ჯერ-ჯერობით.

– აუ, ამას ვის ვხედავ! – დაიბუხუნა ლომივით და გამოექანა მისკენ. გადაეხვია და გადაკოცნა, – შენ გენაცვალოს ბეხუ! დააღწიე იმ ჯოჯოხეთს თავი, ხომ?... აუ, ეს რა დილა გათენდა...

– არავინაა შინ, – გაანწყვეტინა ანესტიმ, – სილოვანთან იქნებიან ალბათ, ჩემს სიმამრთან. უნდა წავიდე!

– აუ, ეს არ მაკადრო, თუ გიყვარდე. არსადაც არ გაგიშობ, ნანას გეფიცები! ამ წუთში ცხელ პურს მოვარბენიებ და ვიზაკუსკოთ. რამდენი წელია არ მინახიხარ, შე კაცო!

– აგე, ცხელი პური, ოღონდ დიდხანს ვერ დავრჩები, ცოლ-შვილი მენატრება, გამიგე!

– ხო, კარგი, კარგი... – რაღაც შეცვლილი ხმით უპასუხა იმან, მაგრამ ანესტის არც ამისთვის მიუქცევია ყურადღება.

მასპინძელმა კარი ფართოდ გამოაღო. სასტუმრო დარბაზში შეუძღვა სტუმარს და ცოლს გასძახა:

– დოდო, ადექი! სტუმარი გვყავს, რო გაგიხარდება, ისეთი.

– არ გინდა, ნუ შეაწუხებ, – გადაულაპარაკა ანესტიმ.

– მოვდივარ, – მოისმა ქალის ხმა.

კარი ფრთხილად შემოაღო.

– ვაიმე, ანესტი...

დიასახლისი გაოგნებული შეჰყურებდა.

– როგორა ხარ, დაიკო, – ანესტი ხელზე ემთხვია და შუბლზე ეამბოროა, – სულაც არ შეცვლილხარ, ხომ იცი. ეს კაცი რო დამიბერე, ამას რა ეშველება?





– მოუკლოს სმას და ეშველება!

– ჰე, მაგნები შვიდშაბათს! დატრიალდი ახლა, სტუმარი ღვთისაა. მერე და როგორი სტუმარი!

– ხუთი წუთი მაცალეთ და მზად იქნება ყველაფერი! – და სამზარეულო-სკენ გაემართა.

ანესტიმ ჩემოდნიდან კანფეტები, შებოლილი ძეხვი და ერთი ბოთლი არაყი ამოიღო, მაგიდაზე დააწყო.

– კი მარა, არაყი იქიდან არ ჩამოგეტანა, აქ არ იშოვებოდა?

– რა ვიცი, იქ არაყს მივეჩვიე. ღვინოს ნაკლებად ეტანებიან. ბიჭი დიდი იქნება ახლა, მუშაობს სადმე?

– სტუდენტია, სასოფლოზე სწავლობს.

– რას ამბობ! გოგო?

– მომავალ წელს საშუალოს დაამთავრებს და ვნახოთ... სოფელში არიან ამჟამად, ბებიასთან. შენი ამბავი მომიყევი, თუ გიყვარდე. მშობლები თუ არიან სალ-სალამათად?

– აღარ არიან მშობლები, ჩემო ბებუ!

– ეჰეი, მარჯა, სადაურს სად მოესწრაფება სიცოცხლე?.. აცხონოს ღმერთმა, სადაც არიან. ძმები?

– ძმებს არაფერი უჭირთ. სახლი აიშენეს საზიაროდ. დაცოლშვილდნენ. მუშაობს ორივე.

– ძალიან კარგი. გამიხარდა, ნანას გეფიცები!.. ერთი წუთით დაგტოვებ. არ მოინწყინო.

მერე სამზარეულოდან მოისმა მისი ხმა:

– დაურეკე მაგნებს! აქ მოვიდნენ. მე არ ვარ მაგის მთქმელი... გეყურება, დედაკაცო?

ანესტის ქართული კარგად ესმოდა, მაგრამ ვერ მიხვდა, ვისთვის უნდა დაერეკა დიასახლისს ამ უთენია და რატომ...

სუფრის გაშლას მართლაც წუთები მოანდომა ბებუს მეუღლემ. ანესტიმ შეამჩნია, ნამტირალევი სახე რომ ჰქონდა სამზარეულოდან გამოსულს.

...ამ დროს დარბაზში გაძვალტყავებული ბერიკაცი შემოიღანდა და ანესტისკენ გაემართა სლუკუნით.

იმან კი ვერ იცნო თავისი სიმაძრი.

– მე ვარ, ბიჭო, სილოვანი... გაუბედურებული სილოვანი, ააჰა-ჰა-ჰა...

– ტირილით ჩაეხუტა ანესტის და მდულარე ცრემლით დაუნამა პერანგი,

– აღარა გეყავს, ბიჭო, სავიკო... ზღვამ წაგვართვა ჩვენი თვალისჩინი... ააჰა-ჰა-ჰა... რამდენს გელოდა... აი, ახლა ჩამოვა ჩემი მამიკო, ჩემი მამიკო აუცილებლად ჩამოვაო... ველარ მოესწრო მამიკოს ნახვას სავიკო... ააჰა-ჰა-ჰა... მე რა მაცოცხლებს ან ეს დედაკაცი როგორ დგას კიდე ფეხზე...

კართან უღონო, ბერიკაცზე გაღეული მოხუცებული ქალი იდგა და მდინარეში ჩაშვებული ტოტივით კანკალებდა. ის წამდაუნუმ პირს ალებდა, მოთქვამდა ალბათ, მაგრამ ხმა კი არ ამოდიოდა ხორხიდან.

დარბაზში ყველა ტიროდა. ბებუ, მისი მეუღლე, ტიროდნენ მოხუცები.

არ ტიროდა მხოლოდ ანესტი.

ის გაქვავებული იდგა ადგილზე. მისი გაფითრებული სახე თითქოსდა თაბაშირისგან გამოეძერწათ.

ეს გაფითრება გადაჰფარებოდა უსაზღვრო ტკივილს, რომელსაც მოეცვა ანესტი თხემით ტერფამდე.

პირჯვარი გადაინერა და ოდნავ გასაგონად, ლოცვასავით აღმოხდა:

– ცოცხალს გნატრობდი, შვილო. მკვდარსაც ვერ მოგისწარი.

ტყვიასავით დაუმძიმდა ფეხები. კარის მეზობელს გადახვია მხარზე ხელი, ეუბნება:

– საფლავი მაჩვენებ, ბეხუ!
ტაქსით გაემართნენ სასაფლაოსკენ, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობდა.

„სავიკო კაისიდი. 1945-1961“ – ამოეტიფრათ საფლავის ქვაზე.

ქვაში ჩასმული სურათიდან კი თექვსმეტიოდე წლის ბიჭი უდარდელი ღიმილით შემოჰყურებდა.

– მოვედი, მამიკო...

ანესტი მუხლებზე დაეშვა.

საფლავის მიწას ემთხვია. მერე ნაზად გადაუსვა ხელი, მოეფერა და გადაემხო ზედ.

ასე იყო ერთხანს.

უცებ მხრები აუძაგდაგდა...

ბეხუმ, როგორც იყო, წამოაყენა და იქვე მოკალათდნენ, მერხზე.

კარგახანს გასტანა სიჩუმემ. რომელიღაც ხეზე შაშვი გალობდა.

ანესტიმ წყნარად იკითხა:

– მარო რა იქნა, კი მარა?..

– ეჰ, მარო, მარო...

...გასვენების შემდეგ ის ყოველდღე ამოდიოდა თურმე სასაფლაოზე. თანაც, ყოველდღე ფეხშიშველა ამოდიოდა...

ხან ყვითელი ფოთლები ამოჰქონდა, ხანაც ასკილის ყვავილი ანდა ბზის შეფოთილი რტოები. საფლავს უვლიდა, მოთქვამდა, ხანაც ხმამაღლა ესაუბრებოდა შვილს... მერე კი ნანას უმღეროდა ტირილგარეული ხმით. უცებ ჩაიკარკაცებდა, თითქოსდა არაფერიო.

შინდაბრუნებული, მისი უცნაური ქცევით შემკრთალ დედ-მამას თავზე დააცხრებოდა, ეჯაჯღანებოდა და წყევლიდა, თქვენ მომიკალითო შვილი...

და ტიროდნენ მოხუცები, სხვა რაღა დარჩენოდათ... ტიროდნენ...

– ფსიქიატრიულშია ახლაც... – ჩაილაპარაკა ბეხუმ.

– გასაგებია.

სასაფლაოდან რომ დაბრუნდნენ, ბეხუმ ბევრი ეხვეწა, ერთად ვივახშმოთ, ამაღამ ჩვენთან დარჩი, ღამე ჩვენთან გაათიეო, მაგრამ იმან იუარა.

მოხუცებს ალაყაფისა და სახლის გასაღები ბეხუს ცოლისთვის დაეტოვებინათ. იმას ოთახები გაუნიავებია, მაგრამ მამისეულ სახლში მაინც ნესტის სუნი იდგა.

სავას დაღუპვის შემდეგ, ეტყობა, მაროს აქ ღამეც არ გაუთევია.

ანესტი სავარძელში ჩაეშვა. ბეხუს ცოლი კართან იდგა ამ დროს, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, მყუდროება არ დავურღვიოო, და სიტყვის უთქმელად გავიდა.

...გაიხსენა, რასაც ბეხუ უყვებოდა სასაფლაოზე სავას დაღუპვის შესახებ. ცალი ყურით უსმენდა. გაღიზიანებული ჩანდა... პირველად ის იღუპება, ვინც სხვებზე გამბედავიაო, ამბობდა ბეხუ. ის მეორე არ იყო თურმე გამბედავი. ეს რომ მიეჩქმალა, ამიტომაც გადაეშვაო აბობოქრებულ ტალღებში... ანესტის არც აინტერესებდა „იმ მეორის“ ვინაობა. რომელიც გადარჩა. გადაარჩინეს... მის გადარჩენას შეეწირაო სავიკო.

ხელის მოძრაობით ანიშნა, გაჩუმებულიყო.

...ოთახი სამარისებურ სიჩუმეში ჩაიძირა.

როდის-როდის ჩასთვლიდა.

ძილში მამის აჩრდილი გამოეცხადა.

„გაძლება უნდა ამას, შვილო,“ – წყნარად უთხრა.

„შენ უკვე იცი?“ – გაიოცა ანესტი.





დალაქმა ოდნავ დაუკრა თავი.

„სად იყო მაშინ ღმერთი, მამი?... ტყუილია სუყველაფერი, რასაც მიქა-დაგებდი“.

„ნუ ამბობ მაგას, ანესტი! ღმერთი აქ არაფერ შუაშია“.

„შენ არ ამბობდი, ყველაფერი ღვთის ნებით ხდებაო?!“

„ღმერთზე ასე არ ლაპარაკობენ, შვილო“.

„კარგი, ერთი, მამი... სიტყვებს რა თავში ვიხლი. არა მჯერა უკვე სიტყვების“.

„არც დაიჯერო. ღმერთს კი აუგად ნუ მოიხსენიებ. ის არაფერ შუაშია, გიმეორებ“.

„მა ვინ, მამი? რა ცოდვა ედო სავიკოს ან მე, ან მაროს?!“

„ეს არც სავიკოს ცოდვის გამო მოხდარა, არც თქვენი... იმისთვის მოხდა, რომ გამოვლენილიყო ღვთის ჩანაფიქრი“.

„რა ჩანაფიქრი, მამი, ნუ გადამრიე!“

„მოვა დრო და თვითონვე მიხვდები ყველაფერს“.

„არ ვიცი... ჩემთვის უკვე ყველაფერი დამთავრებულია“.

„ყური მიგდე. მკვდარსაც უნდა პატრონი, შეშლილსაც“.

„შენ რა, მაროს შესახებაც იცი?...“

„მე ყველაფერი ვიცი, შვილო... ყველაფერი ვიცი, დამშვიდდი“.

უცებ... თვალწინ დაუდგა ბედნიერი ღიმილი საფლავის ქვაში ჩასმული სურათიდან და ან გარდასული ჭაბუკის გაფითრება... და პატარა სავიკო, ციციანათელებს რომ დასდევდა ალუბლის ბაღში...

თვალეები გაახილა. ცხადს დაუბრუნდა. შუალამე გადასული იყო უკვე.

წამოდგა. შუქი ჩართო.

აივანზე გავიდა მოსაწევად. ენეოდა და ოდნავ განათებულ ქუჩას გაჰყურებდა. ტაფ! – მოისმოდა ლადოს სათონედან. სიჩუმე ხმაურობდა მასში, როგორც ზღვის ტალღა, რისი დაოკებაც შეუძლებელია... ათასი აზრი და წარმოდგენა ერთურთში არეულიყო და ელვის სისწრაფით ენაცვლებოდა ერთიმეორეს.

ოთახში შებრუნდა. სქელტანიანი ფოტოალბომი გადაშალა, სავიკოს სურათებით სავსე. ანესტი აკვირდებოდა, როგორ იცვლებოდა ის წლიდან წლამდე და სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა მამას.

უეცრად გააჟრჟოლა. მერე კი თითქოსდა ცეცხლი მოედო მთელ ტანზე. ოფლმა დაასხა. ცახცახი დაანყებინა. ისევ სავარძელში ჩაეშვა და მერე არაფერი ახსოვს.

ასეთ ყოფაში მიუსწრო ბეხუმ, კარის მეზობელმა.

ორ კვირას იავადმყოფა ანესტიმ. ნემსებით გამოჰყავდათ.

ერთხელაც, როცა ქალმა საუზმე აუტანა, საწოლში არ დახვდა. სხვა ოთახებშიც შეიხედა, მაგრამ ამაოდ. ანესტი არსად იყო. შემფოთებულმა დედაკაცმა მაშინვე ქმარს აცნობა ამის შესახებ.

ბეხუმ სახლს ირგვლივ შემოუარა. პირველ სართულზე, სამზარეულოში და საკუჭნაოშიც შეიხედა, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს ალუბლის ბაღს მიაშურა. და დაინახა, ბაღის ერთ კუთხეში ანესტი ბარს დაყრდნობოდა ცალი ხელით.

ალუბლის ხე შემოებარა.

– სხვებიც უნდა შემოვბარო, – ეუბნება კარის მეზობელს.

– მაგის დარდი ნუ გაქვს; მეც მოგეხმარები, გენაცვალოს ბეხუ ფაღვაში! ცოტაოდენი დუმილის შემდეგ ანესტიმ წყნარად ჩაილაპარაკა:

– გადანყვებილი მქონდა, მაგრამ ვერ შევძელი, ხომ იცი... ვერ შევძელი ეს, ბეხუ. იქნებ ავადმყოფობამ შემიშალა ხელი, ანდა ვაჟკაცობა არ მეყო...

– ძალიან კარგი, რომ ვერ შეძელი. არც სავიკოს გაუხარდებოდა ეს ამ-

ბავი, აღარც მამა ზეციერს, ნანას გეფიცები!

ანესტი ნაღვლიანად ილიმებოდა. მერე თქვა:

– შემობარვას რო მოვრჩები, გავსხლავ.

– ყველაფერს მოვასწრებთ. დრო ყველაფრისთვის გვეყოფა, გენაცვალოს ბეხუ!

– როცა არაფერს აკეთებ, დრო თავზე საყრელადაა. საკმარისია რაიმე წამოიწყო, ისიც მაშინ აჩქარდება მაინცდამაინც.

– რა ვიცი, ზოგი ისე ხარჯავს დროს, ქალაქში მოგებული ფული იყოს თითქოს.

– ეეჰ, ჩემო ბეხუ, ამდენი არასოდეს მიფიქრია, რაც ამ ავადმყოფობის დროს... და იცი, რას მივხვდი? ცხოვრება ცხოვრების ყოველდღე თავიდან დაწყება ყოფილა თურმე.

– მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ, ანესტი. ნაკითხობას ნამდვილად ვერ დავიკვებნი, მარა რაც წამიკითხავს, ზედმიწევნით მახსოვს, ნანას გეფიცები. ბრძენკაცის ნათქვამია: „მიზანი თავია, ტანი – საშუალებაო“.

– კარგი ნათქვამია. თავი ფიქრობს, ტანი კი ჩაფიქრებულს ასრულებს. აბა, ფეხი კი არ ფიქრობს, არც ხელი, ჩემო ბეხუ. ხოდა, დაუკვირდი, რა საოცრებაა ეს, ფიქრის უნარი რო მოგვანიჭა უფალმა. ამასთან, მეტყველების უნარიც. ყველა ხალხი თავის ენაზე საუბრობს... და რამდენია ეს ენა მსოფლიოში. ალბათ ასზე მეტი. ამის შემდეგ რატომ უნდა გამიკვირდეს, სული თუ უკვდავია ამ ქვეყანაზე. განა ეს უფრო განსაცვიფრებელი რამაა?.. და მაინც, ჭკვიანურ აზრებს ჭკვიანურად გაკეთებული საქმე მირჩევნია, ჩემო ბეხუ.

– ეს კი ასეა, ნანას გეფიცები!

– ეეჰ, სახლიც შესაკეთებელია. ეს მაფიქრებს ახლა ყველაზე უფრო.

– ყველა საქმეში გვერდით დაგიდგები, ისე გაიხაროს ჩემმა ცოლ-შვილმა. ხოდა, ახლა რაღაც მინდა გითხრა...

– თქვი, შეკაცო, რა უნდა იყოს ისეთი.

– ქალმა ლომი ამოაგო. შემწვარი კეფალი გვაქ, ტყემლის წვენი... კაჭიჭის ღვინო, ისეთი რო...

– წავიდეთ, აბა, რაღას ვუდგევართ!

– აგაშენა ღმერთმა!

ალუბლის ბაღს გაუყვნენ ტაატი.

– წელს ალუბლის ღვინოს დავაყენებ. ვნახოთ, რა გამოვა, – ჩაილაპარაკა ნაავადმყოფარმა.

– ღვინის დაყენებას ცოდნა უნდა, ანესტი. მაგი მე მკითხე! მამაშენს მე ვეხმარებოდი ამ საქმეში.



სადღაც მამალი ყოოდა. ყეფდა ძალღი და ისმოდა ავტომანქანების საყვირის ხმები.

ვარდისფერი მზე მთის თავზემით ეკიდა და რბილი სხივებით ანათებდა პატარა ზღვისპირა ქალაქს.



თათია ქობალია

უჟამო მზის პოვნისათვის

ააცილე სუნთქვა ფილტვებს და მოკვდები. გაჩუმებულმა გაიარო უნდა მერე დერეფნები. ყველა სიტყვაზე იფიქრე. უჩემო დღეებს გპატიობ. ხეებს გამჭვირვალე ტირილი მოსავთ და ჰაერი ჰკიდიათ ტოტებზე.

შენზე ვფიქრობ, რომ სინანული გვჭირდება, ჯვარს როცა ეპოტინები. ვაი ჩემდა და ვაი შენდა უჟამო მზის პოვნისათვის.

თმებს შევაჭრი და ისე გავუშვებ უცხო ქალაქში, დაგვიანებული სტუმარივით რომ მივა და კარებს ვერ იპოვის დასაკაკუნებელს, გაცოფდება ჩემზე და – დედა რა გვეშველებაო, სულ შენ დაგაბრალო უნდაო – და იმ უცხო ქალაქში უცხოს შეიყვარებს ჩემი თმებშეჭრილი მზე.

მე მსურს გაგახალისო ხუმრობასავით, რომელიც არასოდეს გაბრაზებს და უნდა გითხრა, რომ სხვამ წამიყვანა ცოლად შენამდე და როგორ არ წავყოლოდი, მან ხომ გვირილების გვირგვინი დაუგო ბუდედ ჩემს ბარტყებს.

გატყუებ კუკლა. არსადაც არ გიშვებ უჩემო ჩაიზე. გაბრაზებულმა აღარ ისურვო მინდა ცაზე აბრძანება და მინდა მანანწალა მზე-ძალად გაქციო, რომ ცარიელ ცას აჰყმოდე პატიებისთვის. რა აზრი აქვს შენს შელოცვას, წვიმად რომ ჩამოაქცევ ცას. ძვლების სიმყრალე აგატანინებს ბოლოს მთაზე შენს სხეულს და თავს გაანებებ ბოლო-ბოლო ჩემს ნათხოვარ ტანს და აბრუნდება დაღლილი, სამათხოვრო ხასიათის შესაცვლელად, რომ არ გეცლება მასე შენი სპირალის ხვეულებში გზის გასაგრძელებლად, რომელიც ძალიან მინდა სიურრეალისტების კინოში ნანახ ლოკოკინას ჰგავდეს ჩემი ტვინივით, შე დახურდავებული...

ცა თავზე ჩამომექცა მეგონა და შენ ხელებით დამიჭირე ზეცა. დამიკრიფე გახუნებულ ბალახზე უფრო ყავისფერი სიტყვები, პეპლებს წაართვი საყვარლები და მეც წავალ.

შენ და შენ, ახლა რომ შელოცვასავით ისმენთ ჩემს ხმას, უფრო მონოტონურად მოგიყვებოდით მთელ შემოდგომას, რომ მემეტებოდე! ღმერთო, ხომ მღებულობ არა ისეთს? ნაომარი ვარ და შენ ჭრილობებზე რძიან საფენებს მადებ, რომ მიშველოს.

ანათე, ანათე ცები. დღეც და ღამეც, ვითომ ლამპიონებია. მოტყუებული ქუჩები! ჩემზე უკეთ შენ არჩევ ფერებს და ხვდები, რის გაკეთებას ვაპირებ ისევ გათენებამდე. ხმელი ფოთლების სუნიანო ზამთარო, უთოვლო!

უცქირე ჩემს დახრილ ტოტებს. ქვემოდან ნეტა როგორი ვჩანვარ, ფესვებო. ძალმა ჩაიარა. ის, არასოდეს რომ გვაკლია, ახლა სად არის? რატომ განმსაზღვრავ, ჰოი მიწაო! ვერ ვუყურებ მზეს, როგორ მელოდება, რომ ტოტები მისკენ შევატრიალო. მაგან რა იცის, როდის უნდა შემოსოს გაზაფხულმა. და ჰგონია, სულ მის გამოჩენას უნდა ელოდოს ჩემი ტანი. შენი ცოლები, როცა მე გამიხსენებენ, ბრაზი მოერევათ და უგემურ ყავას მოგიხარშავენ წყევლა-კრულვით და ჩუსტების მოტანა არ მოუნდებათ, რომ ფეხები გაგეყინოს და ჩემთან აღარ მოხვიდე ჩემი სხეულის დასასუნად, რომელიც ყველაზე ძალიან გემშობლიურება ბავშვობის მერე და რომლის

ტოტებზე ჩამონათოვიც ყველაზე დიდი ზღაპარი გეგონა. ტვინს გიჭედავენ, რომ ჩვენი დიდობა ბავშვობით იზრდება, არა? მე, რომელიც გეგონა რომ სულ სადღაც მივდიოდი, სულ აქ ვდგავარ და შენ გაუთავებელ წრეებს მარტყამ გარშემო, რომ არავინ მოვიდეს და ჩემთან არხეინი ფიქრით წამოწილილს, დიდი ბელტების შემყურეს იგივე არ გაახსენდეს, რაც შენ.

გიტოვებ ჩემი ტანის სუნს ხელებზე, რომ ვერასოდეს მიხვდე, ეს მე ვიყავი თუ შენ მერომელილაცე ცოლი.

მშვიერი მზე ჰყავს შემოდგომას, დამთავრებული, გაღებული, საწერად გამეტებული ფურცელივით ცარიელი. აცოტავდა ჰაერი, საშენოდ საწერ სიტყვებს ძალა გამოელიათ იმიტომ, რომ აღარ ელოდები. ცივი სამოთხეებივით არიან დღეები. მერამდენედ მოუკვდი შენს თავს და ახლა მეც. შორს, შორს, Fucking! ტვინი უნდა წაგიდო. სვი ახლა უჩემო ჩაი. ველარასოდეს მიპოვი იცოდე, როცა ძებნას დამიწყებ ავადმყოფი ძალღივით. შენი ბედისწერასავით გავხდები, არადა, სიყვარულს.


მესურვილება ახლა გიკითხო წიგნები და ზამთარი. რა მაგარი! უფლებას არ მაძლევ ცერებზე ვიარო შენს გარშემო. დახედე ხელისგულებს. იქ მე ვარ. ყველა ხაზის გადაკვეთაზე ვდგავარ იმ ბაქანივით, შენ რომ უნდა გაჩერდე და როგორადაც არ უნდა ჩქარობდე, თან უნდა წამიყვანო და მაინც ყველგან მე ვიდგები და ყველადან უნდა წამიყვანო თან. უნდა მოთოვოს სიბნელესავით და მაშინ მიხვდები, რად მიღირს ყოველი სიტყვის დანერა.

დავიბრალე კიდეც ერთხელ ყველაფერი, შენ ერთადერთი ჩემი სიადვილე ხარ. დავიწყე ომი, მეჭექაქუხილე. გავიარე შურისძიების ნაპრალები და ახლა უკან გზაზე ვარ. შენთვის პატიებისთვის მივდივარ ალთქმულ კუნძულზე. ყველა უჩემო დღე უნდა გაპატიო. ყველა გადაჩურჩულებებს შენთან ვატან ბავშვობაში აგურნაჭამი თოჯინის წამწამების ფახულს. გაყურებულია რალაცის მოლოდინში დღე და იცის რომ ხარკს ვიხდი ჯერ კიდევ.

იცოცხლე, ამ ყველაფერზე ცუდი რა არის? უჩემოდ კი არა, უღმერთოდ ყოფნას რომ ვერ შეელიე კიდეც. არადა, მარხვა იწყება უკვე. სულმოუთქმელად, სულმოუთქმელად ვწერ ოცნებებს და თუ კარგი გოგო ვიქნები, იქნებ შემისრულო, შობის ვარსკვლავო! მზეო, შემო. გულში ჩავიკრავ თქვენს იმედებს და ჩემს შეკეთებულ ფრთებსაც ვათხოვებ თვითმფრინავებს ცაში, მზესთან, უფრო ახლოს, ახლოს, ახლოს. ცხელა და ამ სიცხისგან ცივა, როგორც წითელს, თუ მეტი ცისფერი შეერია. ახლა უფრო მინდა ზამთარი გიკითხო, სიბრძნეიდან ამოჩემებული შეგრძნებებით გაშინო. წვა და დაგვა გაყარო თავზე აქანდაზის მტვერივით. ახლა, როცა ყველაზე ძალიან მარტო ხარ და იცი, მარტო ვარ მეც. დიდი იისფერი ყვავილივით.

ვათევ. ცას აკანკალებს დილა. გიყვარს ასეთი სიფხიზლე ზურგში დარტყმასავით. შენ უკვე გგონია მორჩი ყველაფერს, არ გინდა ბრუნვაში ატრიალო ეს ტკივილი და ამიტომ აღარ წერ; უხასიათოდ ვარ და დაგანგრიო უნდა თავზე, ჭერი რომ გგონია, ის ცა. ქანცის განყვეტამდე გაცეკვებ ჩემს დაკრულზე. მომწონს ასე თავუკულმა ატრიალებული გრამატიკა. მედავე რამდენიც გინდა, რომ დახვეწილად ჯობია სიტყვების დალაგება. გაჩლუნგებს იცოდე შეთავსებული ფუნქციები ტელეფონის Setting-ებივით. ყველა ხმა დამთავრდა. ოღონდ არც მოუთოვია, ისე. შობა ღამეა, ოცნებები რომ უნდა ხდებოდეს, ისეთი.

მიკვირს ეს თოვა. იბრალებს ზამთარი უკვე. თავს ნუ ეურჩები. მწერის საცეცებივით დაწვრილებული წერვები წამომახტუნებენ ამ უშუქო თოვაში





და მაცეკვებენ. ბრმა უსინათლობაა და მაინც არ ჩუმია. ფიქრები თავს განებებენ და ახლა შენც იბრალე, ზამთარი კი არა. მზე... უკვე რამდენი დილაა არც გამხსენებია.

დეკემბრის ცას ზამთარი მოენატრა და სიცივით დაავდრდა ამ დილას. სუნი დადგა გაყინული სუნთქვის. ფერი ისეთი აქვს ცას, შეგეცოდება. დაბნეულობა გამოსავალი არ არის, თურმე. ძაფები გადააწყდა ზამთრის მზის მოთმინებას. ეცადე, დააგდო ქვეები და ისე გაიქცე. ცოტაც მოითმინე. ყველაფერი კარგად იქნება. არ გენერინება, არა? არდაცლილი ფიქრები ამოგხიეს და შეგინახეს. ასე უყველაფრო ხარ ახლა. გადაკეტე ყველაფერი. ხელს ნელ-ნელა რომ მომუჭავ და თითებიდან მზე ნელ-ნელა რომ გაგეპარება, ისე წავიდნენ სინათლეები. ხანდახან, კვირაში ორჯერ, მუშტს რომ ხსნი თითებზე დასახედად, მაშინ შემოგეპარება ანცი სინათლე. უყურებ მერე ცოტას შენც, ამსუბუქებული უფრო და უცებ გინევს მუშტის შეკვრა და ისევ იგერიებ აბეზარ დიდობას. გამონათებები და უსარგებლობის განცდა. ლოლა, გაიქეცი უკაცრიელობისკენ... ერთი და იგივე, გამეორებული Fucking special გზები. მბეზრდება! მბეზრდება! მბეზრდება დაჩუმებული-აკვიატებული გრძნობები და აკიდებული ტვირთით გამხდარი ადამიანები, რომელთა გარეშეც გაფიქრებასაც ვერ ახერხებ.

მინდა ყურებზე ხელი მოგკიდო და ამ უფიქრო სამყაროდან ამოგიყვანო ჩემთან. ჩემი არც შენ გჯერა და არც შენ. შენ არც კი ცდილობ შენს მოგონილ მარტო ყოფნას თავი დააღწიო. კონსპექტის ჩანერასავით მექანიკური გახდა შენი ყოფნა. მასე დარჩები, რაღაცის ქსეროქსივით. სიზმრიდან ამოჭერი ყველაზე არანამდვილი შენი გამოგონილი ფერები და თმებში დაიმარგე.

...უშენო გზაზე კამიუს დალლა წამომენია. სუსტი ვარ. სახლში მოსვლას რატომ აგვიანებ?

ეს სამყარო, შენთვის რომ შეიქმნა, ჯოპლინის მოსმენის გარეშე უნდა გახარებდეს. ყველაზე პატარაც კი, რაც არსობს, ყველა ხმა, რომელიც ისმის და რომელიც არ ისმის – ღვთის დიდებაა. ცეცხლივით ხარ შენც. ეს ყველაზე დიდი თავისუფლებაა. ღმერთის სუნთქვა ხარ, ადამიანო, ტკივილების ნუ გეშინია.

მერე ჩვენ: შენ და ისინი, ყველანი ერთად წავალთ იქ. სადაც ყველამ იცის, როგორ უნდა წავიდეს. სახლში წავალთ ყველანი. გზაში ცოტას ვიჩხუბებთ, ბევრსაც ხანდახან. მაგრამ სახლში მივდივართ და წინამძღოლი არ გვინდა.

მივალთ. კი მივალთ. შენგან არაფერი რჩება, სიყვარულის გარეშე თუ ხარ. თუ სიყვარული გაქვს, შენ თვითონ დარჩები შენგან, ოღონდ უფრო დიდი. გაძელი ამიტომ.

ჩვენ გავძლებთ და სახლში ვინც ვერ მივა ჩვენთან ერთად, იმის სკამზე არავინ დაჯდება სუფრასთან მაინც, ყველანი ერთად ვისხდებით და ომგადახდილები გამთენიის საუზმეს ვიხმევთ. ყველა ფიქრები ვიქნებით ერთმანეთის. მე და შენ ერთმანეთის ფიქრები ვიქნებით. გალიმებაც შენ – ჩემი და მე – შენი გვექნება. იმიტომ, რომ ერთმანეთის გარეშე საერთოდ არ ვართ ადამიანები.

რა სხვანაირი სუნთქვაა, არა, ადამიანო? ამიტომ მინდა აქ იყო.

მწერლის არქივიდან

ესმა ონიანი

გამოუქვეყნებელი ჩანაწერები

1966 წ. 24 აგვისტო

გალაკტიონს რომ ასაფლავებდნენ, მზიანი დღე იყო, თბილი, ძალიან ნათელი. ქუჩები სავსე იყო ხალხით, მორთული ლამაზი ხალხით. რატომ წერს ზოგიერთი პოეტი, რომ წვიმდა, რომ გალაკტიონის კუბო ბრწყინავდა წვიმის წვეთებისაგან, არ ვიცი; იდგა ოქროსფერი, მხიარული და თბილი დღე. მე მქონდა, რა თქმა უნდა, უდიდესი სინანული, რომ გალაკტიონი აღარ იყო, რომ ვერასოდეს დავინახავ მას ჩვენს ქუჩაზე მოსეირნეს (მეზობლად ვცხოვრობდით) და რაც მთავარია, აღარაფრით არ ამისრულდება სურვილი ერთხელ მაინც დავლაპარაკებოდი. ადრე, რამდენჯერაც შემხვდებოდა, იმდენს ვფიქრობდი, რომ ახლა მივალ, ახლა მივალ მასთან და ვერც ერთხელ ვერ გავბედე, ყოველთვის შემდეგისათვის ვდებდი და აი, ახლა ასეთი დიდი ბედნიერება, რომ ცოცხალ გალაკტიონს დავლაპარაკებოდი, მოუბრუნებლად გამისხლტა ხელიდან; მქონდა მხოლოდ დიდი სინანული. გალაკტიონის დასაფლავების დღეს, როგორც გინდათ გაიგეთ, მე დიდ სინანულსა და წუხილთან ერთად მქონდა რაღაც საზეიმო განწყობა. პირველად იყო, რომ არ ვგრძნობდი სიკვდილის სიმძიმეს. ვგრძნობდი გალაკტიონის უდიდეს დარჩენასა და განმტკიცებას. ეს იწვევდა ალბათ რაღაცნაირ გაურკვეველ შეგრძნებას. იყო გალაკტიონის უდიდესი დარჩენა, მაღალი, საზეიმო და დიდებული. დღე არ თვლიდა, რომ გალაკტიონს ჰქონდა რამე შესაცოდი და გამოსაგლოვებელი, არც უფიქრია ეწვიო და ესლუკუნა, ის იდგა მაღალი, ნათელი და უსასრულო, როგორც შეეფერებოდა გალაკტიონს, როგორც შეეფერებოდა მის დიდებულ და მზიან დარჩენას, ის რჩებოდა მაღალი, დიდებული და მოზიმიე.

ნამყვანი: ყოველი ადამიანი სამყაროა თავისთავად, ზოგი მკვეთრად სახიერი და ფერშესხმული, ზოგი ნაკლებად. მთავარი ამ სამყაროს ინდივიდუალობა გახლავთ. შემოქმედის სამყაროს განსაკუთრებით უნდა აჩნდეს ავტორისეული ხედვა, დამოკიდებულება.

/კადრი იხსნება – ნამყვანთან ერთად ესმა ონიანი/

ჩვენ დღეს გვინდა ესმა ონიანთან შეგახვედროთ. ჩაგახედოთ მის საინტერესო პოეტურ სამყაროში. ვისურვოთ, რომ „კეთილი იყოს“ ესმა ონიანის პირველგაცნობა თქვენთან.

ესმა ონიანი: /კითხულობს ორ ლექსს – „სვანების სიმღერა მზეზე“ და „ხათშეფსუთი“/

ნამყვანი: ეს ლექსები, რომელიც თქვენ ახლა მოისმინეთ, დაგვერწმუნებით, სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან თემატურად, ლექსათნაყოფით, გამოხატვის საშუალებებით... მთავარია პოეტის



გთავაზობთ გამოუქვეყნებელ ჩანაწერებს ცნობილი მხატვრისა და პოეტის – **ესმა ონიანის** არქივიდან.

„უდიდესი დარჩენა“ – ამ სიტყვებითა და განსხვავებული თვალთახედვითაა გადმოცემული დღე **გალაკტიონ ტაბიძის** დასაფლავებისა.

მეორე ჩანაწერი ესმა ონიანის ტელევიზიით ერთადერთი გამოსვლის ტექსტია. გადაცემის ფრაგმენტის ბეჭდური ვერსია არ უნდა განვიხილოთ, როგორც საგანგებოდ, ცალკე დაწერილი ტექსტი და უნდა აღვნიშნოთ, რომ ის გამოსაქვეყნებლად არ ყოფილა გამოზიზნული.

წერილი სახელგანთქმული რეჟისორის – **ოთარ იოსელიანისადმი** დაწერილია 60-იან წლებში, როდესაც ბატონმა ოთარმა ესმას ლექსების პნკარედები ლენინგრადში წაიღო სათარგმნად. რუსული ორეულის გამოქვეყნებაზე პოეტმა საბოლოოდ უარი თქვა მთარგმნელის მიერ ლექსების არასწორი აღქმისა და ინტერპრეტაციის გამო.



დამოკიდებულება სათქმელთან, საგანთან, პოეტის ხედვის კუთხე, მისი წარმოსახვის უნარი.

ესმა ონიანი: საკუთარ წარმოსახვით უნარზე მსჯელობა ჩემთვის, რა თქმა უნდა, უხერხულია. ვიტყვოდი მხოლოდ, რომ შემოქმედებითი პროცესის დროს ვცდილობ, რაც შეიძლება ღრმად ჩავიძირო ლექსის საგანში, რაც შეიძლება ცხოვლად წარმოვიდგინო მოვლენა, გარდავისახო ალსაწერ ობიექტად. მისი თვალთ დავინახო და განვიცადო ყოველივე. მე მივემართები ადამიანური ბუნების ძირებისაკენ, ფესვებისაკენ, ვარაუდთაგან ვცდილობ, ავირჩიო ყველაზე შესაძლებელი და ამ კერძო მოვლენისათვის შესაფერი.

ნამყვანი: ესმა ონიანი მხატვარიც გახლავთ, ნიჭიერი ფერმწერი, თუმცა ესმამ საგანგებოდ გვთხოვა, რომ ამაზე არ გაგვემახვილებინა ყურადღება. ახლა ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ესმას ლექსებში ჩანს მისი, როგორც მხატვრის ხედვა. მისი ლექსის ერთ-ერთი და ერთგვარი ამოსავალია დეტალების წარმოჩენა, მათი მეტად ფაქიზი დამუშავება და ამით საერთო სათქმელის მოტანა, საერთო განწყობილების შექმნა, ცალკეული ასოციაციებით ზოგადის პლასტიურად წარმოსახვა. დღეს, როცა ბევრს ლაპარაკობენ პოეზიისა და მხატვრობის ურთიერთობაზე, ესმას, როგორც პოეტისა და მხატვრის აზრი საინტერესო უნდა იყოს ამის შესახებ.

ესმა ონიანი: ბევრ მწერალს, პოეტს განუცდია სახვითი ხელოვნების წარუშლელი გავლენა, მათ შემოქმედებით აზროვნებაში, ობიექტური სამყაროს ასახვისადმი მათ დამოკიდებულებაში ძირეული ძვრებიც მომხდარა. უდიდეს მაგალითად რილკეს შემოქმედებაც გვეყოფა. ჭეშმარიტი ნიმუში სახვითი ხელოვნებისა იძლევა ფიზიკურად თვალნათელ მაგალითს იმისა, რომ საგანთა არსი გადმოცემულ იქნას არა გარეგანი განყენებული მსჯელობით საგნებზე, არამედ თვითონ საგანთა ქმნით. მათ თვითონ უნდა გვიამბონ თავის თავზე, მაგრამ, როგორც რილკე ამბობს, ამას თან უნდა ახლდეს განმარტებაც, თორემ მივიღებთ დეკორატიულ სურათს, რომელიც არ აღემატება კარგად შესრულებულ ფერწერულ ტილოს. მაგრამ ეს განმარტება საგნის აღწერის გვერდით კი არ უნდა იყოს, არამედ თვით ამ აღწერაში უნდა იქნას ჩატანებული. საინტერესოა უკუ მაგალითი. მე ვერ ვიტყვოდი, რომ მატისის საუკეთესო სურათები, ეს მხოლოდ კარგად შესრულებული ფერწერული ტილოებია, მატისთან სწორედ საგნის აღწერაშია ჩამარხული საგნისავე სიმბოლური განმარტება, როგორც რილკე ამას პოეტური ნაწარმოებისაგან მოითხოვს. და თუ მატისი სიღრმეთა ვერ შემგრძნობი მნახველისათვის ცალმხრივი და მხოლოდ და მხოლოდ დეკორატიული პლანის მხატვარია, ნამდვილი შემფასებელი ხედავს მატისს – ჭეშმარიტ შემოქმედს, ღრმად მოაზროვნეს, ფილოსოფოსს, რომლის დახვეწილი სტილი თვითონვეა მაუწყებელი ავტორის აზროვნების სიღრმისა. ჩემთვის უთქვამთ ხოლმე, რომ ჩემს ლექსებს ემჩნევა, რომ მათი ავტორი მხატვარია. როდესაც ასახელებენ საამისო ნიშნებს – ეს არის გარეგანი, ზერელე მსგავსება. სინამდვილეში ჩემს ლექსებში საგნობრიობა, დეტალების სიყვარული და სხვა, განპირობებულია ჩემი მწერლური პრინციპებით. ჩემთვის მიუღებელია განყენებული მსჯელობა საგნებზე, საგნისადმი გარედან მიმართული მოწონებისა და დაწუნების შეძახილები. მე მიიწეოდა ჩემი ლექსიდან – „ფიქრი სამი კონკრეტული გადახვევით“ – ორი პატარა

ნახატი ესმა ონიანისა.
ავტოპორტრეტი

ნაწევები წაგიკითხოთ, პირველი – „ველასკესია“, მეორე – ფიროსმანს ეძღვნება /„ველასკესი“, „ფიროსმანი“/

ნამყვანი: ესმა, როგორია თქვენი დამოკიდებულება სიტყვებისადმი, როგორც პოეტური მასალისადმი, ლექსის შენებისადმი, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ესმა ონიანი: სიტყვას იმდენად დიდი და მრავალმხრივი ფუნქცია აკისრია, რომ სატელევიზიო საუბარში სრული პასუხი გაძნელებულია. ამოუწურავია სიტყვის მრავალნაზნაგა შესაძლებლობანი, უსაზღვროა მისი ქმედების სფერო, მასში ჩამარხულია ჯერაც გაუხსნელი მხარეები. საოცარია სიტყვის უნარი, ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედთან გამოზრუნვინდეს ახალი ძალით, ახალი სიცოცხლით სულჩაბერილი (სიტყვა, მისი ფაქტურა, არის მასალა პოეზიისა, ისევე როგორც, ვთქვათ, ზეთის ფერები ფერწერისათვის). ჭეშმარიტებაა – ნაწარმოებში ყოველი სიტყვა უნდა იყოს აზრობრივ-ემოციურად დატვირთული, ყოველი სიტყვა უნდა იყოს აღმასრულებელი საკუთარი „მისიისა“ მთელთან მიმართებაში, ანუ სიტყვა არ უნდა იყოს თვითმიზნური, უფუნქციო სამკაული ნაწარმოებისა. სიტყვის ძირითადი არსი, მასში ჩაბუდებული ენერგია, ჟღერადობა, ფაქტურა და სხვა და სხვა. ყველაფერი ერთად უნდა ხმარდებოდეს ძირითადი სათქმელის რაც შეიძლება სრულად წარმოჩენას. ჭეშმარიტი შემოქმედი ფლობს უნარს სათქმელისათვის ერთადერთად შესაფერი სიტყვების ამოტივტივებისა და ერთადერთი გარკვეული თანმიმდევრობით მათი განლაგებისა. ამ შემთხვევაში ცოცხლდებიან სწორედ სიტყვები, წარმოაჩენენ ერთმანეთს, ამახვილებენ, ამოათავისუფლებენ ერთმანეთში თვითულისათვის ყველაზე დამახასიათებელ, განუმეორებელ ნიშანს.

ნამყვანი: ეს ესმა ონიანის ლექსების კრებული გახლავთ, რომელიც გასულ წელს გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“. ერთი მეტად საინტერესო ციკლი გახლავთ „დანახული ანდაზები“. რას გულისხმობდით ამ სათაურში, ამ ციკლში?

ესმა ონიანი: ლექსების ამ ციკლში მე შევეცადე გამეშუქებინა ანდაზები არა მორალის ჩვენების თვალსაზრისით, არამედ პირდაპირი შინაარსის განზრახ მიამიტი, პლასტიური დანახვის, გაშლის გზით. გაშლისას ეროვნული კოლორიტის მქონე კონკრეტული დეტალის შემოტანით მიხდოდა ლექსებისათვის მიმენიჭებინა ანდაზის შექმნის პირველმიზეზის დამაჯერებლობა. ამ პლასტიური გაშლით გამოწვეულ ასოციაციებს კი ახლებური ელფერით უნდა შეეფარათ ანდაზიდან გამომდინარე პირველადი მორალი.

წერილი ოთარ იოსელიანისადმი

ოთარ, გამარჯობა ბატონო, ხომ კარგად ხარ, მეც არა მიშავს რა. ძალიან დავაგვიანე წერილი? შენ რომ მელაპარაკე, ხუთი წუთის შემდეგ მანქანაც მოვიდა და მე, რა თქმა უნდა, ვერაფერი ვერ მოვასწარი. ახლა გწერ არეული ხელითა და არეული აზრებით და შენ იცი, თუ გააჩნევ და გაიგებ და თუ მოიცლი წასაკითხად და დასალაგებლად. ასე, ჩემო ძვირფასო, ვიწყებ:





ჩემი საერთო შენიშვნაა, რომ რაღაცების დაკონკრეტება, დაზუსტება საჭირო არ არის, მაგალითად, „Выздоровление“-ში ასეთი: „Скатилось по плечам... в прогалины апреля“. აპრილი საჭირო არ არის. ე. ი. დროს ნუ აზუსტებ. მე სულაც შემოდგომას ვგულისხმობდი, მაგრამ არც სექტემბრის ხსენებაა საჭირო. მეორე ლექსში ასეთი: „Восседаем в рамках в темном зале“ და კიდევ „И там за позолоченной границей“... Эты картины могут быть и в рамках и без рами они не висят მაინცდამაინც в темном зале – ოთახშიც არიან, ქუჩაშიც, სამუზეუმო ფონდშიც. ჩარჩოებიც შეიძლება მოოქროვილი იყოს, შეიძლება – არა, ე. ი. „рама“ და „позолота“ – ზედმეტია. მოკლედ, დაზუსტებები იმიტომ არ მიყვარს, რომ ისინი სადღაც ყოფილი, დაპატარავებულ იერს აძლევენ ლექსებს. ყოველგვარი ყოფილი სიტყვა, ჩემი გემოვნებით, უკარგავს ლექსს საერთო აზრობრივ განწყობას და ვინაობა კონკრეტულ ამბად აქცევს.

ამ ორი ლექსიდან „Выздоровление“ მშვენიერი თარგმანი იქნებოდა, სრულიად გაუმართლებელი ადგილები რომ არ ერიოს. პირველი ექვსი სტროფი მომწონს, მცირე შენიშვნებით (რაზედაც ქვემოთ მოგახსენებ), ხოლო ბოლო ორი სტროფი კი სულ აფუჭებს ყველაფერს, უპირველეს ყოვლისა „мой бег“ უმასშტაბო (აქაც დაზუსტებების ამბავია), სირბილი განუსაზღვრელია. აი, მაგალითად, თითქმის წვრილმანს ვეკიდები, მაგრამ სხვანაირად ჩემ აზრს ვერ გადმოგცემ. აი რა: მე ვწერ: „Пересекая рощи“, Галушко-სთან – „Пересекая рощу“. ჩემთან: „Шопот плавно текущей реки“, Галушко-სთან: „Шопот родника“. Я пересекаю рощи, долины, луга, перебегаю холмы, оставляю леса; ე. ი. ერთ ადამიანურ სირბილში ამდენი ველებისა და ტყეების გარბენა შეუძლებელია. მაგრამ მე ხომ სწორედ ასეთი შეუძლებელი სირბილის განწყობილების შექმნა მინდა, მაგრამ ამასთანავე ისეთი რეალური და შეუჩვენელი ხერხებით, როგორიცაა სწორედ აი ეს „рощи“ და არა „роща“; – ეს „целая река“ და არა „родник“. ამიტომ ვითხოვ ყურადღებას დეტალებისადმი. ე. ი. მე გავრბივარ და ზუსტი გეზი, მიმართულება, მანძილის საზომი არა მაქვს? უბრალოდ გავრბივარ, გალუშკო კი რაღაც გარკვეული გზით მიგარბენინებს, რომლის დასასრულშიც დაბურული ბაღია და ბაღში კი „Мужчина“ მელიოდება. Я бегу но не к нему. Он тоже частица окружающего и мне ერთნაირად долгожданно – дороги и деревья и прогалины и ветер и он и веселые горы: я его принимаю как все остальное и я также оставляю его, как ольху, холмы, бегу и бегу.

...შენი ჭირიმე, მისწერე რომ ეს „бегу к тебе мужчина“ ძალიან ულამაზო და გაუმართლებელია და სრულიად შეუფერებელია ჩემთვის (ე. ი. ჩემი ლექსებისთვის). რადგან შესაფერისი მაგალითია, თუ არ დაგეზაროს, გააგებინე, რომ საერთოდ არ მიყვარს ლექსში ქალის სახით ლაპარაკი, პირიქით ვცდილობ თითქოს კაცის მაგივრად ვწერო, რომ ქართულში ამის შესაძლებლობა უფროა, მაგრამ თუ რუსულში შეიძლება ამის თავიდან აცილება, სჯობს ავიცილოთ და არ გავამახვილოთ ყურადღება, ვინ წერს, ქალი თუ კაცი. გარდა იმისა, რომ არაპოეტური და ულამაზოა, სწორედ ავტორის სქესს უსვამს ხაზს.

ახლა ის მცირე შენიშვნები: მე ვწერ, რომ ვთელავ გვირილებს, გალუშკო კი: „Топчу ромашки, но они не мнутя“, მისწერე, რომ სწორედაც „мнутя“, სწორედ ეს მინდა ვთქვა, რომ არ ვერიდები და ალტაცებულ სირბილში ვთელავ და რატომ ცვლის? ჩემთან ასე იყო: „желтым криком

сверкает солнце в моих глазах“. Галушко-სთან „солнце“ არსად არ არის ნახსენები და წერს: „желтым криком жгутся мои глаза“, კარგი სტროფია, მაგრამ „მზე“ რომ არ არის ნახსენები, აზრი იცვლება და გამოდის, რომ მე რაღაც ყვითელი, შეშლილი თვალები მაქვს. მზის ხსენება აუცილებელია. III სტროფში გალუშკოსთან ასეა: „Как вино из роз“. გარდა იმისა, რომ ეს შედარება მთლიანად მთარგმნელის შემოქმედებაა, ის მეტიჩრული და მაღალფარდოვანია და არ შეეფერება არც ლექსის იერს და არც მე (ე. ი. ჩემს ლექსს). IV სტროფში: Галушко-სთან: „столкнулись в танце горные вершины“, მე მქონდა „склоны гор столкнулись“ და არა „вершины“. საკმე იმაშია, რომ (მე ახლა ვამბობ, რა თქმა უნდა ძველ ჭეშმარიტებას, მაგრამ მინდა იცოდეს, რომ მე უფრო მკაცრად ვეკიდები ყოველ ჩემ სიტყვას და გამოთქმას ლექსში) когда я пишу я думаю о том как-бы найти интересное сравнение и стараюсь как можно лучше выразить свою мысль. ჩემს შედარებებს აქვს ხოლმე რეალური აზრობრივი გამართლება; უმისამართო შედარებები არ მიყვარს. ე. ი. склоны плотно прижаты друг к другу и они могут вести хоровод, тем более если у человека кружится голова, но вершины дгანан ცალ-ცალკე, არ ეხებიან ერთმანეთს და გამოთქმაც „столкнулись вершины“ უკვე გამართლებულია ჩემი გემოვნებით...



ქართველები შინ და გარეთ



რუსუდან ენუქიძე

ორი პიხვედრა

1961 წლის სექტემბერში ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელები: ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი) გასტროლები ჩემთვის განსაკუთრებულად ამაღელვებელი და საინტერესო აღმოჩნდა. ჟენევაში გრიგოლ რობაქიძეს შევხვდი, ლოზანაში – კიტა ჩხენკელს.

...ჟენევაში გასტროლები დასასრულს უახლოვდებოდა. ორი დღის შემდეგ ლოზანაში მივდიოდით. მოცეკვავე ბიჭებმა მითხრეს, რომ ჩვენს ყველა კონცერტსა და რეპეტიციებსაც კი გრიგოლ რობაქიძე ესწრებოდა. მათ ეს ფაქტი ჩვეულებრივ ამბად ჩათვალეს, რადგან ევროპაში მოგზაურობისას ძალიან ხშირად, კონცერტის შემდეგ, მოდიოდნენ ქართველები, აღტაცებულნი ანსამბლის წარმატებით; თუმცა თვალები ყოველთვის სევდით ევსებოდათ, როდესაც საქართველოზე და ნათესავებზე ლაპარაკობდნენ. მახსოვს, ძალიან გავუბრაზდი ბიჭებს, რატომ აქამდე არ მითხარით გრიგოლ რობაქიძე თუ დადიოდა კონცერტებზე-მეთქი; დამამშვიდეს, ნუ გეშინია, ხვალაც მოვა, მით უმეტეს, რომ ბოლო გამოსვლა გვაქვსო.

მართლაც, მეორე დღეს, კონცერტის შემდეგ, ქალბატონ ნინოს და მე გვითხრეს, რომ ბატონი გრიგოლი გველოდებოდა... საშუალოზე მაღალი, გამხდარი კაცი (ნამდვილად არ ჰგავდა 80 წელს გადაცილებულს), ნაცრისფერი გაბარდინის ლაბადაში, შავი პრიალა, გადავარცხნილი თმით და, საოცრად ცივი, გამჭოლი თვალებით (კიდევაც ვიფიქრე, ბიჭებს ალბათ მოეჩვენათ, თორემ ამ თვალებიდან ცრემლი როგორ გადმოვა-მეთქი).

როცა მოგვესალმა – ესეც გამიკვირდა, მეგონა ჩვენთან ლაპარაკს საჭიროდ არ ჩათვლიდა... ცეკვაზე და კონცერტებზე არაფერი არ უთქვამს, უთუოდ იფიქრა (ვინ იცის?), რომ თეატრში ანსამბლთან „გატარებული“ ორი კვირა მისი აღტაცების დასტური იყო. ვუთხარით, რომ მეორე დღით ლოზანაში მივდიოდით. დაგვპირდა, აუცილებლად მოვალ ნავსადგურშიო (ლემანის ტბით უნდა ნავსულიყავით). შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, დაიწყო ლაპარაკი, ახლა ვწერ სტატიას, ფრანგი ჟურნალისტების მიერ საქართველოზე გამოქვეყნებული წერილის საპასუხოდო. როგორც გვითხრა, ორ ფრანგ ჟურნალისტს უმოგზაურია საქართველოში, ბევრი რამ კარგი დაწერეს, მაგრამ ბოლოს ასე დაამთავრეს წერილი – „ქართველებს, ჩვენი მარსელელი, კანებიერის ქუჩის მცხოვრებლების მსგავსად (ამბობენ, ფრანგული ანეკდოტების უმრავლესობა მათ მიერაა შეთხზული), მიაჩნიათ, რომ სამყარო იწყება და მთავრდება საქართველოში“. ფრანგების ამ დასკვნას ბატონი გრიგოლი საშინლად გაუბრაზებია და ამან გადააწყვეტინა საპასუხო წერილის დაწერა.

ფოტოზა გრიგოლ რობაქიძე

ანსამბლს ძალიან მკაცრი განრიგი ჰქონდა (ქალბატონ ნინოს მიერ

კანონად ქცეული) – ავტობუსი გველოდებოდა, სასტუმროში ვახშამი და დროზე თავ-თავის ოთახში დასვენება (ამ დროს ერთმანეთთან „სტუმრობაც“ კი აკრძალული იყო) – ეს კანონი არავითარ „კორექტირებას“ არ ექვემდებარებოდა... დავემშვიდობეთ ბატონ გრიგოლს იმ იმედით, რომ მეორე დილით ნავსადგურში შევხვდებოდით ერთმანეთს... მაგრამ... მეორე დილით წითელი ჯვრის თავსაბურავიანმა ქართველმა ქალმა გრიგოლ რობაქიძის გამოგზავნილი თაიგული გადმოძცა და მითხრა, თავად ძალიან ავად შეიქნა და მოსვლა ვერ შეძლო. ამ ქალბატონმა ისიც გვამცნო, რომ **შალვა დადიანის** ერთადერთი კანონიერი მეუღლე გახლდათ (რადგან შალვა ჯვარდანერილი მხოლოდ მასზე იყო).

ლოზანაში პირველივე კონცერტზე ციურიხიდან ჩამოვიდა ბატონი კიტა ჩხენკელი თავის მოწაფეებთან, ქართველოლოგ ქალებთან ერთად (**ლევ ფლური, იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი**).

შესვენების დროს ამ ქალბატონებმა დიდხანს ილაპარაკეს ბატონ კიტას მეცნიერულ დამსახურებაზე (ბევრმა უცხოელმა სწორედ ჩხენკელის „ქართული ენის შესავლით“ შეისწავლა ქართული ენა). როგორც გვითხრეს, ბატონ კიტას ახლად დაწყებული ჰქონდა მუშაობა დიდ ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე (ექვსი ნაკვეთის მომზადება მოასწრო; დანარჩენი ოცი – იოლანდა მარშევის ხელმძღვანელობით დასრულდა 1974 წელს). ამ ქალბატონებმა მოგვხიბლეს თავიანთი დამოკიდებულებით საქართველოს და ქართული კულტურის მიმართ – თურმე თვეში ორჯერ აწყობდნენ ქართულ საღამოებს, სტუმრებს ქართული პოეზიის ნიმუშებს აცნობდნენ და თან მათ მიერ მომზადებული ქართული კერძებით უმასპინძლებოდნენ. ჩვენი შეხვედრა ციურიხელი ქალბატონების მიერ ლამაზად წარმოთქმული ბარათაშვილის და ბესიკის ლექსებით დაგვირგვინდა.

ლოზანიდან ბრიუსელში გავემგზავრეთ. რამდენიმე ძალიან წარმატებული კონცერტის შემდეგ იმპრესარიომ მოაწყო ანსამბლის შეხვედრა ევროპელ ჟურნალისტებთან; გვითხრეს, რომ ამ შეხვედრას (ბელგიის ერთ-ერთი უძველესი სასახლის დარბაზებსა და ულამაზეს პარკში) 2000 კაცი ესწრებოდა. აქაც, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, მაყურებლებს და საგაზეთო სტატიების ავტორებს აოცებდათ ქართული ხალხური ცეკვის უნიკალური მახასიათებელი – განსაცვიფრებელი განსხვავება ქალისა და ვაჟის საცეკვაო პარტიებს შორის: ტემპერამენტიანი ვაჟკაცი, ფეხის წვერებზე მოცეკვავე, თითსაც კი არ აკარებს ქალს; ქალი კი – ნაზი, ნარნარი, წყნარ. კულისებში მოსულ მაყურებელს ისიც აინტერესებდა, ფეხსაცმელზე გორგოლაჭები ხომ არ გვექონდა დამაგრებული – ცეკვის დროს ასეთი სვლა ბორბლების გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნდათ.

ამ შეკრებაზე ჩემთან მოვიდა ბატონი **დავით ბერეკაშვილი**, ბრიუსელში მცხოვრები ძალიან ცნობილი ინჟინერი. მითხრა, რომ წერილი მიიღო მისი მეგობრის გრიგოლ რობაქიძისგან, და წამიკითხა ის ადგილი, რომელიც ჩემთვის იყო განკუთვნილი; პირველი ფრაზა ზეპირად მახსოვს (ან კი რა დამავიწყებს!): „ძმაო დავით! ქართული ანსამბლის ბოლო კონცერტის შემდეგ შემოფრქვევით შემომეგება ერთი ასული – რუსუდან ენუქიძე...“. მოკლედ გადმოგცემთ რა აინტერესებდა ბატონ გრიგოლს: „ამ გოგონას, მისი ასაკის გამო, შეუძლებელია ჩემი წიგნები წაკითხული ჰქონდეს. საქართველოდან წამოსვლის შემდეგ ყველა ჩემი





წიგნი დაწვეს. მაშ რამ გამოიწვია მისი დაინტერესება ჩემი პერსონით? გთხოვ ჰკითხო და მაცნობო“. მე ვუთხარი ბატონ დავითს, რომ მამა-ჩემი, პროფესიით ინჟინერი, ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო, გრიგოლ რობაქიძის დიდი თაყვანისმცემელი (არ ვიცი, „ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ წაკითხვის შემდეგ თუ ისევ ასეთად დარჩებოდა – ნამდვილად არ ვიცი!). „გველის პერანგი“ თითქმის ზეპირად იცოდა, ხშირად „მიკითხავდა“ ნაწყვეტებს. ისიც მახსოვს, მამამ ერთხელ მითხრა, რომ რობაქიძეს საქართველოდან წასვლის შემდეგ სტატია დაუწერია, სადაც იმდროინდელ საქართველოს ხეიბრებისა და უგუნურთა მიერ დასაკუთრებულ ქვეყნად თვლიდა – ჯანსაღი და გონიერი მოსახლეობა ბოლშევიკებმა განწყვიტესო. ეს იყო მთავარი მიზეზი სამშობლოდან მისი წასვლისა. ამ ფაქტით უთუოდ იმის ახსნაც შეიძლება, თუ რატომ იყო ასე აღელვებული და თვალცრემლიანი ანსამბლის კონცერტებზე, სადაც მისი თანამემამულეების – ჯანსაღი და ლამაზი ახალგაზრდების ოსტატობას ოვაციებით ეგებებოდა უცხოელი მაყურებელი.

დავით ბერეკაშვილმა საპასუხო წერილი გაუგზავნა გრიგოლ რობაქიძეს. სულ მალე მისგანაც მიიღო წერილი თხოვნით, რომ რუსუდანმა აუცილებლად გადასცეს ბატონ **ვანო ენუქიძეს** ჩემი მოკითხვაო.

თბილისში დაბრუნებულმა მატარებლის ფანჯრიდან მამას გადმოვცახე: „მამიკო! გრიგოლ რობაქიძემ მოკითხვა შემოგიტვალა“. მამამ მიპასუხა: „ბატონი გრიგოლი გარდაიცვალა“. გარდაცვალებამდე, მწოლიარემ მოასწრო სტატიის „ქართული გენია – როკვით განფენილი“-ს დაწერა.

ერთი წლის შემდეგ კიბა ჩხენკელიც გარდაიცვალა 68 წლის ასაკში.

როსტომ თიგიშვილი

ტურისტები საბჭოთა საქართველოდან

თვითმფრინავი თბილისიდან მშვიდობიანად დაეშვა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. მთელი ჯგუფი სასტუმრო „სპორტში“ მოთავსდა. სულ ოცდახუთამდე ვიქნებოდით. ყველაზე უფროსი ჩვენ შორის საგარეჯოს რაიონის რომელიღაც სოფლის სკოლის ძველი პიონერ-ხელმძღვანელი, შემდეგ კომკავშირის კომიტეტის მდივანი და ბოლოს პარტკომი, ქალბატონი მაყვალა გახლდათ, ხოლო ყველაზე უმცროსი, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი, მშვენიერი მადონა. დანარჩენები სხვადასხვა პროფესიისანი იყვნენ – ფიზიკოსიდან დაწყებული, გორის რაიონის წყალთა მეურნეობის უფროსით დამთავრებული. ფიზიკოსს რეზო ერქვა და ჩემი მეგობარი იყო, ხოლო გორელ ჩინოვნიკს – სოსო. მას კონიაკებითა და ხიზილალთ გატენილი ორი უზარმაზარი ჩემოდანი დაჰქონდა და ნითელი თუმნიანების დიდი შეკვრა ედო პიჯაკის შიდა ჯიბეში. ამის შესახებ შევიტყვეთ რესტორანში, როცა სოსომ სამი ჭიქა არაყის შემდეგ ყველაფერი დაფქვა და გამოამხეურა. ეს სენსაციური ამბავი რომ გავიგეთ, ყველამ ჯგუფის ხელმძღვანელს – ტიტეს – მივაპყარით გამომცდელი მზერა, რადგანაც ვხვდებოდით, რომ ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციასთან ერთად, აუცილებლად შეთავსებული ექნებოდა „კაგებეს“ მეთვალყურის როლიც. შეზარხოშებული ტიტე იმ მომენტში ძალიან გულღია და ენაწყლიანი აღმოჩნდა, ამასთან ერთი-ორჯერ მოურიდებლად ისეთი მაგრები შეუკურთხა ხსენებულ ორგანიზაციას, რომ ამით ყველას გული მოინადირა, გახარებულმა სოსომ კი ამ გრანდიოზული, დაუჯერებელი მოვლენის აღსანიშნავად რამდენიმე კონიაკი და ხიზილალა ჩამოარიგა სუფრაზე. ტიტემ სოსოს ხელი გადახვია და ძმობა შეჰფიცა. ამის შემდეგ, მთელი მოგზაურობის განმავლობაში, ტიტე და სოსო ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებდნენ და ყველგან ხელგადახვეულები დადიოდნენ. რესტორანში გრიალი გვიანობამდე გაგრძელდა, რასაც ბოლოს ტრადიციული ცეკვები და ადგილობრივ ლამაზმანებთან დამეგობრება მოჰყვა. მეორე დილით თვითმფრინავამდე ძლივს მივაღწიეთ. როგორც იქნა მოვთავსდით სალონში და ბელგრადისაკენ ავიღეთ გეზი. იუგოსლავიის დედაქალაქში ჩასულებს ტურისტული ბიუროს ადგილობრივი წარმომადგენლები დაგვხდნენ და დაგვაბინავეს. გამოგვიყვეს ორადგილიანი ნომრები და სადილზე ერთი საათის შემდეგ დაგვიბარეს. მე ჩემს მეგობარ რეზოსთან მოვეწყვე, ტიტე და სოსო კი, რაღა თქმა უნდა, ისე იყვნენ კონიაკებითა და ხიზილალთ გავსებულ ჩემოდნებსა და ერთმანეთს მიწებებულები, რომ მათ ტორნადოც კი ვერ დაამორებდა. სხვები, ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფილები, თავ-თავიანთ ოთახებში მოყუჩდნენ. ჩვენ გვერდით ოთახში პირველი კურსის სტუდენტი მადონა და მისი მეგობარი გოგონა ლელა დაბინავდნენ. ნინა ლამის ნაბახუსევს თავი მქონდა გახურებული. ვიფიქრე, სააბაზანოში გავგრილდე-





ბი-მეთქი. ასეც მოვიქეცი, შევედი აბაზანაში და... შიშველი მადონა არ დამხვდა?! მისმა განწირულმა კივილმა იქაურობა შეძრა. მოულოდნელობისაგან გავეშედი წამიერად, შემდეგ კი კისრისტებით მოვკურცხლე უკანმოუხედავად. გზაში მადონას მეგობარი ლელა გავიტანე, რომელიც მეგობრის კივილზე ოთახიდან დაფეთებული გამოვარდნილიყო. შეიყარა მთელი ჯგუფი, რა მოხდა, რა მოხდაო! ბედად, ამ დროს სადილზე დაგვიძახეს და ვილას ეცალა გაერკვია რა დაემართა მადონას. ინციდენტიც ამით ამოიწურა.

ნასადილევს რეზო სიგარეტზე გავიდა. მე, ტიტემ და სოსომ გადამიპატიჟეს. რასაკვირველია, კონიაკი და ხიზილალა გაიხსნა, ერთმანეთს მეგობრობა ვუმტკიცეთ, შემდეგ – ძმობაც. მაგრად შევბუზბუჟდით. ქუჩაში ბარბაცით გამოვედით. ირგვლივ მიმოვიხედეთ, რეზო არსად ჩანდა. ვიკითხე, – არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. არ დაიკარგოს, უცხო ქალაქია, მოვძებნი-მეთქი და ქუჩას ავეყევი. სულ მალე უზარმაზარ ლამაზ შენობას მივაღექი, რომელიც რკინის მესერიით იყო გარშემორტყმული, რომლის გარეთაც და შიგნითაც ავტომატიანი ჯარისკაცები გამოჭიმულიყვნენ. ცნობისმოყვარეობამ წამძლია და გრადუსით გულმოცემულმა იქვე ახლოს მდგომ ჯარისკაცს რუსულად ვკითხე, ვის იცავთ-მეთქი. ბროზ ტიტოს რეზიდენციააო და მთხოვა იქაურობას გავცლოდი. უკან გამოვბრუნდი და ჩვენს ოთახს მივაშურე. რეზო ჯერაც არ მოსულიყო, სოსოსთან და ტიტესთან შევედი და ნანახი ვუამბე. სოსომ ახალი კონიაკი გახსნა, – ეს უნდა აღვნიშნოთო, და ბროზ ტიტოსა და სტალინის სადღეგრძელო შევსვით. შემდეგ დაიჟინა, აუცილებლად უნდა ვნახო მისი ადგილსამყოფელი, სხვაგვარად გორში არ ჩამესვლებაო.

გავუყევით გზას და მივაღექით ტიტოს რეზიდენციას. სოსომ „მრავალჟამიერი“ დასცხო, ჩვენც, კონიაკით გამოვბუზბუზებულები, ავეყევით. ჯერ ყურადღებას არ გვაქცევდნენ, მაგრამ როცა გათამამებულები ჭიშკარს მოვაღექით, დაცვამ იქაურობის დატოვება კატეგორიულად მოგვთხოვა. ახლა სოსო გაჯიუტდა, – გორში რა პირით ჩავიდე, ბროზ ტიტო თუ ვერ ვნახეო! ჩვენც მხარი ავუბით – ბოლოს და ბოლოს ვიგინდარები ხომ არ ვიყავით – სტალინის სამშობლოდან ვენვიეთ იუგოსლავიას! ატყდა ჩოჩქოლი. ვილაცებმა რეზიდენციის ფანჯრიდან გამოიხედეს. ჯარისკაცებმა ავტომატები მოიმარჯვეს და ალყა შემოგვარტყეს. ჩვენ კი, კეთილმოსურნე გრძნობებით აღვსილნი და ალკოჰოლით აღვზნებულები, ისევ ჩვენსას ვანვებოდით – ბროზ ტიტოსთან აუდიენციას ვითხოვდით. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ყოველივე (ალბათ ჯერ ვირის აბანოთი და შემდეგ ქვეყნიდან გამოძევებით), მაგრამ ბედად შენობიდან ორი სამოქალაქო პირი გამოემართა ჩვენკენ და, საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ, ჩვენს კეთილ, მეგობრულ ზრახვებში დარწმუნებულებმა ზრდილობიანად გვთხოვეს იქაურობას გავცლოდით. ამასობაში რეზოც გამოჩნდა, რომელიც თურმე ჩვენ გვეძებდა გამწარებული და სასტუმროში წაგვიყვანა.

საერთოდ, იუგოსლავიაში ყველგან პატივისცემით გვხვდებოდნენ, როცა გაიგებდნენ, რომ საქართველოდან ვიყავით ჩასულნი. იმ ხანებში დავით ყიფიანს ყველა იცნობდა და თავს მოვალედ თვლიდნენ ხოტბა შეესხათ მისი განუმეორებელი ოსტატობისათვის, – თქვენ, ქართველები, ბედნიერი ერი ხართ, ასეთი ფეხბურთელი რომ გყავთო, – გვესმოდა

ყოველ ნაბიჯზე. ყველაზე ადვილად სასტუმროებისა და სასადილოების მომსახურე პერსონალს ვუმეგობრდებოდით: გამოთხოვებისას სუფრებს გვიშლიდნენ, ჩვენც კონიაკი და ხიზილალა მოგვკონოდა სოსოს მარაგიდან და იწყებოდა დიდი მხიარულება – ნადიმი ქართული და სერბიული სიმღერების თანხლებით. ამ დროს მკაცრ რეგლამენტს დაქვემდებარებული მეზობელი სუფრებიდან შურით შემოგვყურებდნენ საბჭოეთის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ტურისტები. ქართველები სულ სხვა ხალხი ხართ, ყველასგან გამოირჩევით თქვენი ხელგაშლილობით, სიკეთით და მხიარულებითო. ერთი სიტყვით, კარგად ვეწყობით ხასიათებით ერთმანეთს, თითქმის ერთნაირები ვართო, – გვეუბნებოდნენ მასპინძლები.

ერთ დღეს, საკურორტო ქალაქ დუბროვნიკში ყოფნისას, კინოთეატრში წაგვიყვანეს, თან მრავალმნიშვნელოვნად გამოგვიცხადეს: ძალიან საინტერესო ფილმია, თქვენს ქვეყანაში ჯერ რომ არ გინახავთ, ისეთიო. მთელი ჯგუფი წავედით ქალიან-კაციანად. გვეგონა ხალხის ტევა არ იქნებოდა დარბაზში, მაგრამ ჩვენ გარდა კიდევ რამდენიმე კაცი თუ იქნებოდა, სადღაც კუთხეებში თავისთვის საეჭოდ მიკუნჭული. დაიწყო ფილმი და... მთელი სამი საათის განმავლობაში ეკრანიდან წყვილების ოხვრას დარბაზიდან კოლექტიური ოხვრა უერთდებოდა. ის რამდენიმე ადგილობრივი მაყურებელი კი ამასობაში თავისი საქმით იყო გართული. ჩემ გვერდით აღმოჩნდა ძველი კომკავშირელი, იმ დროისათვის სკოლის პარტკომი, სამოცდაათს მიტანებული შინაბერა ქალბატონი მაყვალა. მან რამდენჯერმე სასონარკვეთილმა ამოიოხრა: უი, რას ხედავს ამას ჩემი თვალებიო! და იმ თვალებზე ხელები აიფარა, მაგრამ შემდეგ პარტიული სიმტკიცე გამოიჩინა, ახალ ვითარებას შემოქმედებითად მოერგო და ბოლომდე თვალმოუცილებლად უყურა ფილმს, ფინალურ, კულმინაციურ კადრში კი ნაზად მომიჭირა მუხლზე აკანკალებული ხელი, თან კვნესა ამოაყოლა. წამოვდექი და გასასვლელისაკენ გავიქეცი. ამ დროს სინათლეც აინთო. არავინ აპირებდა წამოდგომას. გაბრუებული და გულწასული სხვადასხვა სქესის მაყურებელი საბჭოთა საქართველოდან ისე იყო ერთმანეთს ჩახუტებული, დიდი ცოდვა იქნებოდა მათი დაცილება. ამაზეა ნათქვამი ჭეშმარიტ ხელოვნებას საზღვრები არ გააჩნიაო. მოკლედ, ზოგი როგორ გამოვიდა ამ მდგომარეობიდან და ზოგი როგორ, მაგრამ ვახშამზე თითქმის ყველამ დააგვიანა, ბევრი კი უჭმელი დარჩა საერთოდ.

მეორე დღეს ბარში წასვლა გვირჩიეს ახალ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასასწრებად. ამჯერად მსურველი მარტო ჩვენი ოთხეული აღმოჩნდა – რეზო, ტიტე, სოსო და მე. ვინაიდან ჩვენი ჯიბე ბარის ფასებს ვერ გასწვდებოდა, საკუთარი სასმელ-საჭმელით წავედით, თითქოს თბილისური „ობლები“ ყოფილიყოს. მაგიდას შემოვუსხედით და ოფიციალტიც მოგვადგა – შეხედულებით, ლაპარაკით, სტილით, მანერებით და კიდევ ხელდამშვენებული შემოსვლით ქართველებს გავხართ, მაგრამ გაფრთხილებთ, აქ გარედან სასმელების შემოტანა სასტიკად აკრძალულია და როგორც კი შეგამჩნევთ რაიმეს, ბარიდან საცობივით გავარდებითო. გარდა ამისა, რაღაც აუცილებლად უნდა შეუკვეთოთო. სოსომ მაშინვე მოქრთამვა დაუნყო და კონიაკზე მიანიშნა – გაჩუქებ, ოღონდ – თითი ტუჩებთან მიიღო – გაჩუმდიო. ოფიციალტმა ცივად გააქნია თავი და თვალი ხიზილალისკენ გაექცა.





სოსომ მალე აულო ალლო შექმნილ სიტუაციას და კონიაკს ხიზილალაც დაუმატა. ოფიციალტმა უმაღ „კონფისკაცია გაუკეთა“ ორივეს და გაგვაფრთხილა, სასმელი მაგიდის ქვეშ დამალეთო. სოსომ დაამშვიდა: ეგ გამოცდილება გვაქვს, მშვიდად იყავიო, ოთხი ლუდი და კიბორჩხალები შეუკვეთა, ხოლო კონიაკი მაგიდის ქვეშ მოაყურა. ამასობაში პატარა სცენაზე ახალგაზრდა ვნებიანი ქალი მკერდისა და უკანალის რხევით ავიდა. მან ცეკვის თავბრუდამხვევ რიტმში ტანსაცმლის გახდა და აქეთ-იქით სროლა დაიწყო. ბოლოს, ბიკინისამარა დარჩენილი, სპეციალურ მილს შემოეხვია, დატრიალდა მუსიკის ჰანგებქვეშ და ლამაზი სექსუალური ტრიუკებით სიგარეტის ბოლში გახვეულ შეზარხოშებულ მაყურებელს ტაში მოსწავიტა. ამ დროისათვის ორი ბოთლი კონიაკი უკვე შესმული გვექონდა და გამწარებულმა სოსომ მესამის გახსნა დაიწყო, ისე, რომ თვალი არ მოუწყვეტია სცენისათვის. ამასობაში მოცეკვავეს იქვე მიუსკუპდა შუახნის კაცი და პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან რალაც დაანახა, თან ბიკინიზე მიანიშნა და ხელი დაუქნია. ქალმა გაუღიმა და ბიკინის ნელ-ნელა გახდა დაიწყო. მოულოდნელად სოსო კონიაკითა და ხიზილალით ხელში მოწყდა ადგილიდან. სანამ გამოვერკვეოდით, ოთხივე გარეთ აღმოვჩნდით. კარგი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, თუ მაგათ ეგ შევარჩინო! – დაიქაღნა სოსომ.

მეორე დღეს სოსომ და ტიტემ კონიაკების, ხიზილალისა და წითელი თუმნიანების დიდი რაოდენობის რეალიზაცია მოახერხეს და ამის აღსანიშნავად სოსომ ჯერ ტანსაცმელის მაღაზიაში გვთხოვა გაყოლა, შემდეგ კი – ჩვენებურად ვიყიდოთ სამწვადე, კიდევ რამე-რუმეები, ჩამოსასხმელი ღვინო და სადმე ბუნებაში გავიდეთო. მის შემოთავაზებას, რა თქმა უნდა, სიხარულით ავუბით მხარი და საყიდლებზე გავყევით. წინასწარ უკვე დაეგულებინა ერთი მაღაზია, რომელიც მოხდენილი გოგონებით იყო სავსე, და იქ შევედით. გოგონებს მუსიკა ჰქონდათ ჩართული. ჩვენ გარდა სხვა არავინ იყო მაღაზიაში. სოსო მუსიკის რიტმს აჰყვა და გოგონებს ანიშნა – ჩემი ზომის კოსტიუმი, პერანგი, წინდები და ტუფლები აქ დამიწყვეთო, თან არ გაჩერებულა და წინ გადმოგდებული ღვინოთ ქართულ-ევროპულად უვლიდა. გოგონებმა სხვადასხვა ზომის ტანსაცმელი გამოიტანეს ასარჩევად, თან სიცილით იფხრიწებოდნენ. სოსომ ცეკვა-ცეკვით ტანისამოსის გახდა და აქეთ-იქით სროლა დაიწყო, როცა ფოხანის ამარა დარჩა, სიცილისაგან ჩაბჟირებული გოგონები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. სოსო განაგრძობდა შალახოსებურ როკვას თან უკვე ტანსაცმელს ირგებდა. ბოლოს კოსტიუმსა და ახალ ფეხსაცმელებში გამოწყობილმა იატაკზე ცხვირსახოცი დაადგო, ფეხები გაშალა, დაიხარა და ცხვირსახოცი პირით აიღო. ამ უჩვეულო ტრიუკმა ხომ მთლად გადარია მაყურებელი. სოსომ იქვე ყვავილები შეიძინა და სათითაოდ ჩამოურიგა აღფრთოვანებულ გამყიდველ გოგონებს, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და, ეს იმის სამაგიერო იყო, გუშინ რომ გვაჩვენესო, გვითხრა.

შექმნილი „შმოტკები“ სასტუმროში დავტოვეთ და ხალისიანად გავემართეთ ხორცის საყიდლად. მაღაზიაში შესულებს ახალი ხორცის მრავალფეროვანი ასორტიმენტი დაგვხვდა, წინა დღისა კი საგრძნობლად იყო ჩამოფასებული. სოსომ და ტიტემ სამწვადე შეარჩიეს და გარეთ გამოვედით. ღვინის მაღაზიაში ჩამოსასხმელი ღვინო ვიყიდეთ, ტაქსიში ჩავსხედით და მძღოლს სადმე ბუნების წიაღში წაყვანა

ვთხოვეთ, იმ ანგარიშით, რომ ისიც ჩვენთან დარჩენილიყო საქეიფოდ.

კარგი კაცი აღმოჩნდა, თან ქეიფის მოყვარულიც და მახლობელ ტყეში წყაროსთან მიგვიყვანა, სადაც მოზრდილი მაგიდა იდგა, რომელსაც ერთ ბოლოში ორი ქალი და ორი კაცი შემოსხდომოდა, ლუდს სვამდნენ და ბუტერბროტს აყოლებდნენ. ხმაურით ჩამოვტვირთეთ მანქანიდან სანოვაგე, მივედით წყაროსთან, დავაჭაშნიკეთ; ჩვენს წყალთან ვერ მოვიდოდა, მაგრამ იმასაც არა უშავდა რა. ცეცხლი დავანთეთ, ხის შამფურები გავთალეთ, დაჭრილი ხორცი ავაგეთ და... მალე მწვადიც აშიშხინდა. შამფურებს ჩვენი მძლოლი (ხრისტო ერქვა) ატრიალებდა ნაკვერცხლებზე. ეტყობოდა, კარგად ესმოდა ეს საქმე. ამასობაში ტიტემ და რეზომ ის ოთხნიც მოიპატიჟეს, რომლებიც მორიდებით და, ცოტა არ იყოს, გაცივებულები შემოგვიერთდნენ. თეფშები არ გვქონდა და მწვადი შამფურიდან ხის ფოთლებზე ჩამოვყარეთ. თამადობა სოსომ იკისრა. პირველი სადღეგრძელო გაცნობისა შესვა. ჩვენი სტუმრები ფინელები აღმოჩნდნენ, ტანმაღლები იყვნენ. ქალები ლუდს სვამდნენ, კაცები – ღვინოს. გახურდა ქეიფი. ერთი ფინელი თბილისში ყოფილა ნამყოფი და რალაც-რალაცები იცოდა ჩვენ შესახებ – ერთი ეს მითხარით, როგორ ახერხებთ, რომ სხვაგანაც მასპინძლები ხართო, – უკვირდა.

– ღმერთმა ასეთები გაგვაჩინა, გვიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა და ყველა ჩვენნაირი გვგონიაო, – ტიტემ.

– ჩვენთან ერთი გამოთქმაა – სტუმარი ღვთისააო, და ამისი გვჯერაო, – დაამატა რეზომ.


– ძველთაგან მოგვდგამს: ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო. ამ პრინციპით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და ამ პრინციპის მიმდევრები ვართ ჩვენცო, – წერტილი დაუსვა ქართველების დახასიათებას სოსომ...

შემდეგ „ცანგალა და გოგონა“ ვიმღერეთ და ამ მელოდიაზე ვიცეკვეთ კიდეც ახალგაზრდობილ ფინელებთან ერთად, რომლებმაც ქართული ცეკვა-სიმღერა ფინური ხალხური საცეკვაოთი შეაზავეს. შემდეგ ყველანი ფერხულში ჩავებით, ბოლოს მისამართები გავცვალეთ და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

ბელგრადიდან კვლავ მოსკოვს გავემგზავრეთ. ისევ სასტუმრო „სპორტს“ მივაკითხეთ. მეორე დღეს თბილისში უნდა წამოვსულიყავით, ამიტომ გამოსათხოვარი ბანკეტი სასტუმროს რესტორანში მოვანყვეთ. რეზომ სადღაც დარეკა და გვახარა, „ბერიოზკას“ მოცეკვავეები გვესტუმრებიანო. დიდი დრო არ გასულა და სასტუმროს შემოსასვლელს ოთხი აშხვართული ქათქათა ქალი მოადგა. ჩვენც შესაგებებლად ქვემოთ ჩავცვივდით, მაგრამ კარი დაკეტილი დაგვხვდა. შვეიცარს ვთხოვეთ გაეღო, მაგრამ ცივი უარი გვტკიცა, – გვიანია და ასეთ დროს ვერავის შემოვუშვებო. სიმწრისგან ლამის თითები დავიჭამეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. „ბერიოზკელებიც“ ამაოდ ემუდარებოდნენ გარედან, შემოგვიშვიო. სოსომ თუმანი დააძრო, მაგრამ ვერც ამან გვიშველა. ბოლოს ოთახში ავარდა და უკანასკნელი კონიაკი და ხიზილალა ჩამოარბენინა, მაგრამ შვეიცარის სიმტკიცე ამითაც ვერ გავტეხეთ, თუმცა კონიაკზე კი დარჩა თვალი. ბოლოს ვეღარ მოითმინა და სიმწრისაგან დაბოლმილი სიფათით კბილებში გამოსცრა: „ადინ იზ ნიხ, ტამ, მაია პლემიანნიცა, სუჩკა!“



კრიტიკა



ნესტან ფიფია

„დუნე ცხოვრებაზე“ ამაღლებული
პერსონაჟები ოთარ ჩხეიძის „ამაღლებავში“

სოციალისტური რეჟიმის, არსისაგან მოწყვეტის, ათწლეულების განმავლობაში „ხანი უნდობარის“ თარეში და მისი შედეგები ასახა ოთარ ჩხეიძემ რომანების რკალში „მატიანე ქართლისა“, სადაც წარმოჩნდა „სრული სიყალბის და სიცრუის გარემო, რომლის წელთაღრიცხვის თარიღადაც 1921 წლის 25 თებერვალია დადგენილი“.

საგულისხმოა, რომ ერის მესტიყვეს განსაკუთრებული მისია აკისრია. სახელმწიფოებრივი ბაზისის შექმნაში ამ თვალსაზრისით ოთარ ჩხეიძე, თავისი შემოქმედების არსით, ილია მართლის ტრადიციის გამგრძელებელია, მხოლოდ წერის არსებითად განსხვავებული სტილით.

„მატიანე ქართლისაში“ 22 წიგნიდან ერთ-ერთი გამორჩეული ქმნილებაა „ამაღლება“. ნაწარმოები თავისებური მხატვრული ქარგით, სიტყვაქმნადობით, ასოციაციური დროის დამკვიდრებით ქმნის ეპოქის სურათს: სიცრუე რომ ცხოვრების ნორმად ქცეულა, სიჯანსაღე გადაგვარებულია და ღირებული გაუფასურებულა.

რომანში ბუნებრივად არის ჩართული მწერლის დისკურსი – „გონება დაცხრილეს წინამურთანა“ – ამბობს მწერალი-მემატიანე და ამ ფრაზით მონიშნულია ისტორიული დრო, „მესამე დასელების“ მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან ათეისტური მთავრობის დამკვიდრებით დამთავრებული.

„გონება დაცხრილეს წინამურთან“ ნათელი მეტაფორაა – სულიერი მოძღვარი, ეროვნული გონი წაართვეს ქართველებს, რასაც მოჰყვა ქართველთა სამკვიდროს უბედურება: ჭეშმარიტების ნაცვლად „ნაცარს რო აყრიდნენ თვალებშია და აჩეჩებდნენ სიცრუესა, ყველგანა, ყველგანა, რადგან რო ერთგანაც თუ გაიპარებოდა სიმართლე, დაირღვეოდა ვეება ხუხულა სიცრუისა, ერთბაშად დაირღვეოდა“.

რუსული იმპერიისა და დამპყრობელთა მიერ ხელდასხმული მთავრობის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ მწერალმა ერთ-ერთი პერსონაჟის (ნესტანის) მონოლოგით გაახშირანა: „ანმყო სძულთ ჩვენი, ანმყო სძულთ და წარსულს ამიტომაც გადაჰკიდებია. სხვების წარსული მოიშორეს ერთი ხელის კვრითა, ჩვენი არ გამოდგა ეგრე ადვილად მოსაშორებელი... მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო გვარწმუნებენ იმიტომაცა, გაზაფხული თებერვალში იწყებაო, და რო ვდუმვართ თანხმობა ჰგონიათ“...

ეს დუმილი შემგუებლობის დასტურია: „არ ირხევა ხალხი, არ ინძრევა, არც არასა ჰქმნის, არც არასა ფიქრობს. ჩვენ ამითი უარვეყოფთ ძალადობასა და ჩვენს თავსაც რო უარვეყოფთ ამითვე, უბედურება აი ეს არის“.

ამ უბედურებას რომანში „დუნე ცხოვრება“ ჰქვია და ამ სინამდვილეში „დრო იმის ხელთ გახლდა, ხელთა იმისათა, წყეულის ხელთა“.

ოთარ ჩხეიძე.
ფოტო მურმან ჩაჩუასი

„ამაღლებას“ დახატულია შთამბეჭდავი მხატვრული სახეები, რომლებიც „წყეულ დროს“ და „დუნე ცხოვრებას“ უპირისპირდებიან. ასეთი სულიერი წყობის ორი თაობა მკვიდრობს რომანში: დიდება გურანდუხტი, მისი თანამოასაკენი და ამაღლების იდეის ერთგული პერსონაჟები: გვარამი, ჰხვთისო და ნესტანი.

„ამაღლება“ მწერლისთვის ჩვეული ოსტატობით, თითოეული ფრაზით, სიუჟეტის უმცირესი დეტალით ახმთანებს მთავარ სათქმელს. ნაწარმოების ერთ მონაკვეთში ჩართულია დიდება გურანდუხტისა და გვარამის მასწავლებლის დიალოგი, სადაც სიმბოლურად არის აღწერილი ეპოქის სული, ზოგადი („სწორი ხაზი სიცოცხლენართმეული“) და გამონაკლისი („ხაზი, რომელიც იტალღებოდა, მოძრაობდა“).

ამ დიალოგში შემოდის ანონიმი ავტორის კომენტარი: „სწორი ხაზი მოითხოვდნენ, სწორება მარცხნივ, სწორება მარცხნივ, სწორება მარჯვნივ, სწორი, სწორი ხაზიო... სწორი ხაზი რო მხოლოდ მწყრივია გაქვავებული წერტილებისა, უძრაობაა სიცოცხლენართმეული“.

გვარამის მასწავლებელი გამონაკლისთაგანია, დროს არ ემორჩილება, „უმაღლო ჟამის“ მოთხოვნას ვერ ჰგუოზს. ის „თავის ჯოჯოხეთსა ჰხატავდა, დანტესას არა, თავის ჯოჯოხეთსა, ნამდვილ ჯოჯოხეთსა, წარმოსახვა რო არ უნდოდა. მოქნილიყვნენ ფიგურები ამისი, ბოროტებას რო გასხლტომოდნენ როგორმე, ბოროტებასა, სიავესა, შემზარაობასა, რო აღზევებულიყო და გადაფაფრულიყო ყველას და ყველაფერზედა“.

ამ ღირსებისთვის უწოდებს მას დიდება გურანდუხტი ვაჟკაცს. ვერ ითვისებს, ვერ ითავისებს ეპითეტს ადრესატი: „ვაჟკაცობა სულ სხვა რამედ წარმოედგინა, გარდასულის გმირულ მოქმედებად წარმოედგინა, შებმადა, შერკინებადა, ძლევადა სიავისა, იმგვარად მაინც, წმინდა გიორგის რო გაურჭვია შუბი გველეშაპის ხახაშია, ან თუ სწორედაც რო იმგვარადა. ამას ისეთი რა ჩაუდენია, – მხოლოდ უძლებდა შემზარაობასა, სიბნელესა, სიველურესა, მუქარასა, დევნასა, სიდუხჭირესა, უძლებდა, უძლებდა რო ჯილდოებსა, რო არ შეჰშურებია ქებანი და ქებათქებანი უღირსობისა და უღირსოებისა“.


ეს მხატვარი (გვარამის მასწავლებელი) ასეთი ჩუმი პროტესტით გაერიდა „დუნე ცხოვრებას“, შეინარჩუნა ღირსება და ამასვე ასწავლიდა სულიერი ნათესაობით შეთვისებულ შეგირდს.

რომანში უღმერთო რეჟიმზე სულიერად ამაღლებულ ადამიანთა უწყვეტი ჯაჭვია დახატული. დიდება ჯანსაღი ფესვის სიცოცხლისუნარიანობის, მომავლის უზრუნველყოფისა და ქომაგობის სიმბოლოა. გამოგონილ პერსონაჟთა შორის ისტორიულ პირთა სახელებიც გვხვდება (შალვა ნუცუბიძე, ექვთიმე თაყაიშვილი):


„შალვა სხვა გახლდა,

ექვთიმე სხვაი.

ექვთიმე ჩუმად დაასაფლავეს. ჩუმადა. ჩუმადა. ვითომც არაფერიც არმომხდარაო. სხვები დაჰფანტეს უგზოუკვლოდა. დაჰფანტეს, დაჰლუპეს, საფლავებიც რო აღარ მოიძებნებოდა“. წმინდანის ღვაწლით ხელდასხმულ ადამიანებს ცრემლი და საფლავი ან ელირსებოდა, ან არა სიცოცხლის ბოლოს, მაგრამ იყო უმეტესობა, დროის ნიშნით დაღდასმული „ბედნიერი ხალხი, სოციალიზმით გაბედნიერებული. ჩრდილოეთიდან მოტანილი სოციალიზმითა, პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობით გარემოსილი ხალხი“.



ოთარ ჩხეიძე.
ფოტო მურმან ჩაჩუასი



„უმაღლო ჟამის“ მკვიდრთა უმეტესობა ზეარსის ვერშემცნობი ადამიანია. არსის ერთგულ ადამიანთა ერთობლიობა ქმნის სწორედ ღირსეულ საზოგადოებას.

არსის ერთგული ადამიანია ის, რომელიც უფლისმიერ მადლს, ენერგიას სპონტანურად ან გააზრებით საზოგადოების განვითარებას ახმარს. მისი მთავარი, ბუნებრივად თანდაყოლილი თვისებაა ღვანლის ტარება. ასეთი ადამიანების არსებობა ინარჩუნებს სულიერ ღირებულებებს, თვითმყოფადობას, ეროვნულ თვითშეგნებას. საზოგადოების ზოგადი ნიშანი თუ არსისადმი გულგრილობაა, შელახულია ნათელი ცნობიერება, უჭირისუფლოა „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ასეთ სინამდვილეში უწევთ ცხოვრება „ამაღლების“ მთავარ პერსონაჟებს, ისინიც ეწინააღმდეგებიან ამას. მათი სულიერი მღვიძარება სულგაყინული საზოგადოებაში გადარჩენის დასტურია, რადგან ისინი არაკანონზომიერი ცხოვრების წესთან დაპირისპირებას რწმენით ბედავენ და რწმენის (ამაღლების ტაძრის) განმტკიცების წყურვილითა და ერთგულებით აგრძელებენ. სწორედ ეს არის მათი გადარჩევის საფუძველი „ადამიანი რწმენის გარეშე ჯერ კიდევ არ არის ადამიანი, უფრო სწორად, აღარ არის, რადგან რწმენა არამარტო უადვილებს (უადვილებდა) არსებობას ამ თითქოს და მრავალგზის ამოხსნილისა და მაინც ბოლომდე ამოუხსნელ სამყაროში, არამედ ავალდებულებს, (ავალდებულებდა) არსებობას“ (ოთარ ჭილაძე).

თუ სახელმწიფოებრივი სისტემა უპირისპირდება რწმენას, ვლინდება ძალიან საშიში სიმპტომი – სულის ეროზია (ამ სიმპტომის გარეშე საბჭოთა სინამდვილე არ მოიაზრება). ოთარ ჩხეიძის რომანებში მას ხან „უმაღლო ჟამი“ ჰქვია, ხან – „დუნე ცხოვრება“.

„ამაღლების“ გვარამი და ჰხვთისო ჯანსაღი, ხელდასხმული გენიდან მოემართებიან. ბექას ციხე და თეკლე (ოთარ ჩხეიძის „ბორიყიდან“) ბუნებრივად გამოჩნდება ნაწარმოებში და იმ ციხიდან დარჩენილი სიცოცხლის გაგრძელებაა ჰხვთისო, ხოლო სულიერი ტყუპისცალი – გვარამი.

„მე ვარ გზა და ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი, არავინ მივიდეს მამასა გარნა ჩემს მიერ“ – ბრძანებს მაცხოვარი. ღვთისმგმობელთა ზეობა აბრკოლებს ნათლიერ გზას და ამ დროს ღვთის მადლით პოულობენ ერთმანეთს ნესტანი (სახელის ეტიმოლოგიით – ნესტანდარ ჯანე – არაამქვეყნიური სიბრძნე), გვარამი (ბარამი – გამარჯვების გენია) და ჰხვთისო (ღვთის არისო). ისინი ღვთის (სიყვარულის) უარყოფისა და გმობის ეპოქაში ქმნიან სიყვარულის მიკროსამყაროს. გვარამისა და ჰხვთისოს გადარჩევის უნესტანობა აბრკოლებდა და ისიც უყოყმანოდ დაუდგა გვერდით. ჰპოვა გვარამმა „სუფთა ასული, ხალასი, ნათელი, წმინდა, ერთგული, უყოყმანო მეუღლე თვისი“.

ნესტანისა და გვარამის შემთლიანება არ გახლდათ შემთხვევითი, „დამტანჯა დუნე სიცოცხლემ... მაინც რომ შენ მოგეკონინე, შენ გამორჩეულიყავ ჩემს თვალშია, შენ გეპოვნა ბილიკი შენი და აღარც გახსოვდა სხვა არაფერი, ვერც კი მიგეტოვებინა ისინი, უბილიკონი, დაბნეულნი“.

ამაღლების ტაძრის აღდგენა „უბილიკოთათვის“, უფსკრულისკენ დაქანებულიათვის უხილავი, ნათელი გზის გაკვლევის მისიაა.

ნესტანი, გვარამი და ჰხვთისო ცდილობდნენ „განდგე და აღადგინო

რაც რო შებილწა ბრბომა, ხელისუფებისაგან ნაქეზებულმა ბრბომა“. ეს გზა თავისი არსით „უდაბნოს ქალაქოფის“ მიკრომოდელია, გაძლების, მომავლის უზრუნველყოფის წყურვილია: „გაძლებაც ეს არის, სიცოცხლეს ეს არის“. სიმბოლური დასტური გადარჩენისა ნესტანისა და გვარამის ვაჟებია.

„მკვდარია ტაძარი უაღამიანოდა, თვით პირველქმნილი, ხელშეუხებ-
ბი, მით უფრო გაპარტახებული ასე ამგვარადა. მკვდარია. მკვდარია და
ვითომ ცრემლიცა სდიოდა ტაძარსა, სიხარულის ცრემლი“, როცა აქ
„დუნე ცხოვრების“ უარმყოფნი მოვიდნენ.

არ აპატიეს სიცოცხლისა და გადარჩენის წყურვილი ნათლიერ პერ-
სონაჟებს: ხელისუფლების სახელით დაარბიეს ტაძარი, კანონის სახე-
ლით დაატოვებინეს იქაურობა, მაგრამ რჩება იმედი: კავკასიის მთებში
დაგულებული ჰხვთისო.

როსტომ ჩხეიძე კარგად შენიშნავს „ამაღლების“ ფინალური სცენის
დრამატიზმს:

„ესეც ფინალური აკორდი.

რეალისტურ სურათს მისტიკური ბურუსი შემოებლანდება და ჰხ-
ვთისოს სახეობაც ძალდაუტანებლად განზოგადდება. იგი უკვე რეალური
პიროვნება კი აღარაა, არამედ ხელშესახები ანასხლეტი ილია ჭავჭავა-
ძის მითიური მოხუცისა, კავკასიონის მწვერვალიდან რომ გადმო-
ჰყურებს თავის ქვეყანას, როგორც მისი თანამდევი უკვდავი სული“.


„წინამურთან დახვრეტილი გონი“ უკვდავია, ამ უკვდავობის განსხე-
ულება არის გვარამისა და ნესტანის შვილი, რომელიც დარწმუნებულია,
გაზეთებში დაბეჭდილი სურათი თოვლის კაცისა, ძია ჰხვთისო არისო.

მძიმეა შერკინება კანონის სახელით მოსულ ბოროტებასთან, მაგრამ
ნესტანი მზად არის ისევ დაბრუნდნენ, ისევ იღვანონ.

სულის ტკივილით გათანგულ გვარამსაც „უცნაური რამ ჩვენებანი
ამოჰფენოდა, უცნაური, აბურდული, გაურკვეველი, ოღონდ ეტყობოდა,
რო გამოირკვეოდა, გამოირკვეოდა და გამოერკვეოდა“.

ამ იმედითა და მოლოდინით მთავრდება ნაწარმოები, რომლის სა-
თაურის პოეტიკა მკითხველს აკვალიანებს, მისასვლელ გზას უკვა-
ლავს რომანის იდეურ და მხატვრულ ქსოვილთან და ხატავს არსს ამა-
ღლებისა, მუდამ მსხვერპლისუნარიანობას რომ გულისხმობდა, მაგრამ
„ბრალეულთათვის“ დანთხეული სისხლი მაცხოვრისა და მისი ამაღ-
ლების მაღლი განამტკიცებს ადამის ძეს, როცა ნათელს ებრძვიან მიწი-
ერი ამაღლების წყურვილით არსს მონყვეტილი ქმნილებები.

ოთარ ჩხეიძის ცხოვრება და შემოქმედება სწორედ „დუნე ცხოვ-
რების“ მხილება-ქადაგება, „თქმისა და ქმნის ერთიანობა“ იყო.





თეიმურაზ ქურდოვანიძე

მარინა ცვეტაევას ლირიკის გუნაბისათვის

იოსებ ბროდსკი მარინა ცვეტაევას ტრაგიკული ხმის პოეტს უწოდებდა. ტრაგიკულთან თანაზიარობა, ჩანს, მარინას ბედით მოსდევდა. ამიტომ ჰქონდა რთული ხასიათი, მღელვარე ცხოვრება, ხოლო ლექსი, სამიჯნუროც კი, მძაფრი განცდებით დატვირთული. ბუნებითმა ნიჭმა, განათლებამ, ტემპერამენტმა და კიდევ ბევრმა სხვა მონაცემმა მარინა ცვეტაევა XX საუკუნის დიდ რუს პოეტად ჩამოაყალიბა, რომლის ცხოვრებაში უფრო მეტი იყო ნუხილი, ვიდრე სიხარული. იქნებ სიხარულის მიზეზად ჩვენ მისი ამქვეყნად მოვლინება უნდა მივიჩნიოთ, რადგან მისია აღსრულდა – მარინას პოეზიამ გაამდიდრა და ლექსით ტკბობა განაცდევინა თაობებს. რაც შეეხება მისი ცხოვრების გზაზე უხვად დაყრილ პრობლემებს, მათი გამოჩენა განაპირობა დრომ, პოეტის ხასიათმა, ობიექტურ-სუბიექტურმა პირობებმა და ვინ იცის, კიდევ რამ...

მარინა უაღრესად ნიჭიერი და თვითმყოფადი ბუნების შემოქმედი იყო. ის ხმაურით შემოვიდა გასული საუკუნის 10-იანი წლების რუსულ პოეზიაში. მისი ლექსებისა თუ პირადი ცხოვრების შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ, ის კი ქმნიდა, რადგან ცხოვრების სხვა სახსარი არ გააჩნდა, პოეზიით საზრდოობდა და არსობის პურსაც ლექსებით შოულობდა.

ნიჭიერება მარინას გენეტიკურად მოსდგამდა: მამა იყო ფილოლოგი და ხელოვნებათმცოდნე, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. მანვე დააარსა მოსკოვის ნატიფი ხელოვნების მუზეუმი (ახლა პუშკინის სახელობისა). დედა – გამორჩეული ნიჭის პიანისტი, **რუბინშტეინის** მოწაფე, პოეზიითა და ხელოვნებით გატაცებული ქალბატონი.

მარინას ხასიათი და ინდივიდუალობა ადრეულ ასაკში დასტყობია. თავად პოეტი წერილში „ჩემი პუშკინი“ იხსენებს, ექვსი წლისამ როგორ გააოცა და შეაშინა დედა, როცა **ჩაიკოვსკის** ოპერა „ევგენი ონეგინის“ ფრაგმენტების მოსმენის შემდეგ სხვების წინაშე გამოუტყდა, რომ შეუყვარდა ტატიანასა და ონეგინის სიყვარული, უფრო კი ტატიანასი. დედამ კითხვა გაუმეორა, იქნებ ხალხის თანდასწრებით გაასწოროს ნათქვამი, მაგრამ ამაოდ. მაშინ დედამ დაასკვნა, რომ მარინა „ათ სახედარზე ჯიუტი“ იყო.

მარინას დედის ხასიათი გამოჰყვა. **არიადნა ეფრონი**, მარინა ცვეტაევას უფროსი ქალიშვილი, მოგვითხრობს: „...მარინაში მარია ალექსანდროვნამ ძალიან ადრე შეიცნო საკუთარი თავი, თავისი რომანტიზმი, ფარული ვნებიანობა. მან შვილში აღმოაჩინა ის ნაკლოვანებები, რაც ტალანტს ახლავს, დაინახა თავისი ღირსებაც და ნაკლიც, და კიდევ შვილისაც... დედა ცდილობდა მოეთვინებინა და დაეხვეწა პატარას ხასიათი... მარინასთან ბრძოლაში დედა იბრძოდა ქალიშვილისთვის. თან გულის სიღრმეში ამაცობდა, რომ ვერ მოახერხებდა მასზე გამარჯვებას!..“

ამ მოგონებებში აშკარად ჩანს, რომ მარინა თავნება მოზარდი იყო. ჯერ კიდევ მაშინ და, განსაკუთრებით მოგვიანებით, მარინას ძლიერად გამოჰხატვია საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. მან იცოდა, იმ დროს ვინ რას და როგორ წერდა, შეეძლო სინამდვილის ლოგიკური და ობიექტური განსჯა და კიდევ, გვერდიდან დანახვა თავისი უნარისა. 1914 წელს მარინა

დღიურში ჩანერს: „შეურყევლად მნამს ჩემი ლექსებისა“. სწორედ თავისი ფასის ცოდნა აძლევდა მას პიროვნული თავისთავადობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლის ძალას. ის, რაც გარშემომყოფთაგან ყოველთვის ითრგუნებოდა, მონიფულობაში მარინას ერთ-ერთ მთავარ ღირსებად იქცა, თუმცა ეს სხვებისთვის ბოლომდე ძნელად შესაგუებელ „სიამოვნებად“ დარჩა.

რწმენა საკუთარი შემოქმედებითი ძალისა და, რაც მთავარია, მომავლის განჭვრეტისა, ჯერ კიდევ 1913 წელს გამოხატა პოეტმა, როცა თქვა: „ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას ღვინოებს, ხვალ დაუდგებათ თავისი ჟამი“.

დედის ტუბერკულოზით დაავადებამ და რუსეთიდან ევროპაში სამკურნალოდ გამგზავრებამ მარინა მშობლის გარეშე დატოვა და იტალიის, შვეიცარიის, გერმანიის კერძო პანსიონებში გამოკეტა. ამ დროს იგი ათი წლის ყოფილა და, როგორც მოგვიანებით თავად იტყვის, დედამ მოასწრო მასზე მოეხდინა „საფუძველჩამყრელი ზეგავლენა“. შეილს შეაყვარა „მუსიკა, ბუნება, ლექსები...“ პოეტური ბუნების მგრძნობიარე ბავშვს უდებოდ, ბუნებრივია, გაუჭირდებოდა. ჩანს, მარინაში ამ პერიოდიდან დაწყებული მარტოობისგან გაქცევის ცდათა სერიები, უკან, რეალობაში, იმედგაცრუებით დაბრუნებით. ბედის ნებით, ადამიანთაგან თანადგომის სახელით უშედეგო ძიებები პოეტის ამ ქვეყნიდან გასვლამდე არ დასრულებულა. თავად მარინაც მოგვიანებით თავის „სრულ მარტოობას“ ბედის წყევლად აღიარებს.

ისევ მარინას ხასიათი ვლინდება იმაში, რომ თექვსმეტი წლის ასაკში მიატოვა მოსკოვის კერძო გიმნაზიის მერვე კლასი და გაემგზავრა პარიზში. სორბონის უნივერსიტეტში მოისმინა ძველი ფრანგული ლიტერატურის მოკლე კურსი.

ამ პერიოდისათვის მარინა ცვეტაევა უკვე პოეტად გრძნობს თავს, წერს რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე, იბეჭდება კიდევც. პირველი პოეტური კრებული „სალამოს ალბომი“ ოჯახისგან მალულად გამოსცა 1910 წელს. მის დებიუტს გამოეხმაურნენ ცნობილი რუსი სიმბოლისტები: **ვალერი ბრიუსოვი, ნიკოლაი გუმილიოვი, მაქსიმილიან ვოლოშინი**. მათ დაინახეს მარინას ბუნებრივი ნიჭი, შინაგანი ორიგინალობა, უჩვეულოდ თამამი საუბარი ინტიმზე, ცხოვრების წვრილმანებით უშუალო ტკბობა... ნათელი ფერები, სიტყვათა ზუსტად პოვნის უნარი. ნ. გუმილიოვის თქმით, ამ ლექსებში ინსტინქტურად ნაპოვნი იყო პოეზიის ყველა უმთავრესი კანონი...

სიმბოლისტური პოეზიის მეტრების გამოხმაურება, და, რაც მთავარია, აღიარება, რომ მათი, მოდერნისტული მუზის მსახურთა, მისწრაფებების საპირისპიროდ, მარინა ცვეტაევა რეალური სამყაროს შესახებ საინტერესოდ წერს და დედამინაზე დგას, უკვე გამარჯვება იყო. მითუმეტეს, იმ პერიოდში, როცა მრავალგანშტოებიანი სიმბოლისტური მსოფლმხედველობით იყო ჯერ კიდევ მოცული მთელი რუსული პოეზია.

ამ კონტექსტში აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ არც მარინა ცვეტაევას პოეტად ჩამოყალიბების გზა იყო სწორხაზოვანი. მართალია, ხანმოკლე, მაგრამ მაინც ძიების პროცესში იცვლებოდნენ კუმირები, თუმცა კი უკვალოდ არა. ახალგაზრდის ცნობიერება სწრაფად ყალიბდებოდა. ცვეტაევას მცოდნეები განსაკუთრებით გამოყოფენ თავისი ექსპრესიულობით ცნობილ ესთეტ პოეტესა **გრაფინია დე ნოაილსა** და მხატვარ **მარია ბაშკირცევას**, თუმცა იმასაც მიუთითებენ, რომ არც პოეტი ქალის ლექსები



* ლექსების თარგმანი შესრულებულია ჩვენ მიერ (იხ. მარინა ცვეტაევა, უძილობა, თარგმანი თეიმურაზ ქურდოვანიძისა, თბ., 2006.).



და არც მხატვრის ინტიმური დღიურები არ მიიჩნეოდა მაღალ ლიტერატურად. მარინა კი, როგორც ირკვევა, კითხულობდა ბევრს და სხვადასხვა ხასიათის წიგნებს. ამ პერიოდშიც მარინა ისევ გატაცებულია ალ. პუშკინითა (მისი „ბოშები“ პირველად შვიდი წლისამ წაიკითხა) და მიხაილ ლერმონტოვის ლექსებით, უყვარდა გერმანელი რომანტიკოსები, განსაკუთრებით **გოეთე და ჰაინე**, ასევე **ბაირონი**.

1912 წელს მარინა ცვეტაევას ცხოვრებაში სინათლემ დაისადგურა – შეყვარებულ სერგეი ეფრონზე გათხოვდა. პოეტის ქალიშვილს, არიადნას, მოვუსმინოთ: მათ კოცტებლის სანაპიროზე ნახეს ერთმანეთი. „...სერგეის განსაცვიფრებელი დიდი ნაცრისფერი თვალები ნახევარ სახეს უფარავდა და მარინამ მათში რომ ჩაიხედა, ყველაფერი წინასწარ განჭვრიტა. ჩაუთქვა: თუ სარდიონს იპოვის და მაჩუქებს, ცოლად გაცეცები! ვაჟმა ვარდისფერი, შიგნიდან განათებული მოზრდილი ქვა, რასაკვირველია, მაშინვე იპოვა ხელისცეცებით, რადგან ვერ სწყვეტდა თვალს მარინას მწვანე თვალებს და სარდიონი ხელში ჩაუდო...“

ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. სერგეი იყო მარინას მარადიული სიყვარული. სერგეი დარჩა მარინას ლირიკის ერთ-ერთ მთავარ თემად, რადგან მათი უღრუბლო სიყვარული არც ისე ხანგრძლივი გამოდგა. წუხილის ხმა უკვე 1914 წლის ივნისში გაისმა ლექსში „Я с вызовом ношу его кольцо!“ („ნიშნობის ბეჭედს ვუჩვენებ ყველას“). მარინა თავის განწყობილებას ქმრის პორტრეტის ხატვის საშუალებით გადმოგვცემს. ბიოგრაფების ცნობით, ეს ლექსი ცოლ-ქმარს შორის ხანმოკლე განხეთქილების გამოძახილია, მაგრამ მარინა მაღლდება ამ ბანალურ მიზეზზე და მძაფრ დრამატულ სურათს ქმნის, ახერხებს მკითხველს შეაგრძნობინოს განცდის სიმძიმე. ამ პერიოდში მარინა ცვეტაევას ეს უკვე შეეძლო.

ცხოვრება საკმაოდ უჭირდათ. მარინა არ იყო რბილი და დამყოლი ხასიათისა, ყოფილი სირთულეები ურთიერთობებს კიდევ უფრო ძაბავდა, წამოსწრებულმა პირველმა მსოფლიო ომმა კი უფრო გაართულა მათი ცხოვრება. სერგეი, მიუხედავად იმისა, რომ ფილტვების ავადმყოფობის გამო ფრონტზე მებრძოლად არ გაუშვეს, მოწყალების ძმად მოეწყო სანიტარულ მატარებელზე (ზურგში გადაჰყავდა დაჭრილები). რამდენჯერმე ოჯახის მონახულებაც მოახერხა, ვიდრე სამოქალაქო ომის დროს „თეთრ-გვარდიელთა“ რიგებში არ აღმოჩნდა და ემიგრაციაში არ დარჩა.

პოეტი **ილია ერენბურგი** წერდა: „მარინა ცვეტაევაში შერწყმული იყო ძველმოდური თავაზიანობა და მეამბოხეობა, ჰარმონიისადმი მოწონება და სულიერი რყევებისადმი მიდრეკილება, უკიდურესი სიამაყე და უსაზღვრო უბრალოება. მისი ცხოვრება გონების გამობრწყინებათა და შეცდომათა გორგალი იყო“.

მარინა ცვეტაევას მგრძნობიარე ნატურას მუდამ თან ახლავს სულიერი მღელვარება, რასაც ხშირად პოეტი ტრაგიკულობამდე ამძაფრებს.

არ ვფიქრობ, არ ვჩივი, არ ვდარდობ,
არ მძინავს.
მზე, მთვარე, ზღვა და ხომალდები
არ მხიბლავს.
ვერ ვგრძნობ, ამ კედლებში რა ბული
დგას ცხელი.
ბაღში კი ელავს მწვანე ფერი.
საჩუქარს, ნანატრს და სასურველს,
არ ველი.

ვარ საცეკვაოდ დაკიდებული
ჩაჭრილ ბაგირზე.
მე ვარ აჩრდილი სხვისი ჩრდილის
და ბნელ მთვარეთა მთვარეული
უცხო ნაპირზე.

მარინა ცვეტაევა განწყობილების შექმნისა და მისი მკითხველისათვის საცნაურად ქმნის დიდოსტატია. პოეტის გრძნობათა ბუნებიდან გამომდინარე, ეს განწყობილება მაჟორული თითქმის არ არის:

მინდა ძველ სარკეს, ბურუსით მოცულსა და
ამოუხსნელი სიზმარივით დაბინდულს,

გამოვძალო: საითკენ გიჭირავთ გეზი,
ან მე სად გიპოვით მალულად გარინდულს
... აი, უცებ გამოკრთა ხომალდის ანძა.
თითქოს გემბანზე ხართ, სქელ ნისლში ძლივს
გლანდავთ...
... გხედავთ მატარებლის თეთრ კვამლში გახვეულს
მუქი, სევდისფერი მინდვრები გაკრავთ...
მწუხრის ველები ნამით იცვრებიან,
მათ თავზე ყორნებს გნიასი გააქვთ...
– ო, სანუკვარო,
ოთხივ კუთხივ გზას დაგილოცავ!

მარინა ცვეტაევა არასოდეს ერიდებოდა გრძნობათა თავისუფლად გამოხატვას. იგი საერთოდ მძაფრად აღიქვამდა მოვლენებს და თუ შეუფარავად არქმევდა სახელებს საგნებს, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ, როგორც თანამედროვეები ამბობდნენ, მასში „შეუპოვარი სისხლი“ ჩქეფდა. თურმე, მარინას თვითგამოხატვის თავისუფლება და ზოგჯერ ჩაცმის სტილიც შოკს ჰგვრიდა ადამიანებს. ამის მაგალითი ბევრია, მათ შორის, თავისი დის, **ან-ასტასიას**, საქმროსადმი მიძღვნილი ცნობილი ლექსი „მომწონს, რომ ჩემით არა ხართ ავად“, ან ხმამაღალი აღიარება: „მცნებებს არ ვიცავ, არა ვმდგარვარ არც ზიარებად“ და კიდევ მრავალი სხვა.

მომწონს, რომ ჩემით არა ხართ ავად,
და რომ არც მე ვარ თქვენით სნეული,
რომ ჩვენს ფეხთაქვეშ არ შექანდება
კოცნისგან მიწის მძიმე სხეული...

ან ოსიპ მანდელშტამისადმი მიძღვნილი სტრიქონები:

საიდანა გაქვს შენ ეს სინაზე?
მე ხომ პირველად არ ვეფერები
ასეთ გრუზა თმებს. დამიკოცნია
მე შენს ტუჩებზე მუქი ტუჩებიც...

მარინას ეს თავისუფლება მით უმეტეს თვალშისაცემი იყო უკვე აღიარებული პოეტის, ანა ახმატოვას კდემამოსილების, განცდათა გამოხატვის მშვიდი მანერის ფონზე, მაგრამ მარინას მშვენიერ ქმნილებებს მაინც ვერ უვლიდნენ გვერდს. ბუნებრივია, ჭეშმარიტი პოეზიის მრავალი დამფასებელი ხვდებოდა, რომ საქმე გვქონდა ორი უნიჭიერესი პოეტი-ქალბატონის ტემპერამენტთა განსხვავებულობასთან.





პოეტის ნაცნობების მონათხრობის გარდა, ლექსებიდანაც აშკარად იკვეთება, რომ მარინა ცვეტაევა არასოდეს ყოფილა პეპელასავით ნაზად მოფარფატე, ბუმბულივით მსუბუქი მესიტყვე. იგი ლირიკოსია, მაგრამ მღერის არა კოლორატურული სოპრანოთი, არამედ მისი გულიდან ამოდის ფართო დიაპაზონის დრამატული სოპრანოს ბგერა. თუმცა როცა სერგეი ეფრონზე წერს, მარინაში მგრძნობიარე და მოსიყვარულე ქალი ილვიძებს, მისი ლექსები ივსება უფაქიზესი ლირიზმით („Я страница твоему перу...“ – „მე ვარ ფურცელი შენი კალმისთვის“, „Как правая и левая рука...“ – „მარჯვენა ხელი ვით ახლოა მარცხენა ხელთან“ და სხვ.)

ვანდობდი გრძნობას ასპიდის დაფას,
ფერგაცრეცილი მარაოს ფურცლებს,
მდინარისა თუ ზღვისპირა სილას,
ყინულის სარკეს, დაორთქლილ შუშებს.
ასწლოვან ხეთა კორძიან სხეულს,
და ბოლოს, – რათა შეეტყო ყველას:
მე ვით მიყვარხარ! რარიგ ვგიჟდები!
ცისარტყელათი ვამკობდი ზეცას...

მარინა ცვეტაევას პოეზიაში ვერ შეხვდებით ერთფეროვნებით დაღდასმულ ლექსებს. ამის მიზეზი უპირველესად პოეტის თვითმყობადი ნიჭია, შემდეგ კი პირადი ცხოვრების მოუწესრიგებლობა, დაუწყნარებელი სულიერი მღელვარება და ამასთან ის საზოგადოებრივი ამბები, რომლებიც ნებისით თუ უნებლიედ თავს ეხვია რუსეთს და, მაშასადამე, მარინა ცვეტაევას ოჯახსაც: „თეთრგვარდიელ“ ქმარს ომმა ოჯახთან კავშირი გაუწყვიტა... მარინა წერილებს არ იღებდა, მაგრამ ესმოდა, სიკვდილის როგორ გზებზე ატარებდნენ მათ წითელი მონინალმდეგეები... მარტო დარჩენილმა უკიდურესად გაჭირვებულმა მარინამ ქალიშვილები თავშესაფარში მიაბარა (უმცროსი, ირინა, იქ უჭმელობით დაუძლურებისაგან გარდაიცვალა). ამ ვითარებაშიც, თვითმხილველების მოწმობით, მარინა თავდაუზოგავად შრომობდა, მაგრამ მთავარი სატანჯველი ის იყო, რომ ვერა და ვერ გაუწელდა ქმართან განშორებისაგან მიყენებული ტანჯვა. მიუხედავად ყველა სირთულისა, მარინა ცვეტაევამ არ დაკარგა სულის ბუნებრივი სიძლიერე. ეს მრავალ ლექსშია გამჟღავნებული. მათ შორის, „Кто создан из камня, кто создан из глины“ („ზოგი მოზილეს ყვითელი თიხით, სხვა კი ქვისაგან არის ნათალი...“). ამ მხრივ უთუოდ იმსახურებს ყურადღებას უსათაურო „Я тебя отвоюю у всех земель, у всех небес...“

შენს თავს წავართმევ ყველა მიწას და ყოველ ზეცას,
რადგან ტყეა აკვანი ჩემი, ტყეა სამარეც.
იმიტომ, რომ მხოლოდ ცალ ფეხზე ვდგავარ მიწაზე
და შენზე ჩემებრ ვერვინ იმღერებს ყოველ ცისმარე.
შენს თავს წავართმევ ყოველ დროსა და ყველა ღამეს,
ყველა ხმალსა და სათითაოდ ოქროსფერ დროშებს,
კარს დავქოლავ, ძაღლებს გავყრი და შენთან ყოფნისას
ერთგულებაში არ შევიდრი თვით ერთგულ ძაღლებს.
შენს თავს წავართმევ მე სულ ყველას – თვით იმასაც, ერთს,
არ გეყოლება შენ სხვა ცოლი, პირისფარეში
არ ვიქნები არცა მე სხვისი. და თან წაგიყვან
მისგან, ვისთანაც იაკობი იდგა ღამეში...

პოეტისათვის ამ გაუსაძლის პერიოდში უამრავი ლექსი მიეძღვნა ქმარს.

მათში სხვადასხვა თემაა ხმამაღალი ფიქრის საგანი, მაგრამ საერთოა მარინას სიყვარულის სიძლიერე, მდგომარეობასთან შეუგუებლობის დრამატული სიმძაფრე, სულის წუხილი და ხანაც მსუბუქად გამომკრთალი საყვედური:

ანგელოზივით რაინდო ჩემო,
მოვალეობაჲ! მოსულო ზეცით!
ვით თეთრი ძეგლი სასაფლაოზე,
ჩემს მფეთქავ გულზე შემდგარო ფეხით.
თავისუფალი ფრენისთვის ნაშობს
მეკლიტულივით მიდგახარ მცველი.
შენ ხარ მზვერავი ჩემთა ღამეთა,
ცისმარე დილას ზართა მრეკველი...



დიდი სიყვარული დიდი ტკივილის თანამგზავია. ეს კარგად იცის პოეტმა, მაგრამ ლექსში „Пригвождена“ („მიღუსმული ვარ“) მაინც სვამს რიტორიკულ კითხვას: „რა დავაშავე, მე ხომ ხელგანვდით დავეძებ მხოლოდ ბედნიერებას?“. ეს ბედნიერება, მაშინაც და საზოგადოდაც, მარინასთვის წამიერი სინამდვილე, უფრო კი წარმოსახული, ეფემერული რეალობა იყო, რომელთანაც მიახლოებისას იგი უმალ ქრებოდა.

მარინა ცვეტაევას ბუნებისათვის მარტოობა მტანჯველი რეალობაა. მას სძულს ეს მდგომარეობა. ლექსში „Мой путь не лежит мимо дому – твоего“ („ჩემს გზაზე არ დგას ეგ შენი სახლი“) პოეტი აღიარებს: „...კვალი მეზნევა / განსაკუთრებით გაზაფხულობით / და მაინც, ვწვალვ, ვწრიალებ ხალხში, / როგორაც ძალღი მთვარიან ღამით...“

მარტოობას უკავშირდება პოეტის მიერ მრავალგზის დამუშავებული ღამისა და უძილობის თემები. თავისი წინამორბედი სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, მარინა ცვეტაევა მისტიკურად არ ჭვრეტს სამყაროს, არ აიდელავს სიბნელეს და არ გამოთქვამს ღამის უკუნეთში შეღწევის სურვილს. პოეტს მეგობრობა კი არ უნდა ღამესთან, არამედ მისგან თავდახსნა, სულის მოსათქმელად ვინმესთან დალაპარაკება: „ვშფოთავ, მძულს უხმო, უსულო სახლი“ – ამბობს იგი და უკანმოუხედავად გარბის ქუჩაში, რათა იქ მოძებნოს განათებული ფანჯრები, რომელთა იქით შესაძლებელ სიცოცხლესა და სიხარულს ჭვრეტს და როცა პოულობს, უხარია. თავად კი სულიერი სიმარტოვე დაჰპატრონებია და თავის ყოფაზე მხოლოდ ჩივილი შეუძლია: „სიმშვიდე გონებამ ჩემმა ვერსად და ვერაფრით ჰპოვა“. ვფიქრობთ, სწორედ ამ აღიარებაში იკითხება საფუძველი პოეტის პიროვნული ტრაგიზმისა, რომელიც შემოქმედებაშიც დიდი სიძლიერით გამოვლენდა.

მარინა ცვეტაევას არც ძილი და მოსვენება მოსწონს, რადგან მისი ბუნება საზოგადოდ ვერ ეგუება მოდუნებას, უმოქმედობას. მის პოეზიაში აქტიური, მოძრავი, დაუმონავი სული მეფობს. აქედან გამომდინარე, სწორად შენიშნა **ორლოვა**, რომ ცვეტაევასთან სიყვარული „საბედისწერო ორთაბრძოლას“ ჰგავს. დავამატებთ, რომ მარინა ცვეტაევას სიყვარული ამ ბრძოლის ყველა საფეხურს გადის. პოეტისთვის სიყვარული ყოველთვის დაპირისპირებაა და, როგორც წესი, განხეთქილებით მთავრდება. ისევე ვ. ორლოვის თქმით, მისი სატრფიალო ლირიკა, მთლიანად პოეზიის მსგავსად, ხმამაღალია, ფართომასშტაბიანია, ჰიპერბოლიზებულია, დაუოკებელია.

მარინა ცვეტაევას გრძნობათა ბუნებას კარგად წარმოაჩენს მისი ერთი ლექსის ფრაგმენტი, რომელშიც პოეტი დაკარგულ სატრფოს უცხადებს თავის ნებას: „სადაც გინდ იყო – მაინც გიპოვი / და სიმწრის გზებით თან წამოგიყვან. / ზღვათა უფსკრულებს გულს ამოვუღებ / და მის ფსკერიდან



ზე ამოგიყვან. / ცოტაც მოიცა! მე ყველგანა ვარ: / ცისკარიც ვარ და განძიც
მინის ქვეშ, / მე პურიცა ვარ და ამოსუნთქვაც. / ვარ და ვიქნები და ტუჩებს
შენსას / როგორც ღმერთი სულს, დავისაკუთრებ...”

ცნობილია, რომ სიმბოლისტი პოეტები დიდ ინტერესს იჩენდნენ წიგნურ-
რომანტიკული წარმომავლობის თემებისადმი. ისინი ამუშავებდნენ მი-
თოლოგიურ და ლიტერატურულ სიუჟეტებს და ახალი ინტერპრეტაციით
წარმოადგენდნენ გარდასულ ისტორიებს. ეს ინტერესი მარინა ცვეტაე-
ვასთანაც შეინიშნება. მან დაამუშავა დონ-ჟუანისა და ფსიქეას თემები,
გასაოცარი მხატვრული ძალით გაათანამედროვა ორფეოსისა და ფედრას,
სკვითებისა და ოფელია-ჰამლეტის ამბები. ამ ლექსებში მარინა ცვეტაევა
წარმოჩნდება, როგორც ბრწყინვალე მესიტიყვე, აზრის სხარტად და ხატო-
ვნად გამოთქმის დიდოსტატი.

და ჰქონდა ჭაბუკ დონ ჟუანს დაშნა,
და ჰყავდა დონ ჟუანს დონა ანა.
ხალხმა ბრწყინვალე, უიღბლო ვაჟზე
მე ამბად ოდენ ეს მომიტანა.
და აი, ნუხელ ვიხმარე ჭკუა,
შუალამისას გავედი გზაზე.
ვიღაც ამყვა და უცნობ სახელებს
ყვავილთ სურნელად მაყრიდა თავზე.
უცხო რამ კვერთხი გამოკრთა ნისლში...
– დონ ჟუანს ანა გაუქრა ფიქრში!

მარინა ცვეტაევამ მრავალ სხვა სიუჟეტთა შორის ახალი სიცოცხლე და
ჟღერადობა შესძინა ფედრას მითურ ისტორიას. პოეტმა თავისი გრძნო-
ბების თანხვედრა „ალმოაჩინა“ ფედრას განცდებთან და პიესის გარდა,
დანერა ორნაწილიანი ლექსი, რომელშიც ტრაგიკული სიმძაფრით არის
ნაგრძნობი საყვარელი კაცისაგან უარყოფილი ქალის სხეულისა და სულის
ტკივილი.

... იპოლიტ! იპოლიტ! ტანი მტკიცია!
ღანვები მიხურს, ალი მედება...
ნატრობს მინაში ჩაფლვას ხელები,
კბილებით ღორღის დანახერხებას.
შენთან ტირილი, შენთან ნოლა მსურს,
ჩემი მხურვალე ტვინი იგზნება.
ჰერკულანუმის მტვრითა მაქვს სავსე
ცხვირი და პირი. ვჭკნები, ვბრმავდები.
გადახერხილზე უარესად ვარ,
ქვიშაზე, ფერფლზე უმეტეს ვშრები...

მითურ-ლიტერატურული თემების საფუძველზე ახალი ნაწარმოების
შექმნის ამოცანა, ადვილი მისახვედრია, თავად პოეტის ტკივილის გამო-
ხატვას ისახავდა მიზნად. ლექსების გაცნობისას მკითხველი გრძნობს გა-
ცოცხლებული ქალების – ევრიდიკეს, ჰერტრუდას, ფედრასადმი პოეტის
სოლიდარობას. საბოლოოდ კი, აშკარაა, რომ მარინა თავის მოუწონებელ
სიყვარულზე მოთქვამს.

როგორც მარინა ცვეტაევა ამბობდა, შემოქმედებაში სიმაღლე მიიღ-
ნეოდა მაშინ, როცა პოეტი უძლიერესად იყო დაქვემდებარებული მიგნების
წყურვილს და მიგნების შემდგომ საჭიროებისამებრ იყენებდა მას. თავად
ამას თავდაუზოგავი შრომით აღწევდა. როგორც არიადნა იხსენებს, ყოველ

დღე ადრია დილიდან შუადღემდე დედამისი იკეტებოდა, თან შეჰქონდა განუყრელი პაპიროსი და ტოლჩით ყავა და ეთიშებოდა ამქვეყნიურ სამყაროს, მისთვის სოციალურად ყოვლად მოუწყობელს.

მრავალჯერ აღნიშნულა ჭეშმარიტება, რომ მარინა ცვეტაევას ლექსი არავისში აგერევს. ამ პოეტის უმთავრესი მახასიათებელი, გამოხატულ გრძნობათა სიმძაფრის გარდა, არის განწყობილება, რომელსაც პოეტი გადმოსაცემ ამბავს უსადაგებს. იგი საგანგებო ატმოსფეროს ქმნის, რომელიც მისი განცდის თანახმიერია და რაკი თავის გრძნობას პოეტურ ფორმაში ახვევს, მას სამუდამო სიცოცხლეს ანიჭებს. ამის დასტურია ლექსში მისი დაფიქსირებული მძაფრი განცდის ადეკვატურად აღქმის შესაძლებლობა ერთი საუკუნის შემდეგაც.

მარინა ცვეტაევას ცხოვრება და პოეზია ერთი გაბმული ნუხილია, ერთი ხანგრძლივი ამოკენსაა და რთულია ჩასწვდეს ამ ისედაც ძნელად აღსაქმელი ლირიკის სიღრმეებს, თუ არ გაითვალისწინებ პოეტის გრძნობათა ბუნებას, მის წინააღმდეგობრივ ხასიათს, იმას, რა მიმეჭრილობებით მთავრდებოდა გამუდმებული შინაგანი დაძაბულობის პირობებში ოცნებებისთვის თავის მინდობის შემდეგ პოეტი ქალის რეალობასთან დაჯახება.

მარინა ცვეტაევა ფორმათა მრავალგვარობის მაძიებელი პოეტია. მის ლექსებს შორის გამოვარჩევთ მოკლე, სხარტი ფრაზებით აგებულ ქმნილებებს. ისინი სხვადასხვა თემაზე დაწერილი მინიატურებია, რომლებშიც ცვეტაევასული აზრი და ვირტუოზული ტექნიკა სრულ ჰარმონიაშია ერთმანეთთან.



ისე შემხედე,
არ მხედავდი თითქოს პირველად.
და შავთვალამ ჩაყლაპე მზერა.
წამწამები ზე ავისროლე,
დავდუმდი ხმის ამოღებამდე.
– რაო, წმინდა ხარ?
– ვერ ვიტყვი, რომ გამოცლილი
ვარ თავით ფეხთამდე.
გუგამ შთანთქა ყოველივე ბოლო
წვეთამდე.
მე ისევ ვდგავარ.
იმავე წამიდან სულმა შენმა
ჩემში იწყო გადმოდინება
სრულ ავსებამდე.

მარინა ცვეტაევას ფორმულასავით მოკლე და მეტყველი ლექსების წაკითხვამ არ შეიძლება აღფრთოვანება არ გამოიწვიოს და არ დაგაფიქროს გამომსახველობის პოეტისეულ დონეზე.

შუბლზე კოცნა – მოხსნა საზრუნავის.
შუბლზედა გკოცნი.
თვალთა კოცნა – მოცლა უძილობის.
თვალეში გკოცნი.
ტუჩებში კოცნა – მოკვლა წყურვილის.
ტუჩებში გკოცნი.
შუბლზე კოცნა – გარდახოცვა ხსოვნის.
შუბლზედა გკოცნი.

მარინა ცვეტაევა წერისას ექსპრესიულ პოეტურ მეტყველებას ანი-



ჭებდა უპირატესობას. ის ერთგან ამბობს: „ვნერ მხოლოდ სმენითო“. ეს მდგომარეობა აიხსნება მისი მეორე გამონათქვამით: შემოქმედებითი წვის პროცესი არის ცდუნების ჟამი, როცა აუხსნელი ძალა გმართავს. მარინას ზოგიერთი ნაწარმოები ბუნებრივად მოითხოვდა აზროვნების პროცესის ექსპრესიულობას, ელვისებურ ტემპს, როგორც ლექსში „Бессонница! Друг мой!“

ო, უძილობავ! ყონალო ძველო!
 ამ უკუნ ღამეს, ყურს, თან წკრიალას,
 მე ვეგებები შენი ხელიდან
 ჩემკენ გამონვდილ სავსე ფიალას.
 – მოიხიბლე!
 შემახე ბაგე!
 არა ზერელედ,
 არამედ მტკიცედ –
 მიმყავხარ...
 ტუჩნი შემახე,
 ძვირფასო! ჩემი ხარ!
 მოსვი!
 მოიხიბლე!
 შესვი!
 ყველა ვნებებს – გაძლება,
 ყველა ამბებით – დამშვიდება.
 დობილო!
 მიმიღე.
 გახსენ ბაგენი!
 მთელი განცხრომით შეიგრძენ
 სხვადასხვა კათხის კიდენი.
 შეეხე –
 მოსვი,
 შეირგე...

და ეს არ არის ცალკეული შემთხვევები. ალბათ, მსგავსი რიტმის გავლენით უთქვამს **ანდრეი ბელის**: ცვეტაევას „დაუმარცხებელი რიტმიო“.

ბუნებრივია, ყველა ლექსი არ არის ასეთი რიტმისა. სხვა ნაწარმოები აზრის სრულყოფილად გადმოსაცემად შედარებით მშვიდ რიტმს საჭიროებს. სადეკლამაციოდ კი იგი, ჩანს, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ექსპრესიული რიტმის ლექსებს ირჩევდა. ილია ერენბურგი იხსენებს, რომ მარინა „ლექსის კითხვისას წაიმღერებდა, ტაეპის დასასრულს კი სხაპა-სხუპით ამთავრებდა“.

1921 წელს ილია ერენბურგმა პრაღაში მოძებნა სერგეი ეფრონი და მოუთხორო მისი ცოლ-შვილის მოლოდინის შესახებ. სერგეი ეფრონი მრავალი წლის იძულებითი დუმილის შემდეგ კიდევ ერთხელ უტყდება ცოლს სიყვარულში: „ჩვენი შეხვედრა უდიდესი სასწაული იყო. უფრო დიდი სასწაული მომავალი შეხვედრით გველოდება. როცა მასზე ვფიქრობ, გული მიჩერდება, მეშინია – განა შეიძლება არსებობდეს უფრო დიდი სიხარული, ვიდრე ის, რაც ჩვენ გველის... მთელი ჩვენი განშორების მანძილზე – ყოველი დღე, ყოველი საათი – თქვენ ჩემთან იყავით, ჩემში იყავით...“

ქმრის წერილის მიღების შემდეგ მარინა რვეულში ჩანერს: „დღეიდან – ცხოვრება. პირველად ვგრძნობ სიცოცხლეს“, ქმარს კი მისწერს: „ჩემო სერიოჟენკა! ბედნიერებისგან თუ არ კვდებიან, – ყოველ შემთხვევაში – ქვავდებიან!..“

1922 წელს მარინა ცვეტაევა ქალიშვილთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა, სერგიისთან. სხვადასხვა ხნის მანძილზე ცხოვრობდა გერმანიაში, ჩეხეთში, საფრანგეთში. საზღვარგარეთაც ძალზე გასჭირვებიათ. ერთ კერძო წერილში პოეტი წერს: „სიღატაკე, რომელშიც მე ვცხოვრობ, სრულიად წარმოუდგენელია. არანაირი სახსარი არ გამაჩნია, გარდა წერისა. ქმარი ავად არის და ვერ მუშაობს. ქალიშვილი ქუდების ქსოვით შოულობს დღეში ხუთ ფრანკს, რაც ოთხ კაცს უნდა გვეყოს (8 წლის ბიჭი მყავს, გიორგი), ვცხოვრობთ, ე. ი. უბრალოდ შიმშილისაგან ნელ-ნელა გვხდება სული“ (1933 წ.).

ემიგრაციაში მარინა ცვეტაევას, როგორც პოეტს, წარმატებაც ჰქონდა და სირთულეებიც. ბერლინსა და პრალაში დაწერილ ლექსებში რუსეთის ნოსტალგია გამოსჭვივს. 1925 წელს ემიგრანტები საფრანგეთში გადადიან, პარიზის მახლობელ სოფლებში ცხოვრობენ (დედაქალაქში სიძვირეა). მარინა ცვეტაევასთვის ნაყოფიერი განსაკუთრებით ფრანგული პერიოდი ყოფილა. მიიჩნევენ, რომ აქ მარინა ცვეტაევა საბოლოოდ ჩამოყალიბდა დიდ პოეტად. ამ პერიოდში წარმატებით მართავდა ლიტერატურულ საღამოებს ლონდონსა (1926 წ.) და ბრიუსელში (1929, 1932, 1936 წწ.). საფრანგეთში ამ დროს ბევრი რუსი ემიგრანტი ცხოვრობდა. 1926 წლის 6 თებერვალს მარინა ცვეტაევას ლიტერატურული საღამო ტრიუმფად ქცეულა. მარინას პოეზიის ძალას და დამოუკიდებლობას ძალზე გაუღიზიანებია რუსი პოეტები – **ზინაიდა ჰიპიუსი** და **დიმიტრი მერეჟკოვსკი**. მარინა, რასაკვირველია, ვალში არ დარჩენია შურიან თანამემამულეებს...

ამ პერიოდის ღირსსახსოვარ მოვლენად თვლიდა პოეტი **რაინერ მარია რილკესთან** დაუსწრებელ ნაცნობობასა და მიმონერას, რაც **ბორის პას-ტერნაკის** ხელშეწყობით გამხდარა შესაძლებელი.

როცა მარინა ლექსებს ველარ ბეჭდავდა, პროზაული ნაწარმოებების წერა დაიწყო და აქაც წარმოაჩინა თავისი ნიჭი. 30-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო დამძიმებულა მისი ფიქრები და განცდები: ვაჟიშვილს სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, ქმარი საბჭოთა მზევრავი გახდა და რუსეთისკენ მიისწრაფოდა. მარინა ცვეტაევა მკაცრად იცავდა თავის პრინციპებს, არ ერეოდა პოლიტიკაში.

ამ დროის პირადი წერილებიდან ირკვევა, რომ მარინას საკუთარი პერსონის უსარგებლობის განცდა დაუფლებია, არც რუსეთში დაბრუნება ხიბლავდა, რადგან, როგორც თავად უთქვამს: „სამშობლო არ გვეძახისო“. იგი თვლიდა, რომ „ძველბურთი აღარც რუსეთი იყო და აღარც თავად“.

1937 წელს მარინას იმედით აღსავსე ქმარი და ქალიშვილი მოსკოვში გაემგზავრნენ. მალე რაღაც მიზეზით ჯერ სერგეი დააპატიმრეს, მერე – არიანა. მარინამ აღიდგინა საბჭოთა მოქალაქეობა და 1939 წლის 18 ივნისს ვაჟიშვილთან ერთად დაბრუნდა მოსკოვში. სოციალურად სრულიად მოუწყობელი იყო, მაგრამ თავაუღებელი მუშაობდა – თარგმნიდა ევროპული ენებიდან. **ვაჟა ფშაველას „დაჭრილი ვეფხვიც“** აუჟღერებია რუსულად.

ქმარ-შვილის დაპატიმრებით მიყენებულ ტკივილს დაემატა გერმანელებთან საბჭოთა კავშირის ომი...

მარინას აშკარად გამოჰხატვია სასიცოცხლო ძალების ნაკლებობა, მაგრამ ვაჟიშვილი მოითხოვდა მის ყურადღებას. რუსი მწერლების ევაკუაციის პროგრამით მარინა და გიორგი გემით გაამგზავრეს მდინარე კამაზე. პატარა ქალაქ ელაბუგაში დასახლდა, მაგრამ ახალი პრობლემა გაჩნდა – უმუშევრობა. 1941 წლის 26 აგვისტოს მარინამ ლიტფონდის საბჭოში ჭურჭლის მრეცხავის ადგილი ითხოვა, მაგრამ უთხრეს, რომ სასაღილო მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს შეიძლება გახსნილიყო...



ფოტოზე სერგეი ეფრონი და მარინა ცვეტაევა



1941 წლის 31 აგვისტოს, კვირას, მარინა ცვეტაევამ რამდენიმე წერილი დაწერა. მეგობრებს სთხოვდა მიეხედათ მისი ვაჟისთვის, შვილს კი – პატივბას:

„მურლიგა! მაპატიე, მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო გართულდება ჩვენი ყოფა. მე მძიმედ ვარ ავად. მე მე აღარ ვარ. უგონოდ მიყვარხარ. გამიგე, რომ მე აღარ შემიძლია სიცოცხლე. მამასა და ალას გადაეცი – თუ ნახავ – რომ ბოლო წუთამდე მიყვარდნენ და აუხსენი, რომ ჩიხში მოვემწყვდიე“.

მარინამ თავი ჩამოიხრჩო.

ბორის პასტერნაკმა მარინას გამომშვიდობებისას უთხრა:

„სოფლიდან შენი მდუმარედ გასვლა

საყვედურია გამოუთქმელი“.

სერგეი ეფრონი დახვრიტეს.

გიორგი ეფრონი 1944 წლის 7 ივლისს დაიღუპა ბელორუსიის ფრონტზე.

არიადნა ეფრონმა პატიმრობის 16 წელი გაატარა დასავლეთ ციმბირის უკიდურეს ჩრდილოეთში. 1955 წელს გადასახლებიდან დაბრუნებულმა მთელი დარჩენილი სიცოცხლე (1975 წლამდე) დედის არქივის მონესრიგებასა და მოგონებების წერას მიუძღვნა.

მარინა ცვეტაევა ერთი საუკუნის წინ გამოჩნდა, როგორც პოეტი, მაგრამ დღესაც გვატყვევებს გამორჩეული ხმითა და განცდით, სიტყვის გამორჩეული შეგრძნებით, გამორჩეული მსოფლალქმითა და ყველა სხვა გამორჩეულით. მისმა ვარსკვლავმა, როგორც სრულიად ახალგაზრდამ თავად განჭვრიტა, პოეზიის ცაზე კაშკაში გვიან დაეწყო და, იმედია, ჩაუქრობლად ენთება.

ახალი თარგმანები

მორის მეტერლინკი

დროის საზომი

ზაფხული ბედნიერების ხანაა. როცა ტყეებში, მთებზე თუ ზღვის სანაპიროებზე კვლავ ბრუნდებიან წლის უმშვენიერესი საათები, რომელთაც სასოებით მოველით ზამთარში ჩაკარგულნი და რომლებიც გვიხსნიან მოცალეობის ოქროცურვილ ბჭეებს, – დე, მთელი სისავსით, ხანგრძლივად, ვნებიანად შევიტკბოთ და, ჩვეულებრივი დროის საზომთან შედარებით, უფრო კეთილშობილი საწყაოთი ავრწყათ ეს გამორჩეული ჟამი! დე, მისი დამაბრმავებელი წუთები ისეთივე საუცხოო, დიდებულ, გამჭვირვალე და სინათლისაგან დაწნულ ლარნაკებში ჩავნუროთ, როგორიც თვით ეს წუთებია! ასე ჩამოასხამენ ხოლმე იშვიათ ღვინოს არა ყოველდღიური სუფრებისთვის განკუთვნილ უგვან ჭიქებში, არამედ ბროლისა და ვერცხლის უნატიფეს თას-ფიალაში, დიდ ნადიმთათვის რომ გადაუნახავთ.

გავზომოთ დრო! ჩვენ ხომ იმნაირად ვართ შექმნილნი, რომ ვერ ვაცნობიერებთ მას და არც მისეულ ჭმუნვა-ნეტარებათა გაგება ძალგვიძს მისი გაზომვისა თუ ფულის მონეტებივით დათვლა-ანონვის გარეშე. მას არც ხორცი აქვს და თავის სუბსტანციასა და ღირებულებასაც მხოლოდ იმ მრავალნაკვეცა სამოსით იძენს, ჩვენ თვითონვე რომ წარმოგვისახავს, ვინძლო დრო ხილული გავხადოთო, სინამდვილეში კი, თავისთავად არარსებული, მისივე განმსაზღვრელი ხელსაწყოს გემოს, სურნელსა და ფერს იღებს. ამიტომაც ხდება, რომ ჩვენი პატარა მაჯის საათებით დაქუცმაცებული წუთის წიკნიკი ერთობ განსხვავდება სამრეკლოსა თუ კათედრალის გოლიათური ისრის ტაატისგან და ამიტომაც არ უნდა ვიყოთ განურჩეველნი ჩვენი წუთ-საათების მიმართ. თუკი სასმისის ფორმა, ფერი და ელვარება იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი სასმელი მიგვაქვს ბაგეებთან, – მსუბუქი ბორდო, მდიდრული ბურგუნდიული, გრილი რაინული, მძიმე პორტო თუ შუშხუნა შამპანური, – მაშინ ჩვენი წუთებიც რატომ არ უნდა განირჩეს ერთმანეთისგან მათი მელანქოლიურიობის, ინერტულობის თუ სიხარულით გაჯერებულობის მიხედვით? განა არ ეგების, რომ გარჯით აღსავსე თვეები და ზამთრის დღეები – ფუსფუსით, საქმეებით, სიჩქარით და ათასგვარი მოუსვენრობით გათანგული – ზუსტად, მეთოდურად, მკაცრად დაიყოს და აღირიცხოს იმ კბილანებით, ფოლადის ისრებით ან მომინანქრებული დისკოებით, მოძრაობას რომ არ წყვეტენ ჩვენს ელექტრულ თუ პნევმატურ ციფერბლატებზე, ჯიბის პანია თუ კედლის ვეება საათებზე? დიადი დრო-მბრძანებელი, ადამიანებისა და ღმერთების მეუფე, დრო – მარადისობის დიდი ადამისეული ყალიბი – აქ ერთი პანია, შეუდრეკელი მწერია, რომელიც მექანიკურად ხრავს უპორიზონტო, უტატნობო, შეუჩერებელ ცხოვრებას. უმაღლესი წყალობა, რაც მან შეიძლება გაიღოს, ისაა, რომ საღამოს ბინდის სულისმომტემელი ჩამოშვების ჟამს, ლამპის სინათლეში, მშვიერი კუჭის ამოსავსებად ატეხილი წრიალისა თუ სხვა რამ ფუსფუსისაგან თავდახსნილ მწუხრზე უფლება მისცეს ნორმანდიული ან ფლამანდიური კედლის საათის ვეებერთელა სპილენძის ქანქარას – საზეიმოდ შეანელოს მოახლოებული ღამის წინმსწრები წამ-წუთები.



თარგმნის ალქიმიია

პოეზიის თარგმნა – პოეტური პროზისაც – შესაძლებელია **სულით**, მარტოდენ სულის სიდრმისეულ შრეთა ამოძრავებით.

საერთოდ, **მაღალმხატვრული ქსოვილების** რეპროდუცირება გულისხმობს დიდ გარინდებას და სიტყვებამდელ პლაზმაში ჩასვლას, რაც, გადამწყვეტ მომენტებში, მხოლოდ სპეკულატიური აპარატის გათიშვით მიიღწევა. სწორედ ამ პლაზმიდან უნდა ამოიწვეროს ახალი ასო-სიტყვა-სტრიქონი, ანუ განხორციელდეს მაგია, სადაც ჰეფესტოს მჭედლობა ევტერპეს ხელოვნებას ერწყმის. ეს მისტიკურია ოთხცხენიანი ეტლის დამორჩილებას ჰგავს, ბერული ძალისხმევით რეალიზებადი ფორმულა კი უბრალოდ ჟღერს: „**გაღღვი და – გადაადნობ!**“.



მთარგმნელის სულიერი ნაკადის დელტა – მისი ძალა და განშლა – შუანელამდე მაინც უნდა წვდებოდეს **ავტორის** შიდა ენერგეტიკას. სხვაგვარად, ვერ მოიქსოვება ცეცხლგამძლე ტილო, გნებავთ – სინათლის ძაფით წნული ბექთარი. თუ სათარგმნე თხზულებას შევადარებთ, ვთქვათ, ანდებიდან დაშვებულ ჩქერალს, დე, მისი ქართული ორეული, სულ ცოტა, კავკასიონიდან მოდგაფუნე მდინარეს ჰგავდეს. სიცოცხლე უნდა იქცეს სიცოცხლედ და ამასობაში, შესაძლოა, ორი თუ სამი ახალი ნიბოც გაუბრწყინდეს ამომავალი მზის სხივზე.

მთარგმნელმა იდუმალად უნდა იგრძნოს, რომელი პოეტური ოპუსი შეეჭრა აორტაში, რომელმა გადმოკვეთა გულის მენამული მერიდიანი. მხოლოდ მსგავს საკრალურ კავშირს თუ მოჰყვება „ოქროს ტყუპისცალის“ შექმნა. ამდენად, პოეზიის თარგმნის ნახევრად ირაციონალური აქტის კეთილად დაგვირგვინების მთავარი პირობაა

მეორეს მხრივ, ჩვენი არა უფრო გულგრილი, მაგრამ უსასოო, ფარდებჩამოშვებული, ფარხმალდაყრილი წუთებისთვის, წუთებისთვის ჩვენი დავრდომისა და ურვისა, ჩვენი ცხოვრების მკვდარი საათების სახელით, სინანულით გავხედოთ წინაპართა კუშტ და უჩუმარ **ქვიშის საათს**. დღეს იგი მხოლოდ ჩვენი საფლავებისა და ეკლესიების უსულო სიმბოლოა, ან კიდევ – შესაბრალისად უფუნქციო – რომელიმე სოფლის სამხარეულოში დაყუდებულა, რათა პედანტურად დაუდოს ზღვარი კვერცხის თოხლოდ მოხარშვას. მას დროს აღარავინ აზომინებს და მხოლოდ ცელთან – თავის ყავლგასულ წყვილთან ერთად ალეგორიულად თულა აღნიშნავს ჟამის ყოვლისწამლევკავ სვლას. ამის მიუხედავად, მას არც ღირსება დაუკარგავს და არც არსებობის უფლება. ადამიანურ ფიქრთა სევდიანი მდინარეებისას, გარდაცვლილთა სამყოფლის ირგვლივ აღმართულ აკლდამებში ან იმ მონასტრებში, ოდენ სხვა, ჩვენსაზე უფრო შემაკრთობელი სამყაროს ბუნდოვანი სინათლეები-სკენ რომ აღებენ სარკმლებს, სიხარულისგან, ღიმილისგან, ბედნიერ მოულოდნელობათაგან და სხვა მბრწყინავ სამშვენიისთაგან განძარცული წუთებისათვის **ქვიშის საათი** ერთადერთი შეუცვლელი საზომი იყო: – კი არ აზუსტებდა, არამედ მტვრად აქცევდა დროს; მხოლოდ იმისთვის იყო შექმნილი, რომ თითო-თითოდ გადაეთვალა ლოცვის, მოლოდინის, შიშისა თუ მოწყენილობის მარცვლები; წუთები მასში მტვრის ნაკადულად მიედინებოდნენ, მოწყვეტილნი გარემომცველი სივრცის, ბალების, ცის მფეთქავ სიცოცხლეს, სენაკში გამოკეტილი ბერივით დამწყვდეულნი მინის ამპულაში, – არათუ რომელიმე დროის აღმნიშვნელ-სახელმძღვანელი, არამედ ყველა წუთის და საათის სამგლოვიარო ქვიშაში ჩამმარხველნი, მათ უხმო და შეუჩერებელ ვარდნას აყოლილი უქმი ფიქრების შემრთველნი გარდაცვლილთა ფერფლთან.

ცეცხლოვანი ზაფხულის მბრწყინავ დინებაში წუთთა მხურვალე სვლას ალბათ უმჯობესია დავენაფოთ იმ თანმიმდევრობით, როგორითაც მათ განამწკრივებს და მოცალეობისას გვაპკურებს ჩვენივე თანამდევი ცთომილი.

ამ ყველაზე ნებიერ, ყველაზე მკერდახსნილ, ყველაზე შეუზღუდავ დღეებში მე სხვა არაფერი მნამს და არაფერი მიზიდავს, გარდა სინათლის იმ დიადი ღვარებისა, რომელთაც მზე მიმითითებს ბაღში, წყლიანი კასრის მახლობლად, მარმარილოს ციფერბლატზე მოხვედრილი ერთი სხივის გამთბარი ჩრდილის მეშვეობით, თავის მდუმარებაში სრულებით უმნიშვნელო ამბავივით რომ აირეკლავს და აღბეჭდავს ჩვენი დედამიწის სრბოლას სამყაროულ სივრცეში. ვარსკვლავთმმართველი დროის ნების გამომხატველი ამ უშუალო და ერთადერთი ჭეშმარიტი განსახიერების წყალობით, სადილ-ვახშამთა და პანია ცხოვრების პანანკინტელა მოძრაობათა მომწესრიგებელი ჩვენი საბრალო ადამიანური დრო-ჟამი ისეთი კეთილშობილებით იმოსება და უსასრულობის ისეთ თავისთავად და მბრძანებლურ სურნელებას იღებს, რომ, ამ საათებში, უსასრულოდ ივრცობა და უსაზღვროდ მარგებელი ხდება აბრდღვი-ალეზული ზაფხულის ცვრით გაბრწყინებული დილები და თითქმის უმოძრაო შუადღეები.


ეჰა, რომ **მზის საათი** – ერთადერთი ჟამთაღმრიცხველი, რომელმაც უწყოდა, როგორ მიჰყოლოდა შეუბღალავი წუთების დარბაისლურ და სხივოსან სვლას – ჩვენი ბალებიდან თანდათანობით ქრება. მას მხოლოდ ოფიციალურ ეზო-პალატებში, ქვის ტერასებზე, ზოგიერთ სათამაშო მოედანზე ან ძველი სასახლის, კოშკის თუ ქალაქის მომრგვალებულ

ნაწილებზედა ვხედავთ, სადაც მისი მოოქროვილი ციფრები, დისკო თუ მაჩვენებელი იმავე ღმერთის ხელით იშლება, რომელიც მათ თავადვე უნდა განედიდებინათ.

და მაინც: პროვანსი თუ ზოგიერთი იტალიური დაბა კვლავაც ამ ზეციური საათის ერთგული რჩება. პროვანსში, მზით განათებული რომელიმე სასაცილოდ მორყეული სახურავის წვეტურაზე ხშირად ფრესკასავით დაიხატება ხოლმე წრე, რომელზეც მზის სხივები გულდასმით განაგრძობენ თავიანთ ფეერიულ სვლას. ასეთ საათებზე წარწერილი ღრმა ან მიამიტური გამონათქვამები, – თუმცა ყოველთვის სახასიათო იმის მიხედვით, თუ რა ადგილს იკავებენ და რა როლს თამაშობენ ადამიანთა ცხოვრებაში, – ადამიანურ სულს ერთობ გაუგებარ ფენომენებთან აკავშირებს. „მართლმსაჯულების ჟამი ამქვეყნიურ საათებზე არ რეკავს“, ლაღადებს ტურეტ-სურ-ლუს ეკლესიის მზის საათის წარწერა. ეს ჩემს საბინადროს სიახლოვეში მდებარე ერთი პანია, თითქმის აფრიკული სოფელია, ჩამონგრეულ კლდეებში, ალოეში და ველურად გაბარდულ ლეღვის ხეებში ჩამჯდარი, მზისგან ძვალ-ხრტილამდე გამოქარულ მინიატურულ ტოლედოს რომ წააგავს. „Lumine motus: მე სინათლით ვიძვრი“, გვეუბნება მზის მეორე მანათობელი საათი. „A myddst ye flowers I tell ye hours: ყვავილთა შორის ვარ მთვლელი დროის“, იმეორებს ძველი ეზოს სიღრმეში მდგარ მარმარილოს მაგიდაზე ამოკვეთილი წარწერა. მაგრამ ერთ-ერთი უმშვენიერესია წარწერა, ვენეციის გარეუბანში რომ აღმოაჩინა ჰაზლიტმა – გასული საუკუნის დასაწყისში მცხოვრებმა ინგლისელმა ესსეისტმა: „Horas noon numero nisi serenas: მე მხოლოდ ნათელ საათებს ვითვლი“.

„ყოველგვარ ზრუნვა-საწუხართა როგორი უკუმგდებელი განცდაა! როგორც კი მზე პირს იბურავს, ცისქვეშა ციფერბლატზე ყველა ჩრდილი იშლება და დროც სხვა აღარაფერია, თუ არა დიდი სიცარიელე, ყოველ შემთხვევაში – ვიდრე მის სვლას კვლავ სხივთა მხიარული ნაკადი არ ათვლის. ამ დროს სხვა ყველაფერი, რაც უბედურია, დავინყებას ეძლევა! და ეს მშვენიერი სიტყვებიც ჩვენ მხოლოდ სასიკეთო ჟამის აღწუსებას ჩავგაგონებს, მხოლოდ ღიმილებს მიიჩნევს მნიშვნელოვნად, ბედისეულ დარტყმებს კი უარყოფს და იმასაც მიგვითითებს, როგორ ავაგოთ ჩვენი არსებობა მხოლოდ შუქგამჯდარი და გულღია წუთებისგან, როგორ ვიბრუნოთ პირი საგანთა გაცისკროვნებული წახნაგებისკენ, სხვა დანარჩენი კი ჩვენს უყურადღებო ან გულმაგინე წარმოსახვაში გავცრათ“.

კედლის, ქვიშის, წყლის საათები გვიჩვენებენ აბსტრაქტულ დროს, უფორმოსა და უსახურს. ისინი ჩვენს ოთახებში მიმდინარე უსისხლო, დამონებული, დატუსაღებული დროის აღმწუსხველი ხელსაწყოებია. **მზის საათი** კი ლაჟვარდში მიმომქროლი დიდი ღვთაების ფრთის ნამდვილ, ათრთოლებულ აჩრდილს გვიმჟღავნებს. მარმარილოს მოედნის ირგვლივ, რომელიმე ტერასას ან დიდ გამზირთა გზაჯვარედინს რომ ამშვენებს და ასე დიდებულად ეთანადება სამეფო კიბეს, ფრთაგაშლილ მოაჯირებზე თუ ტანაყრილი წიფლნარის მწვანე კედლებზე – ჩვენ გასხივოსნებულ საათთა მსწრაფლწარმავალ, მაგრამ უცილობელ აციმციმებას შევხებით. ვისაც მოუხერხებია მათი გარჩევა სივრცეში, დაინახავს, თუ როგორ ეხებიან მინას რიგრიგობით და როგორ იხრებიან საკურთხეველის თავზე იმ ღმერთისთვის მსხვერპლშესანიშნად, რომლის წინაშეც ადამიანი მოწინებს, თუმცა ვერ შეუცვნია; დაინახავს, როგორ იმოსებიან განსხვავებული და ცვალებადი სამოსით, შემოდგომის ტკბილი ნაყოფების, გაშლილი ყვავილების თუ ცვარ-ნამის გვირ-



ჯერ სისხლბორცეული სიახლოვე ლექსის სულიერ-ემოციურ სხეულთან, მერე – ყოველივე დანარჩენი. ვისაც ოკეანის პირას არ უცხოვრია, ვერც მის ფერადოვან ნაოჭს გამოგვიძენავს.

ჭეშმარიტი მთარგმნელი ავტორთან იყოფს ტრაპეზს – გვერდით ან პირდაპირ უზის და გადაციცებით ადევნებს თვალს მის თითოეულ შესტს. ზოგჯერ, კონკრეტულ ეპიზოდში, სტუმარი თავის თეფშზე რამდენადმე განსხვავებულად აზავებს ნადიმზე მორთმეულ ნუზლს. მაგრამ ეს კერძიც, თავისი გემო-არომავით, ისევ და ისევ მასპინძლის სამზარეულო ნედლეულით იქმნება.

პოეტი და მისი საპატიო სტუმარი, მისი ფიცვერცხლნაჭამი ძმადნაფიცი, მისი ქმნილების მოსიყვარულე ძიძა – **მთარგმნელი** – ერთმანეთის დიდი მესაიდუმლენი არიან და ერთი ზღვის ფსკერზე ყვინთავენ. ორივეს ხელით ამოტანილი მოელვარე კენჭები და ხვეული ნიჟარები ერთი წყალქვეშეთიდან მოდის. ის, რაც პოეტს



შთავგონებით მიეცა, მთარგმნელმა უნდა კვლავშვას შინაგან ძალთა **მეთოდური მობილიზებით** და ერთგვარი **შემოქმედებითი მედიტაციით**.

ასე რომ, პოეზიის თუ მაღალ-პოეტური პროზის კაზუსში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს **შემოქმედებით** თარგმანს, ამ სიტყვის უღრმეს-უნივერსალური აზრით. ყველა სხვა თარგმანს დიდი შანსი აქვს ჰგავდეს მკვდრადშობილ ან ხეიბარ ჩვილს, უსიცოცხლოს თუ უმნიშვნელს.

მაშ, მივესალმეთ **მთარგმნელ-თანაშემოქმედს, მთარგმნელ-ალქიმიკოსს**, არა მთარგმნელ-მხეველს, არა მთარგმნელ-საჭურისს. ნათელი მიმართებების მქონე მთარგმნელი ვერც ყურმოჭრილი მონა იქნება და ვერც თავის იშტაზე მოუწერს კვიცი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, „ციურ ნავარდთა“ თარგმნას მისტიკურ-ალმზრდელობითი მნიშვნელობა ეძლევა: გაფაციცებული მკითხველი ცნობიერ-არაცნობიერად „დაიორთქლება“ მაღლადმფრენ სულთა ნასუნთქით, რომელიც მის შინაგან, ხშირად საკმაოდ მინავლულ ღველფს ძალუმად შეუბერავს და ცნობიერების ფორებში აღმატებული სიცოცხლის მაგიურ ნვეთებს ჩაუსხამს.

ყველა გენიალური პოეტი სამყაროს ცეცხლოვანი ღერძის გარშემო თავგადადებით მბრუნავი ფარვანაა, თითოეული – თავის ორბიტაზე. ბევრი მათგანი ამ ტრაექტორიაზე ჩაიწვა, ზოგიც თვითონვე იქცა შუა-ცეცხლად. ნუთუ ამ ცეცხლის ენებმა ძლევით არ უნდა ააგიზგიზოს მათი ქროლვებისა და ირაოების **თარგმანიც?**

არსებითად, თუ საქმე ამ უკანასკნელზე მიდგა, ჩვენი ცხოვრების ძვირფასი ნუთებისა და საათების ხარჯვა მხოლოდ **სულიერებით აღბეჭდილ ძეგლთა** სათარგმნელად თუ ღირს.

მთარგმნელი

გვინებით: თავიდან – განთიადისას – ჯერ მჭვირვალთ და ძლივსშესამჩნევით, შემდეგ – შუადღისას – მძაფრით, სხივთამფრქვევით, თითქმის ულმობლით, ბოლოს კი, მწუხრზე, დარბაისლურითა და მდიდრულთ, მოახლოებული ღამისკენ სვლაში ხეთა მენამული ჩრდილის შემაყოვნებით.

მხოლოდ **მზის საათს** თუ შეჰფერის მწვანედ ახასხასებულ, მოოქროვილ დღეთა გაზომვა! იგი ღრმა ბედნიერებასავით უტყვია. მასზე დრო უხმოდ მიაბიჯებს, როგორც კოსმიურ სფეროებზე. მაგრამ ჟამიჟამ მეზობელი სოფლის ეკლესია ასესხებს ხოლმე თავის ბრინჯაოს ხმას და არაფერი ჟღერს ისე ჰარმონიულად, როგორც ზარის ხმა-ბგერა, ასე რომ ესამება ლაჟვარდის ოკეანეში შუადღის აღმნიშვნელი **მზის საათის** წამით შეყოვნებულ ჩრდილს. იგი ცენტრს აძლევს გაფანტულ, უსახელო განცხრომა-ნეტარებებს და ერთიმეორის მიყოლებით სახელს სდებს მათ...

შემოგარენთა მთელი პოეზია, სილბო და სიტკბოება; ცის კაბადონის ყველა საიდუმლო; იმ ბუმბერაზ ხეთა მთელი საფიქრალი, ვარჯებქვეშ ჩამდგარ სიგრილეს ღამისგან მინდობილი წმინდა განძივით რომ უფრთხილდებიან; პურის ყანების მოუსვენრად მიმორწეული თაველი; სინათლის მშანთავი ნაკადისთვის დაუცველად მკერდმიშვერილი ველ-ბორცვები; რბილ ნაპირებს შორის მიდინებული ნაკადულის მთელი სიზანტე-მოღუნება; წყალმცენარეებით დაფარული ტბორის ძილქუში; ჰორიზონტის შესუნთქვას დანატრული ფანჯრებგახსნილი თეთრფასადიანი სახლის ნეტარ-კმაყოფილი ლივლივი; იმ ყვავილთა სურნელი, ცეცხლოვანი მშვენიერებით გათანგული დღის დასრულებას რომ ელიან; დღის ჟამისდა მიხედვით აჟღერტულებული, სიხარულის გირლანდებით ცის მიმომსერავი ფრინველები, – ეს ყველაფერი, ათასი საგნითა და ათასი უხილავი სიცოცხლით, პაემანს უნიშნავს თავის თავს და აცნობიერებს თავის ხანგრძლივობას დროის ამ საოცარი სარკის ირგვლივ, რომელზეც მზე – მარადისობის დაყოფის ამაოდ მცდეელი ვეებერთელა მანქანის ერთი კბილანა – დაუზარელი სხივით შემოწერს ტრაექტორიას, დედამინა და ყოველივე მისეული დღიდან დღემდე რომ განასრულებს თავის ვარსკვლავიერ გზაზე.

ფრანგულიდან თარგმნა **დათო აკრიანმა**

ფრიდრიჰ დიურენმატი

გვიანი შამოდგომის საღამოს

„...ბატონი კორბესი ძალზე
ბოროტი კაცი ჩანს...“
ძმები გრიმები

რადიოპიესა

მოქმედი პირები

ავტორი
სტუმარი
პირველი ქალი
მეორე ქალი
სასტუმროს მეპატრონე

ავტორი: /შენიშვნებისა და სცენის აღწერის მაგიერ/

პატივცემულო მსმენელებო,

უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, აგინეროთ ადგილი, სადაც გათამაშდა ეს, ცოტა არ იყოს, უჩვეულო, მაგრამ გეფიცებით, სავსებით უტყუარი ამბავი. კაცი ყოველთვის ღელავს, როდესაც რაიმეს გულწრფელად ყვება საკუთარ თავზე. მაინც შეეცდები, რაც შეიძლება, დალაგებით მოგიტხროთ ერთი ამბავი, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ეჭვის თვალთშეშემოხედვას და არ დამიჯერებს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად მოხდა. მაგრამ აქვე გულახდილად უნდა მოგახსენოთ: ყველამ მშვენივრად უნყის, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმას მოყვები, რაც ნამდვილად გადამხდა თავს.

ამრიგად, პატივცემულო მსმენელებო, გთხოვთ თავს როგორმე ძალა დაატანოთ, და შეეცადოთ, წარმოიდგინოთ თანამედროვე მდიდრული სასტუმროს ზღაპრული ფოიე, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ კაცს იქიდან გამოსვლა არ მოუწდება. უნდა გითხრათ, რომ სასტუმროში ფასებიც ზღაპრულია. ახლა თვალეები დახუჭეთ და გზა უტიეთ ოცნებას, რომელსაც ერთი შესანიშნავი თვისება აქვს: შეუძლია ზღაპრული სამყაროში ამოაყოფინოს თავი იმ ადამიანსაც კი, ვინც ფიქრობს, ოცნების ნიჭი ღმერთს ჩემთვის არ მოუმაღლებიაო.

ახლა კი, ალბათ გაინტერესებთ, თვალი შეავლოთ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიას! კეთილი. ნუ გერიდებათ, შემობრძანდით! იმედი ხომ არ გაგიცრუვდათ? აქვე მინდა შევნიშნო: ზუსტად ასევე გამოიყურება იმ მწერლის სამუშაო ოთახიც, თავისი შემოქმედებით ჯერ რომ არ განუცვიფრებია ჩვენი სამყარო. დიახ, აქ ნახავთ ქაღალდების გროვას, საბეჭდ მანქანას, ფერადი ფანქრით აჭრელებულ თაბახის ფურცლებს, ავტოკალმებს, საშლელებს და უზარმაზარ მაკრატელს. აქვეა ნებოც. ჰმ! ეს ხანჯალი კი, როგორც ჩანს, აქ სრულიად შემთხვევით გაჩნდა /ჩაახველებს/.

ამ არეულ-დარეულობის ფონზე თქვენ ხედავთ იმპროვიზებულ საშინაო ბარს: კონიაკს, ვისკის, ნითელ ღვინოს და ა.შ.

რა თქმა უნდა, ამ საგნების მიხედვით ძალიან ძნელია იმსჯელოს კაცმა მწერლის შემოქმედების ხარისხზე, მის დამსახურებაზე, გენიალურობასა თუ





სახელზე, ერთი სიტყვით მის ავკარგიანობაზე.

ნუ გამიბრაზდებით, დამშვიდდით! ოთახში, მარჯვნივ, სრული წესრიგი სუფევს; აი ქალის ტუალეტის ზოგიერთ ნივთს კი, აქა-იქ გაშანშლული რომ ყრია, ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

სასტუმრო ოთახში მოდერნის სტილის დიდი, მოხერხებული სავარძლები დგას. კედელზე აბსტრაქციონისტული მანერით შესრულებული რამდენიმე ტილო და ფოტოსურათი კიდია;

ყველაზე მეტად ოთახის უკანა მხარე იპყრობს მნახველის ყურადღებას. აივნის კარი ფართოდაა გაღებული. ჩვენს წინ გადაშლილი ზღაპრული ხედი სავსებით ამართლებს ბინის გადასახადს. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ წითელი და თეთრაფრიანი ნავეებით აჭრელებული, მოსარკული ტბა ახლა უკაც-რიელ ველს დამსგავსებია. ფერთა თამაშში ჩაბმულან ტყეშეფენილი გორაკები, ფერდებგაზიდული ქარაფები, მოშიშვლებული სანაპირო და დაისის ცა. ახლა სიცოცხლის მაჯისცემა ჩოგბურთის კორტებზე თუ იგრძნობა; აქა-იქ ბაკაბუკი გაუდით პინგ-პონგის ბურთებს.

ახლა კი ისევ ოთახში შევბრუნდეთ და პიესის მთავარ გმირებს გავეცნოთ. მამ ასე, ჩემგან დავიწყოთ. დიახ, დიახ, ყური არ გატყუებთ. სწორედ მე გახლავართ მთავარი მოქმედი პირი. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ ამით სულაც არ მომაქვს თავი. ჩემს დანახვაზე უეცრად შიშმა რომ არ შეგიპყროთ, საძინებელი ოთახის მარჯვენა კუთხიდან ნელ-ნელა გამოვჩნდები. ცოტა ხნის წინ საამისოდ ნამდვილად ვერ მოვიცლიდი! რას ვსაქმიანობ? ეს თქვენ არ გეხებათ! დროს როგორ ვატარებ? ამას ალბათ საღამოს გაზეთებიდან შეიტყობდით; ღმერთო ჩემო, რაღას არ ჯღაბნიან ეს გაზეთები! ხმებს მიყრან, თითქოს მე ერთი ბილნი, აღვირახსნილი ვინმე ვიყო და სკანდალურ ცხოვრებას ვენეოდე; მაგრამ აქ ამის უარყოფას აღარ დავიწყებ; უმჯობესია, ჩემი თავი გაგაცნოთ და გითხრათ, რომ კორბესი მქვია. დიახ, დიახ, სწორედ ის მაქსიმილიან კორბესი გახლავართ, მწერალი, ბელეტრისტი, ნობელისა და კიდევ მრავალი სხვა პრემიის ლაურეატი. ერთთავად მზით გარუჯული და შეზარხოშებული ვარ, როყიო და უზნეო ხასიათით გამოვიჩნევი, მაგრამ ჩემს პატიოსნებაში ეჭვი არ უნდა შეგეპაროთ. თვალს არასოდეს არ ვხუჭავ, თუკი რაიმე ნაკლზე მიმითითებენ. ჩემი თავი ხანდახან მართლა ისეთი მგონია, როგორსაც თავად აღწერ ანდა ილუსტრირებულ ჟურნალებში გამომაჭენებენ ხოლმე. ჩემზე საყოველთაოდ გავრცელებული აზრი შევდეთვის დედოფალსაც მოეხსენება. იმ საზეიმო საღამოზე ფრაკში გამოწყობილი კი მივედი, მაგრამ ამანაც ვერ მიშველა! მერე ის იყო, ლიტერატურული პრემიის გადმოცემის შემდეგ, დედოფალს, ჩემდა უნებურად, სამეჯლისო კაბაზე წითელი ღვინო გადავასხი.

ორიოდ სიტყვით ჩემს ჩაცმულობაზეც მოგახსენებთ. დაე მომიტევონ მანდილოსნებმა, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნო: მაცვია პიჟამოს შარვალი, ხალათის კალთა გადაღედილი მაქვს და ქერა ბალნით დაფარული მუცელი მომიჩანს. ახლა ხელში ცარიელი ჭიქა მიჭირავს და ბარისკენ მივემართები. სამუშაო ოთახში უეცრად დაუპატიჟებელ სტუმარს ვხედავ. ფეხი მეშლება. ნება მიბოძეთ, ახლა ეს ტიპიც ავინეროთ: ტანდაბალი და გაკნაჭულია, ილლიაში პორტფელი ამოუჩრია და რაღაცით დაზღვევის აგენტს მაგონებს; თუმცა ამ კაცის აღწერას დანვრილებით აღარ შევუდგები, რადგან მასთან დიდხნობით შეხვედრა არ მოგიწევთ. ამაში კი ბოლოს დარწმუნდებით. ასე და ამრიგად, შესავალი სიტყვა დავამთავრე. სტუმარი ალაპარაკდა, და, ჩვენც დავიწყოთ.

სტუმარი: /შეშინებული/ პატივი მაქვს მივესალმო ჩვენს სახელოვან პოეტს, ფრიდრიჰ კორბესს.

ავტორი: /უხეზად/ დალახვროს ეშმაკმა, ჩემს ოთახში საიდან გაჩნდით?

- სტუმარი:** თქვენმა მდივანმა შემომიშვა. კარგა ხანია გიცდით.
- ავტორი:** /მცირე ხნის შემდეგ, ოდნავ მომღვალი/ კი მაგრამ, ვინ ბრძანდებით?
- სტუმარი:** ჰოფერი მქვია, ფიურჰტეგოტ ჰოფერი.
- ავტორი:** /დაეჭვებით/ ჰმ... მგონი სადღაც მინახიხართ... ჰო, ეს თქვენ ამიკელით წერილებით?
- სტუმარი:** დიახ, მას შემდეგ, რაც იზელჰოზადენში იმყოფებით, ყოველ დღილით ვემუდარები კარისკაცს, თქვენთან შემომიშვას. ბოლოს თქვენს მდივანს დავუდარაჯდი, მეტისმეტად მკაცრი ყმანვილი კი ჩანს!
- ავტორი:** ეგ ბიჭი თეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტია. ჯიბეგაფხეკილი დადის, ამიტომ იძულებულია იმუშაოს და თან ისწავლოს.
- სტუმარი:** დიდად პატივცემულო მაცსტრო! დიდხანს ვცდილობდი ეგ ყმანვილი დამერწმუნებინა, რომ ამ შეხვედრას ორივე ჩვენგანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.
- ავტორი:** გითხრით, კორბესი მქვია-მეთქი და „დიდი პატივცემულ მაცსტროს“ ნუ მეძახით.
- სტუმარი:** დიახ, დიახ, დიდად პატივცემულო ბატონო კორბეს...
- ავტორი:** რაკი მანდვე ხართ ბართან, ბარემ ვისკი გამოიღეთ, ხელმარცხნივ დგას.
- სტუმარი:** აი, ინებეთ.
- ავტორი:** გმადლობთ /თავისთვის ისხამს/. თქვენც დაისხით.
- სტუმარი:** ა... რა, არა, გმადლობთ.
- ავტორი:** /ეჭვის თვალით/ რაო, საერთოდ არ სვამთ?
- სტუმარი:** იცით, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. თქვენისთანა ბუმბერაზი ადამიანის პირისპირ რომ ვდგავარ, თავი გველემშაპს შერკინებული წმინდა გიორგი მგონია.
- ავტორი:** კათოლიკე ბრძანდებით?
- სტუმარი:** არა, ევანგელისტი.
- ავტორი:** ეს ოხერი წყურვილი ვერა და ვერ მოვიკალი.
- სტუმარი:** ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდეთ!
- ავტორი:** /უხეშად/ თქვენ რა, აქ იმიტომ მოხვედით, რომ ჭკუა დამარიგოთ?
- სტუმარი:** ხომ მოგეხსენებათ, ჩვენ, შვეიცარიელებს, ძალიან გვიყვარს ჭკუის დარიგება. ახლა კი ნება მომეცით, იმ გარემოს გავეცნო, სადაც პოეტი თავის შედეგებს ქმნის...
- ავტორი:** /ანწყვეტინებს/ პოეტი კი არა, პროზაიკოსი.
- სტუმარი:** დიახ, სადაც პროზაიკოსი თავის ნაწარმოებებს ქმნის. ყველგან წიგნები და ხელნაწერებია. ხომ შეიძლება აი იმ ფოტოსურათს შევხედო? ეს ხომ ფოლკენერია! საკუთარი ხელით წაუნერია ფოტოზე: „ჩემს საყვარელ კორბესს“, აქვეა თომას მანიც, რომელიც ასე მოგმართავთ: „საოცარ კორბესს – შეშინებული თომას მანი“; აი, ჰენრი მილერს კი ასეთი წარწერა შეურჩევია: „ჩემს სულიერ ძმას, კორბესს! მხოლოდ სიყვარულისა და სიკვდილის წუთებში ვართ ხოლმე ჯერ კიდევ გულწრფელნი“. ო, მერედა რა ხედი იშლება აქედან! ცაში აზიდული მთები, ჯადოსნური ტბა; ტბაში ბამბის ქულასავით თეთრი ღრუბლები ირეკლება. გავარვარებული მზის დისკო მთებს ეფარება.
- ავტორი:** /ეჭვნარევი ხმით/ როგორც ვხედავ, მწერლობანას თამაშს აპირებთ.
- სტუმარი:** /მოკრძალებული/ იცით, ბევრს ვკითხულობ. თქვენი ყველა მოთხრობა ზეპირად მახსოვს.





- ავტორი:** მასწავლებელი ხართ?
- სტუმარი:** არა, წინათ ჰორკისა და ენტილის ფირმაში ვმსახურობდი ბუ-
ლალტრად; ახლა პენსიაზე ვარ.
- ავტორი:** დაბრძანდით!
- სტუმარი:** მადლობას მოგახსენებთ. აი, ამ მოდური სკამების შეხედვაც კი
მეხამუშება. ო, რა ზღაპრული ბინაა!
- ავტორი:** ჰოდა, ფასიც ზღაპრული აქვს.
- სტუმარი:** რა თქმა უნდა. იცით, ამ ქალაქში ცხოვრება მეტისმეტად ძვირი
ჯდება. თავის გატანა ძალიან მიჭირს და ერთობ ხელმომჭირნედ
ვცხოვრობ /ოხრავს/. ადელბადენის პანსიონატში გაცილებით
იაფად გამოვდიოდი.
- ავტორი:** ადელბადენში ერთხანს მეც ვცხოვრობდი.
- სტუმარი:** დიახ, დიახ! იმ მდიდრულ სასტუმროს, სადაც იმხანად ისვენებ-
დით, „გიჟური ცხოვრება“ ერქვა, მე კი პანსიონატ „დამსვენე-
ბლებში“ მქონდა დაქირავებული ბინა /ოხრავს/. ერთმანეთს
შევხვედრივართ კიდეც; ერთხელ საბაგირო გზის ვაგონში,
ერთხელ კი – ბადენ-ბადენში, სასეირნო ტერასაზე.
- ავტორი:** ბადენ-ბადენშიც ყოფილხართ?
- სტუმარი:** რა თქმა უნდა.
- ავტორი:** მე რომ ვცხოვრობდი იქ, იმ დროს?
- სტუმარი:** დიახ.
- ავტორი:** /მოუთმენლად/ იცოდეთ, დრო ძვირად მიღირს! დღე და ღამე
ვმუშაობ, წლებზე ფეხს ვიდგამ, და, ჩემი ყოველი წუთი რამ-
დენიმე ათას ფრანკად ფასობს; ამიტომ მხოლოდ თხუთმე-
ტიოდე წუთი შემიძლია დაგითმეთ. ჰოდა, ახლა მიკიბ-მოკიბვის
გარეშე მითხარით, რა გინდათ ჩემგან?
- სტუმარი:** თხოვნიტ მინდა მოგმართოთ!
- ავტორი:** გაფრთხილებთ, გადასაყრელი ფული არა მაქვს. მწერლების
გარდა, სხვა ადამიანებიც არსებობენ, რომლებსაც შეგიძლიათ
ფული დასცინცლოთ; ჩემი ხელობის ხალხს კი შეეშვით! გარდა
ამისა, ნობელის პრემია კარგა ხანია დავამღერე. ახლა კი, ნება
მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.
- სტუმარი:** /წამოდგება/ დიდად პატივცემულო მაესტრო...
- ავტორი:** არა, კორბეს!
- სტუმარი:** დიახ, დიდად პატივცემულო ბატონო კორბეს...
- ავტორი:** ახლავე გაეთრიეთ აქედან!
- სტუმარი:** /სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი/ ბატონო ჩემო, ცდებით!
ფულის სათხოვნელად ნამდვილად არ მოვსულვარ /ყოყმანით/
იცით, მე დეტექტივი ვარ, უფრო სწორად, დეტექტივი პენსიაზე
გასვლის შემდეგ გავეხდი.
- ავტორი:** /შვებით ამოისუნთქავს/ აი, თურმე რა! ეს სულ სხვა ამბავია.
თუ ასეა, დაბრძანდით! ახლა შეიძლება თავისუფლად ამოისუნ-
თქოს კაცმა. ამჟამად პოლიციაში მსახურობთ?
- სტუმარი:** არა, არა, ღრმად პატივცემულო ბატონო კორბეს. კერძო დე-
ტექტივი ვარ. ჯერ ისევ ბუღალტრად ვმუშაობდი, როდესაც
რამდენიმე ბნელიტ მოცული საქმე გამოვიტანე სააშკარაოზე
და, უნდა მოგახსენოთ, წარმატებითაც. მერე ის იყო, ხან ერთ,
ხანაც მეორე საწარმოში მიწვევდნენ რევიზორად. როგორც კი
რომელიმე ფირმის რეპუტაციას წყალი შეუდგებოდა, უჩემოდ
ფონს ვერ გადიოდნენ. ენტილის მრევლის ერთ ხაზინადარს
ციხეშიც კი ამოვაყოფინე თავი. შავი დღისთვის ცოტა ფული
მქონდა გადანახული; შვილები არ მყავს, და, როცა მეუღლე



- გარდამეცვალა, გადავწყვიტე, ჩემს მოწოდებას გავყოლოდი. თქვენმა წიგნებმა აღმავრთოვანა!
- ავტორი:** ჩემმა წიგნებმა?
- სტუმარი:** დიახ, თქვენმა უკვდავმა ქმნილებებმა შეასხა ფრთა ჩემს ოცნებას. ციებცხელებიანივით, სუნთქვაშეკრული ვკითხულობდი. აღფრთოვანებაში მოვყავდი თქვენს მიერ აღწერილი ბოროტ-მოქმედებების სიდიადეს. დეტექტივად გახდომაზე ვოცნებობდი; მერე კი მეც იმ ადამიანებს დავემგვანე, ეშმაკისეული საქმეებით აღფრთოვანებულები, სულიერ სარბიელზე რომ ჰპოვებენ ხოლმე ხსნას. ღმერთო ჩემო, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებ! ნუთუ მართლა ნობელიანტის გვერდით ვზივარ?! მზე მთებს ეფარება, თქვენ ვისკის მიირთმევთ...
- ავტორი:** ძვირფასო ჰოფერ! ვხედავ, პოეტური განწყობა დაგეუფლათ.
- სტუმარი:** დიახ, ამას თქვენს ნაწარმოებებს ვუმაღლი.
- ავტორი:** ჰმ... ვწუხვარ, მაგრამ თქვენი ჩაცმულობის შემხედვარე, ვერ გეტყვით, დიდი გემოვნებით გამოირჩევით-მეთქი. ვფიქრობ, ვერც თქვენი ახალი პროფესიის წყალობით ვერ განიცადეთ მეცხრე ცაზე ყოფნის სიხარული.
- სტუმარი:** მართალი ბრძანებაა. ჩემი გზა ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა.
- ავტორი:** იუსტიციის მინისტრი ჩემი მეგობარია. შემძლია თქვენზე დაველაპარაკო. აბა მითხარით, კრიმინალისტიკის რომელი სფერო გაინტერესებთ? ჯაშუშობა, ნარკოტიკები, განქორწინების პროცესები თუ ტრეფიკინგი?
- სტუმარი:** მე ლიტერატურა მაინტერესებს.
- ავტორი:** /წამოდგება, პირქუში სახით/ ასეთ შემთხვევაში, იძულებული ვარ, კვლავ კარზე მიგითითოთ.
- სტუმარი:** დიდად პატივცემულო ბატონო კორბეს!
- ავტორი:** თქვენ რა, კრიტიკოსობა დაიწყეთ?
- სტუმარი:** ნება მომეცით, აგიხსნათ...
- ავტორი:** გაეთრიეთ აქედან!
- სტუმარი:** /სასწრაფოვითი/ მე ხომ თქვენი ნაწარმოებები კრიმინალისტიკის თვალსაზრისით შევისწავლე!
- ავტორი:** აი თურმე რა ყოფილა! რახან ასეა, დარჩით!
- სტუმარი:** გმადლობთ.
- ავტორი:** ჩემი ნაწარმოებები არაერთგზის შეუსწავლიათ ფსიქოლოგიის, კათოლიციზმის, ეგზისტენციალიზმის, პროტესტანტიზმის, ბუდიზმის და მარქსიზმის პოზიციებიდან. კრიმინალისტიკის თვალთა კი მათთვის არავის შეუხედავს.
- სტუმარი:** მაშინ, ნება მიბოძეთ, აგიხსნათ, დიდად პატივცემულო მაესტრო...
- ავტორი:** არა, კორბეს!
- სტუმარი:** დიახ, დიდად პატივცემულო ბატონო კორბეს! თქვენი წიგნების გულდასმით შესწავლის შედეგად, ეჭვი აღმედრა, მერე კი დავრწმუნდი, რომ ეს რომანები ფანტაზიის ნაყოფს კი არა, უტყუარ ცხოვრებისეულ ფაქტებს წარმოადგენს. მე თუ მკითხავთ, ვერაფრით ვერ დანერ იმას, რაც სინამდვილეში არ მომხდარა.
- ავტორი:** სავესებით გონივრულია.
- სტუმარი:** ჰოდა, ამ დასკვნებიდან გამომდინარე, იძულებული ვარ, ბოროტმოქმედი, ანუ თქვენი რომანების გმირი, ახლა უკვე ყოველდღიურ ცხოვრებაში ვეძებო.
- ავტორი:** /გამოცოცხლებული/ მამასადამე, ფიქრობთ, რომ ჩემს ნაწარ-



სტუმარი:

მოებებსა და სინამდვილეს შორის რეალური კავშირი არსებობს?

ავტორი:

უდავოდ! როდესაც თქვენი რომანები მისხალ-მისხალ, ლოგიკურად გავაანალიზე, დავრწმუნდი, რომ ჩვენი დროის არათუ მხოლოდ ყველაზე სკანდალური და სიტყვამოუმცდარი მწერალი ბრძანებით, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში სახელი იმითაც გაითქვით, რომ თქვენს ნაწარმოებებში ყველაზე შემზარავ ბოროტმოქმედებებს აღწერთ ხოლმე. აღარაფერს ვამბობ იმ შემთხვევებზე, როდესაც განქორწინებებს, სასიყვარულო თავგადასავლებს, ქეიფებსა და ნადირობას ეხება საქმე. ჟურნალ-გაზეთები პირდაპირ აჭრელებულია ამ ამბებით!

სტუმარი:

დიახ, ადამიანის ბუნება მართლაც დანვრილებით შევისწავლე, მერე კი შევეცადე, დამემტკიცებინა, რომ მას მოყვასის მოკვლაც არაფრად უღირს.

ავტორი:

მინდა გითხრათ, რომ როგორც დეტექტივს, თქვენი რომანების მხატვრული მხარე ისე არ მაინტერესებდა, როგორც ჩადენილი ბოროტმოქმედებების შედეგები. მკვლელობა ხომ საშინელი დანაშაულია! აი, თქვენ კი ცხოვრების, უფრო სწორად, სიკვდილის ამ შეუცნობელ მოვლენას თავისებური ეშხი და ლაზათი შესძინეთ. სწორედ ამიტომ შეგარქვეს მეტსახელად „სასიკვდილო ლახვარი“. არაჩვეულებრივი ოსტატობით აღწერთ ბოროტმოქმედის ტიპს, რომლის მხილებაც აღარავის ძალუძს.

სტუმარი:

/სულ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით/ თქვენი აზრით, ჩემი ნაწარმოებები იმით არის გამორჩეული, რომ ბოროტმოქმედი გამოაშკარავდება, მაგრამ დაუსჯელი რჩება?

ავტორი:

დიახ, ასეა.

სტუმარი:

გეტყობათ, ჩემს რომანებს პოლიციის ოქმებივით კითხულობთ! არა, მე ისინი მკვლელობის ოქმებს უფრო მაგონებს. თქვენი გმირები მკვლელობას სიგიჟის ან აფექტის მდგომარეობაში არ სჩადიან, და, არც სიმდიდრის გულისთვის არ ადგებიან ბოროტების გზას. მათ მძაფრი შეგრძნებები ხიბლავთ, და, ამიტომ მკვლელობა ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებად გადაქცევიათ. მოგეხსენებათ, კრიმინალისტიკა ამგვარ მოტივებს არ სცნობს. მართლმსაჯულება თქვენეული ღრმად მოაზროვნე გმირების ფსიქოლოგიას ვერ ჩასწვდება. საგამოძიებლო ორგანოები ვერ დაინახავენ ბოროტმოქმედებას იქ, სადაც ამ ქმედებებს მოტივაცია არ გააჩნიათ. ჰოდა, თქვენს მიერ აღწერილ ამბებს საზოგადოებრიობა უბედურ შემთხვევებად ან თვითმკვლელობად მიიჩნევს.

ავტორი:

სავსებით ლოგიკურად მსჯელობთ.

სტუმარი:

ასეთ დასკვნებამდე გამოძიების პროცესში მივედი, და, ვითარცა ესპანელი რაინდი დონ... დონ...

ავტორი:

დონ-კიხოტს გულისხმობთ?

სტუმარი:

დიახ, დიახ, დონ-კიხოტს, ასე ხშირად რომ ახსენებთ თქვენს რომანებში. დონ-კიხოტმა რაინდული რომანები სინამდვილედ მიიჩნია და თავგადასავლების ძებნაში გაუდგა გზას... ჰოდა, თქვენი რომანები მეც ჭეშმარიტ ცხოვრებად ჩავთვალე და ამ რაინდივით შევები სიძნელეებს.

ავტორი:

/აღტაცებული/ მშვენიერია! მართლაც რომ შესანიშნავად გიმუშავიათ! /ზარს რეკავს/. სებასტიან! სებასტიან!

მდივანი:

/შემოდის/ რას მიბრძანებს ბატონი კორბესი?

ავტორი:

მოემზადეთ! ალბათ მთელი ღამე მოგიწევს მუშაობა! ჰოფერს

- კი სიგარა შესთავაზეთ, სიამოვნებით გააბოლებს. ბატონო ჩემო, ბრაზილიურს ინებებთ თუ ჰავანურს?
- სტუმარი:** არა, არა, გმადლობთ, ჩვენებური მირჩევნია.
- ავტორი:** ნება თქვენია. სებასტიან, შეგიძლიათ წამოზრდნდეთ. ეს ხანჯალიც თან გაიყოლეთ, ჯერჯერობით არ მჭირდება. როგორც მიზრძანებთ, ბატონო ჩემო! /გადის/.
- სტუმარი:** შემოვედი თუ არა, ეგ ხანჯალი მომხვდა თვალში. მართლაც რომ შესანიშნავი ნივთია; ისეთი ბასრი ჩანს, რომ ერთი წკიპურტი საკმარისია და, კაცს წირვა გამოეყვანილი აქვს.
- ავტორი:** ხომ არ გავაბოლოთ?
- სტუმარი:** კი ბატონო, სიამოვნებით.
- ავტორი:** ბატონო ჰოფერ! მაშ გააბოლეთ ეგ სიგარა და თან მოყოლა განაგრძეთ.
- სტუმარი:** რომ იცოდეთ, როგორ ვიმტვრიე თავი, ვიდრე ამ უჩვეულო დასკვნამდე მივიდოდი! თავდაპირველად შევისწავლე თქვენი რომანი „შეხვედრა უცხოეთში“.
- ავტორი:** დიახ, ეგ ჩემი პირველი რომანია.
- სტუმარი:** და თერთმეტი წლის წინ გამოქვეყნდა.
- ავტორი:** ბოლონიის პრემია სწორედ ამ რომანისთვის მომანიჭეს, მერე კი ჰეტჩუკმა რომანის მიხედვით ფილმიც გადაიღო.
- სტუმარი:** აი, მამაცობაც ამას ჰქვია! თქვენი რომანის გმირი, სქელი, მზით გარუჯული, წვერგაუპარსავი, დიდთავა და მელოტი ფრანგი ავანტიურისტი, ერთი ყოვლად ზნედაცემული პიროვნება გახლავთ. დღენიადაგ მთვრალი დაეხეტება, თუმცა გენიალური კაცია. ერთ მშვენიერ დღეს გაიცნობს, მისივე თქმით, ბრწყინვალე ქალს, გერმანელი ატამეს მეუღლეს, შეიტყუებს რომელიღაც იაფფასიან სასტუმროში და გააუპატიურებს. ამის შემდეგ, ღვინით გამტყვრალი და გონებაარეული, ქალს ჰომეროსისა თუ შექსპირის გმირის ხმით არწმუნებს, თუ სიცოცხლეს ერთდროულად დავამთავრებთ თვითმკვლელობით, იმ წუთებში ორივენი ენით გამოუთქმელ ნეტარებას ვიგრძნობთო. ვნება-აშლილი, აღელვებული ქალი სიყვარულის ექსტაზში იკლავს თავს, თქვენი გმირი კი თავის მოკვლას მალევე გადაიფიქრებს, მშვიდად მოუკიდებს სიგარას და სასეირნოდ მიდის. მერე ერთხანს საეჭვო უზნების ჭუჭყიან ქუჩებში დაეხეტება, იქ ვიღაც თურქ მისიონერს გადააწყდება, რომელსაც კარგად მიბეგვავს, ღარიბ-ღატაკთა დასახმარებლად შეგროვილ ფულს წაართმევს, და, ვიდრე ინათებს, ირანში, ნავთობის სარეწებზე მიემგზავრება. /ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ/ გაზეთ „ციურიპის ამბების“ კორესპოდენტი ამ ნაწარმოებზე წერს: „თუმცა თემა საკმაოდ გაცვეთილია, მაგრამ მწერალმა ლაკონიურობითა და სითამამით ჰემინგუეისაც კი აჯობაო“.
- ავტორი:** /გამხიარულებული/ ძვირფასო ჰოფერ, ამ ამბავთან დაკავშირებით, თურქეთით ხომ არ დაინტერესდით და ამ ქვეყნის შესახებ ინფორმაციების შეგროვება ხომ არ დაიწყეთ?
- სტუმარი:** აბა სხვა რა გზა მქონდა! რაკი რომანში მომხდარი ამბები 1954 წელს ხდება, იმდროინდელი გაზეთები გამოვინერე, მერე კი ერთი თურქი სტუდენტი დავიქირავე, რომელიც ამ მასალებს მითარგმნიდა.
- ავტორი:** რაიმე ახალი თუ შეიტყვეთ?
- სტუმარი:** დიახ, დავადგინე, რომ ვიღაც ქერათმიანმა, მაგრამ უკვე ჭკნობაშეპარულმა ლამაზმანმა, ოღონდ ამჯერად არა გერმანელი,





ავტორი:

არამედ შვედი ატაშეს მეუღლემ, მართლაც მოიკლა თავი რომელიღაც იაფფასიანი სასტუმროს ნომერში. თვითმკვლელობის მიზეზი ვერ დაადგინეს, და, ალბათ ველარც დაადგენენ.

სტუმარი:

სამწუხაროდ, მისი ვინაობაც უცნობი დარჩა. კარისკაცს უთქვამს, გერმანული აქცენტით ლაპარაკობდაო. მერე კი აღმოჩნდა, რომ თურქი მისიონერისთვის ვილაცას მართლაც დაუმტვრევია თავ-პირი. ის საცოდავი ისეთი ნაცემი ყოფილა, რომ თურმე ხმას ვერ იღებდა, ამიტომ გატაცებულ ფულზეც ვერაფერი უთქვამს. მერე ის იყო, თქვენი იმ ნაწარმოების შესწავლა დაიწყო, რომელსაც სათაურად აქვს: „მისტერ იქსი მოწყენილია“.

ავტორი:

ეს ხომ ჩერჩილის საყვარელი წიგნია!

სტუმარი:

დიახ, თქვენი მეორე რომანი გახლავთ, და, ოსტატურადაც არის დაწერილი. მისტერ იქსი, წარსულში მანანწალა, ამჟამად კი სახელგანთქმული მწერალი და ამერიკული პენ-კლუბის პრეზიდენტი, ერთ მშვენიერ დღეს სან-ტროპეზში თექვსმეტი წლის გოგონას შეხვდება და მისი სილამაზით და უმანკოებით მოიხიბლება. ტროპიკული ბუნებით, მოსარკული ზღვითა და მცხუნვარე მზის სხივებით მონუსხულ მისტერ იქსს ველური ჟინი შეიპყრობს და ბოროტმოქმედად აქცევს. ჭექა-ქუხილი, ხახადაღებული ციდან წამოსული ღვართქაფი... ეს ადგილები წიგნში მართლაც რომ შეზარავს მკითხველს. ვფიქრობ, მსგავსი არაფერი დაწერილა. ენა ლაკონიური და შთამბეჭდავია. ბოროტმოქმედზე საყოველთაო ძებნაა გამოცხადებული. ირგვლივ მოტოციკლეტების გრუხუნი და მანქანების სირენების გამკივანი ხმები ისმის... დამნაშავეზე კი ეჭვიც ვერავის მიაქვს. იგი ყველგან სასურველი სტუმარია, ყველა მოხიბლულია მისი პიროვნებით. აბა ვინ იფიქრებს ამ კაცზე რამეს? ის კი არა, მკვლელობის შემდეგ ვილაცის დასაფლავებასაც კი ესწრება, მერე კი ლონდონში მიდის ბაირონის პრემიის მისაღებად. აი, რომანის ფინალი კი ანტიკური ტრაგედიის სიდიადეს უტოლდება.

ავტორი:

/სიცილით/ ბატონო ჰოფერ, მეტისმეტად ხომ არ აზვიადებთ?

სტუმარი:

/ჯიუტად/ არამც და არამც. 1957 წელს სან-ტროპეზში თექვსმეტი წლის ინგლისელი გოგონა რომ მოკლეს, გსმენიათ ეს ამბავი?

ავტორი:

ვინ არის მკვლელი?

სტუმარი:

მისი ვინაობა ვერ დაადგინეს.

ავტორი:

შვედი ქალი ვილამ მოკლა?

სტუმარი:

ვერც ეს ვერ გაიგეს. გამოძიებამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახა.

ავტორი:

აბა, კიდევ რა აღმოაჩინეთ?

სტუმარი:

ნება მიბოძეთ, აი ეს სია გადმოგცეთ. აქ ყველა ის პირია ჩამოთვლილი, რომელთა ბედიც, ჩემი გამოძიების თანახმად, თქვენი რომანების პერსონაჟთა ბედს ემთხვევა.

ავტორი:

ამ საკმაოდ გრძელ სიაში ოცდაორი კაცია.

სტუმარი:

ღრმად პატივცემული ბატონო კორბეს, განა თქვენც ოცდაორი რომანი არა გაქვთ დაწერილი?


ავტორი:

კი მაგრამ, განა ჩემი ყველა გმირი კვდება?

სტუმარი:

დიახ, ასეა. ზოგი თავს იკლავს, ზოგიც უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება; აი თუნდაც გაუპატიურებული ინგლისელი გოგონა გაიხსენეთ...

- ავტორი:** არგენტინელი მულტიმილიონერი ქალის, ჯოანას სახელის გასწვრივ ეს კითხვის ნიშანი რატომღა დასვით?
- სტუმარი:** მართალია თქვენი რომანის – „მკაცრი გულების“ გმირის, მერსედესის ბედი თავიდან ამ ქალის ბედს წააგავს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ თქვენმა გმირმა მერსედესი დაახრჩო, მულტიმილიონერი ქალი კი ოსტენდებში ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა.
- ავტორი:** ჰმ... მართლაც რომ საინტერესო დაკვირვებები გაქვთ!
- სტუმარი:** დიახ, ასეთი გახლავთ ჩემი ათწლიანი მუშაობის შედეგი კრიმინალისტიკაში. ახლა ამ სიას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც მინდა დავუროთ. დიახ, დიდად პატივცემულო ბატონო კორბეს, უნდა შეგახსენოთ, რომ ყველა ეს თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა იქ ხდებოდა, სადაც თქვენ იმყოფებოდით ხოლმე. /ნირნამბდარი/ დიახ, ასეა!
- სტუმარი:** ანკარაში ხომ სწორედ მაშინ ცხოვრობდით, როცა შეეძმა ქალმა თავი მოიკლა? განა ინგლისელი გოგონაც თქვენი სან-ტროპეზში ყოფნის დროს არ დაიღუპა? დიახ, იმ ოცივე ქალაქში იმხანად ბრძანდებოდით, დანარჩენი ოცი კაცი რომ დაიხოცა. რამდენიმე მათგანს შეგახსენებთ. ესენი იყვნენ: ვან ვატენი – დავოსში, გრაფის მეუღლე ვინდიჰგრეცი – ბიარიცეში, ლორდი – ლივერპულში...
- ავტორი:** კი მაგრამ, ბატონო ჰოფერ, ფეხდაფეხ დამდეგდით?
- სტუმარი:** დიახ, იძულებული ვიყავი, თქვენთვის თვალყური ყველგან მედევენებინა, დილეთანტობა რომ არ დაენამებინათ ჩემთვის.
- ავტორი:** მაშასადამე, მხოლოდ ადელბადენში და ბადენ-ბადენში არ ყოფილხართ?!
- სტუმარი:** ვიყავი ყველგან, სადაც კი თქვენ გამოჩნდებოდით ხოლმე.
- ავტორი:** /ცნობისმოყვარეობით/ მერედა, ამდენი მოგზაურობა ძვირი არ გიჯდებოდათ?
- სტუმარი:** რა თქმა უნდა, ეს დიდ ხარჯებს მოითხოვდა და მე საცოდავს, კუდის რიკამდე გამძვრა ტყავი. ისლა დამრჩენოდა, ყოველგვარ ფუფუნებაზე უარი მეთქვა და ხელმომჭირნედ მეცხოვრა.
- ავტორი:** ძვირფასო ჰოფერ, თქვენ ყველაზე საოცარი ადამიანი ბრძანდებით, ვინც კი ოდესმე შემხვედრია.
- სტუმარი:** ჰოდა, ბატონო ჩემო, რა თქმა უნდა იბადება კითხვა: რით შეიძლება აიხსნას ასეთი დამთხვევა სინამდვილეში მომხდარსა და თქვენს რომანებში აღწერილ ამბებს შორის?
- ავტორი:** ეს ხომ საკვებით ბუნებრივია!
- სტუმარი:** /დამაჯერებლად/ მართალი გითხრათ, დიდხანს მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ მერე ნამდვილად დავრწმუნდი, რომ სწორი დასკვნები გამოვიტანე: თქვენს რომანებში ფაქტებია ასახული და ეს ამბები სულაც არ არის ფანტაზიის ნაყოფი! მერე კი ჩემს წინაშე ახალი პრობლემა წამოიჭრა: თუკი უტყუარ ფაქტებს გამოვინაგონ ამბებად ასაღებდით, მაშინ ის თქვენი გმირებიც არ ყოფილან მწერლის წარმოსახვის ნაყოფი. ამიტომაც დადგა დრო, პასუხი გავცეთ ერთ ფრიად მტკივნეულ კითხვას: ვინ იმალება ამ ბოროტმოქმედთა ნილაბქვეშ?
- ავტორი:** მერედა რა გაარკვიეთ?
- სტუმარი:** ჯერ იყო და, იმ მკვლელების დამახასიათებელი ყველა თვისება ერთ ზოგად ნიშნულზე დავიყვანე; ესაა გადაღელილი მკერდი, უზარმაზარი, მელოტი თავის ქალა, მეტყველი და მძვინვარე პირისახე; მერე დავინახე, რომ მკვლელი ყოველთვის შეზარხოშე-





- ავტორი:** გინდათ მითხრათ, რომ მე...
- სტუმარი:** დიახ, თქვენ ოცდაერთი მკვლელობა ჩაიდინეთ.
- ავტორი:** არა, ოცდაორი.
- სტუმარი:** ოცდაერთი-მეთქი ვამბობ, რადგან არგენტინელ მულტიმილიონერ ქალს სათვალავში არ ვაგდებ.
- ავტორი:** დაე ასე იყოს, მაგრამ ოცდაერთ მკვლელობაში ხომ მაინც მდებთ ბრალს?
- სტუმარი:** მინდა გითხრათ, რომ ჩემს დასკვნებს წყალი არ გაუვა. ჰოდა, ახლა ვიცო, რომ მე, ჰოფერი, ჩვენი დროის არა თუ მხოლოდ ყველაზე გამოჩენილი მწერლის, არამედ ყველა დროის უდიდესი ბოროტმოქმედის გვერდით ვზივარ.
- ავტორი:** /ჩაფიქრებული/ მაშ ამბობთ, ოცდაორიო არა..?
- სტუმარი:** /ჯიუტად/ ოცდაერთი-მეთქი.
- ავტორი:** ჰო, ოცდაერთი... ამის გაფიქრებაზეც კი... /პაუზა/
- სტუმარი:** კაცს თმა ყალზე დაუდგება არა, პატივცემულო მაესტრო?
- ავტორი:** /სიცილით/ ძვირფასო ფიურჰტეგოტ ჰოფერ! ბოლოს და ბოლოს მითხარით, რა გინდათ ჩემგან?
- სტუმარი:** რაკი ჩემი გამოძიების შედეგები გაგაცანით, ახლა შემძლია თავისუფლად ამოვისუნთქო. ყოველთვის მზარავდა იმის გაფიქრება, რომ აღსარების სათქმელად თქვენთან მოსვლა მომიწევდა. მაგრამ ვხედავ, კვლავაც თავაზიანად და მეგობრულად მექცევით. ჰოდა, ნება მიბოძეთ ისევ და ისევ შემზარავი გულახდილობით განვაგრძო...
- ავტორი:** დიდად დამავალბეთ.
- სტუმარი:** ჯერ ვიფიქრე, მართლმსაჯულებას გადავცემ-მეთქი.
- ავტორი:** მერე რა მოხდა, გადაიფიქრეთ?
- სტუმარი:** დიახ, პატივცემულო მაესტრო!
- ავტორი:** რატომ?
- სტუმარი:** აი უკვე ათი წელია გაკვირდებით, და, დავრწმუნდი, რა გულწრფელად გიტაცებდათ თქვენი საქმიანობა, რა ჭკვიანურად ირჩევდით მსხვერპლს და რა შესაშური გულგრილობით ახორციელებდით თქვენს ჩანაფიქრს!
- ავტორი:** და ყოველთვის აღტაცებული იყავით ჩემი საქციელით, არა?
- სტუმარი:** დიახ, ენით ვერ გამომიტყვამს ჩემი აღტაცება.
- ავტორი:** რას უფრო აფასებთ ჩემში, მკვლელს თუ მწერალს?
- სტუმარი:** ერთსაც და მეორესაც. დიახ, რაც უფრო ვცდილობდი თქვენს დანაშაულებრივ აზრებში შემოჭრას, მით უფრო მეტად მოცუბდა თქვენი შემოქმედების ყველა წვრილმანი. ჰოდა, გადავწყვიტე, საკუთარი თავი მსხვერპლად მოვუტანო თქვენს შემოქმედებას.
- ავტორი:** რა ჩაიფიქრეთ?
- სტუმარი:** /გულში ჩამწვდომი ხმით, ჩუმად/ მზად ვარ, უარი ვთქვა იმ უდიდეს ადამიანურ ბედნიერებაზე, სახელი და დიდება რომ ჰქვია. მაშ გადანყვიტეთ, არ მამხილოთ?
- ავტორი:** დიახ, ასე გადავწყვიტე.
- ავტორი:** ჩემგან სამაგიეროდ რას მოითხოვთ?
- სტუმარი:** მინდა ჩემი მოკლე აღსარება მოისმინოთ.
- ავტორი:** ბრძანეთ!
- სტუმარი:** დიახ, გავკოტრდი, მას შემდეგ, რაც მთელი ქონება ამ ჩემს

- გატაცებას შევალე. ახლა მდიდრულ კურორტებზეც ველარ დავდივარ და საერთოდ ვცხოვრობ ისე, გამოცდილ კრიმინალისტს რომ არ ეკადრება; იძულებული ვარ, ხელმოცარული და-ვბრუნდე ენტვილში, ჰორკთან, მის წინაშე თავი დავიმცირო და მონყალევა ვთხოვო, თუ თქვენ... /შემკრთალი/
- ავტორი:** განაგრძეთ!
- სტუმარი:** დიახ, თუ თქვენ მცირე თანხას არ დამიმატებთ იმ პენსიაზე, ჰორკმა რომ დამინიშნა. პატივცემულო ბატონო კორბეს! ექვსასი ან შვიდასი შვეიცარიული ფრანკი სრულიად საკმარისი იქნება, რათა მომავალშიც შევძლო და უჩინრად მივიღო მონაწილეობა თქვენს ცხოვრებაში, როგორც თქვენმა თაყვანისმცემელმა და თანამოაზრემ /სიჩუმე/.
- ავტორი:** ჩემო ძვირფასო ჰოფერ! ვგონებ, დადგა დრო, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, შემზარავი გულახდილობით მოგახსენოთ ჩემი სათქმელი. ეჭვგარეშეა, თანამედროვეობის უდიდესი დეტექტივი ბრძანდებით, თქვენს მახვილ თვალს არაფერი გამოეპარება და კრიმინალისტის უცდომელი ალლოც გაგაჩნიათ; ვალიარებ... /სიჩუმე/
- სტუმარი:** მაშ, მნებდებით?
- ავტორი:** დიახ, ასეა.
- სტუმარი:** შვედი ქალის ამბავი ხომ მართალია?
- ავტორი:** მართალია.
- სტუმარი:** ინგლისელ გოგონაზე რას იტყვით?
- ავტორი:** ეგეც მართალია.
- სტუმარი:** არც გრაფის მეუღლეს ვინდიჰგრეცის მკვლელობას არ უარყოფთ?
- ავტორი:** მაგასაც გიდასტურებთ და არგენტინელი მულტიმილიონერი ქალის ამბავსაც.
- სტუმარი:** ვნუხვარ, მაგრამ მულტიმილიონერი ხომ სიიდან ამოვიღე?!
- ავტორი:** ბატონო ჰოფერ...
- სტუმარი:** პატივცემული მაცეტრო, ჩემზე უკეთ იცით, რა მზაკვრულად დაიძვრინეთ თავი ამ საქმიდან.
- ავტორი:** კარგი, მულტიმილიონერ ქალს შევეშვათ.
- სტუმარი:** დანარჩენ ოცდაერთ მკვლელობას ხომ აღიარებთ?
- ავტორი:** ოცდაერთი იყოს. არ მინდა სიძუნწე დამწამოთ /სიჩუმე/.
- სტუმარი:** /დაფიქრებული/ ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე საზეიმო წუთია!
- ავტორი:** ეს მართლაც ასეა, ოღონდ სულ სხვა მნიშვნელობით, ვიდრე თქვენ გგონიათ /საძინებელი ოთახიდან გამოვარდება დაბნეული ახალგაზრდა ქალი/.
- ქალი:** /თან გარბის/ მაქსიმილიან, მამასთან მაგვიანდება /გაუჩინარდება/.
- სტუმარი:** ეს მომხიბვლელი გოგონა, ახლა რომ გაირბინა, თუ არ ვცდები, იმ ინგლისელი პოლკოვნიკის ქალიშვილი უნდა იყოს, აქვე, თქვენ მეზობლად რომ ცხოვრობს!
- ავტორი:** სწორედ ის გახლავთ.
- სტუმარი:** მორიგი მსხვერპლია?
- ავტორი:** ვეჭვობ. ვფიქრობ, ჩემი მორიგი მსხვერპლი ვინმე სხვა იქნება. ბატონო ჰოფერ, მართალია, გამოძიება გულდასმით ჩაატარეთ, მაგრამ დიდი შეცდომა დაუშვიტ, როდესაც გულწრფელად გამანდეთ ჩემი პირადი ცხოვრების ყველა წვრილმანი. ნუთუ არ გიფიქრიათ, რომ თქვენი ამგვარი საქციელით თავს საფრთხეში იგდებდით?





სტუმარი: ამით იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ მოკვლას მიპირებთ?

ავტორი: დიახ, სწორედ ასეა.

სტუმარი: პატივცემულო ბატონო კორბეს! რა თქმა უნდა, მე წინასწარ ავწონ-დავწონე ყველაფერი და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომებიც მივიღე. როგორც იცით, თქვენს ზემოთ ამერიკელი მსახიობი ქალი ცხოვრობს; მეზობელ ნომრებს კი ინგლისელი პოლკოვნიკი და კომერანსტის მეუღლე ქირაობენ.

ავტორი: გეშლებათ, ეგ ქალი ჰერცოგის ქვრივია.

სტუმარი: მოუტყუებიახართ. დანამდვილებით ვიცი, რომ მაგ ქალის ქმარი ჟენევაში ერთ-ერთი ფირმის მეპატრონე იყო. აი, თქვენს ქვევით კი ჭლეპით დაავადებული ერცჰერცოგი ფონ ჰერნოვიცი ცხოვრობს. საკმარისია, ერთი დავიყვირო, და, მთელი ქვეყანა დიდი სკანდალის მონმე გახდება. ისე, რომ ჩემს მოკვლას მხოლოდ უხმაუროდ, აი მაგალითად, საწამლავით თუ შესძლებთ.

ავტორი: მიგიხვდით! ვისკის დაღევაზე უარი ამიტომაც თქვით, არა?

სტუმარი: სწორედ ამიტომ. ძალიან კი გამიძნელდა, რადგან ვისკიზე ვგიჟდები.

ავტორი: სიგარის მონევაც ამიტომ არ მოინდომეთ?

სტუმარი: აბა ცნობილი ტენორი ლორენცი გაიხსენეთ! ის ხომ საიქიოს საგანგებო ჰავანური სიგარით გაისტუმრეთ, ინდური შხამით რომ იყო გაჟღენთილი; რომანს კი „ჰავანური სიგარის საიდუმლოება“ დაარქვით.

ავტორი: ჩემო ძვირფასო ჰოფერ! ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ ლორენცი კი არა, ენტვილიდან ჩამოსული ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ხართ.

სტუმარი: როგორ გეტყობათ, ჩვენს სოფელს ჯეროვნად რომ არ აფასებთ! არადა, ენტვილის მკვიდრნი გულდაგულ ადევნებენ თვალყურს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და ერთობ კულტურული ცხოვრებით ცხოვრობენ.

ავტორი: მე კი ვფიქრობ, რომ ეგ კულტურული სოფელი სადღაც მთვარეზე უნდა მდებარეობდეს, თორემ ნამდვილად გეცოდინებოდათ, რა ამაოდ დაშვრით, როდესაც ამ უაზრო საგამომძიებლო საქმიანობას მოკიდეთ ხელი და იმის დამტკიცებას შეეცადეთ, რასაც არავითარი მტკიცებულება არ სჭირდება/ისხამს ვისკის. სიჩუმე/.

სტუმარი: /შეძრწუნებული/ მაშ თქვენ ამბობთ...

ავტორი: დიახ, მე ვამბობ, რომ თქვენი საიდუმლო საქმიანობის შესახებ დიდი ხანია იცის მთელმა ქვეყანამ.

სტუმარი: /მოთმინებადაკარგული/ არამც და არამც! ყველა გაზეთი გულდასმით მაქვს შესწავლილი.

ავტორი: ჰოფერ, ამჟამად სიმართლეს მხოლოდ ყვითელ პრესაში, ჭორების განყოფილებაში თუ ამოიკითხავთ; ყველა ჟურნალ-გაზეთი ჩემი თავგადასავლებითაა აჭრებული. ჩემი მკითხველები სრულიად დარწმუნებული არიან, რომ ამ ბოროტმოქმედებებში ჩემი ხელი ურევია. როგორ გგონიათ, ასე რომ არ იყოს, ამდენი მკითხველი მეყოლებოდა?

სტუმარი: კი მაგრამ, პატივცემულო მაესტრო...

ავტორი: კორბეს.

სტუმარი: დიახ, პატივცემულო ბატონო კორბეს! თუკი ეს მართალია, კარგა ხანია ციხეში უნდა იჯდეთ!

ავტორი: ვითომ რატომ?

სტუმარი: /დაბნეული/ იმიტომ, რომ ბოროტმოქმედი ბრძანდებით... ამდენი მკვლელობა...

ავტორი: მერე რა? საყოველთაო მორალის თვალსაზრისით, ჩვენ უკვე კარგა ხანია ურჩხულები ვართ. თუკი წინათ მთელ მსოფლიოს აღაშფოთებდა ამგვარი ამბები, ახლა სწორედ იმითაა აღფრთოვანებული, რომ ურჩხულებად გადავიქცეთ. საზოგადოება არათუ მართო აღიარებს ჩვენს არსებობას, არამედ ინტერესითაც ეცნობა ჩვენს თავგადასავლებს. აბა შეხედეთ, ამ წერილების გროვას. მათი ავტორები მაღალი წრის ქალბატონები, სახელმწიფო მოხელეების ცოლები და შინამოსამსახურეები არიან. ყოველი მათგანი ოცნებობს, ჩემი რომანის გმირი გახდეს და მსხვერპლის როლში აღმოჩნდეს.

სტუმარი: იცით, თავი სიზმარში მგონია...

ავტორი: მაშინ სასწრაფოდ გამოფხიზლდით! ახლა მხოლოდ კრიტიკოსებსღა ჰგონიათ, თითქოს მწერალი ნაწარმოების ფორმაზე და სტილზე მუშაობს. სინამდვილეში ჭეშმარიტი ლიტერატურა აღარავის აღარ აინტერესებს. იგი მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ მკითხველს გუნდრუკი უკმის, ეს უკანასკნელი კი აღარც ახალ ფორმებს დაგიდევთ არაფრად და აღარც ლექსიკურ ექსპერიმენტებს; მას ნაკლებად აინტერესებს ამ სფეროში მიღწეული წარმატებები. დიახ, ლიტერატურა იმ ნარკოტიკად გადაიქცა, ცხოვრებას რომ შენაცვლებია. ასეთი ცხოვრების დასახატად კი მწერალი, სამწუხაროდ, თავად უნდა გახდეს იმ ამბების მონაწილე, რომელზეც მკითხველს მოუთხრობს; მერე კი, რაც დრო გადის და ხანში შედის, მერწმუნეთ, მწერალს ცხოვრება ბეზრდება, რადგან ყველაფერი უკვე მოყირჭებული აქვს /კარის ზღურბლზე ახლა მეორე ახალგაზრდა ქალი გამოჩნდება/.

მეორე ქალი: მაქსიმელიან კორბეს!

ავტორი: გაეთრიე აქედან! /მეორე ქალი გადის/ ეს ის ამერიკელი კინოვარსკვლავია, ჩემს ზემოთ რომ ცხოვრობს. /ცოტა ხანში განაგრძობს/ ახალგაზრდობაში საკუთარი თავის მიმართ ერთობ მომთხოვნი ვიყავი და საკუთარი წერის სტილს დიდ ყურადღებას ვაქცევდი. იმხნად არავინ არაფრად მაგდებდა და მხოლოდ ერთი-ორი არცთუ ცნობილი გამომცემელი მიყურებდა მოწყალე თვალით, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო. ერთ დღეს გადავწყვიტე, უარი მეთქვა ლიტერატურაზე და უზრუნველი ცხოვრების იმედით შეპყრობილი, ირანის ნავთობის სარეზერვუარზე წავედი. ბედმა აქაც მიმტყუნა. სხვა გზა არ მქონდა, საკუთარი თავგადასავლების აღწერა უნდა დამეწყო. თავიდან მეგონა, რომ სასამართლოში მიმცემდნენ, მაგრამ პირველი ადამიანი, ვინც წარმატება მომილოცა და მადლობის ნიშნად კარგა მოზრდილი თანხაც გადმომცა, შვედეთის ატაშე იყო. მის ცოლთან გაჩაღებულმა რომანმა პირველი საქვეყნო წარმატება მომიტანა. აი, ასე იყო საქმე! ვისკიზე ხომ ჭკუას კარგავთ! ჰოდა, დაისხით და დალიეთ!

სტუმარი: არა, არ მინდა... არ ვიცი რა მემართება... არა...

ავტორი: როდესაც მივხვდი, რას მოითხოვდნენ ჩემგან, საკუთარ თავგადასავლებზე დავიწყე წერა. ყოველგვარ სტილზე ხელი ავიდევ და რომანებს ალაღბებდვით ვაცხოვდები. მალე სახელიც გავითქვი; რაკი დიდება და პატივი მოვიპოვე, ახლა უკვე შემეძლო, თავშეკავებულად მეცხოვრა, რადგან თავად მკითხველის სურ-





ვილი იყო, ბინძური და უხამსი თავგადასვლების მონაწილედ ვეხილე, და, ჩემთან ერთად ეგემა ყოველგვარი აკრძალული ხილი. ასე ჩამითრია მასობრივმა მკვლელობებმა. მოვლენები ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს. მერე ის იყო, ვატიკანმა ჩემი ნაწარმოებები აკრძალული წიგნების სიაში შეიტანა და მათ გადადგურებას შეეცადა; მაგრამ ამის წყალობით ტირაჟები მხოლოდ გაიზარდა. ჩემო კარგო! თქვენ კი მოდიხართ და მსაყვედურობთ, ამ წიგნებში ნამდვილ ამბებს აღწერთო. რა სასაცილო ხართ! ამქვეყნად არ არსებობს კანონი, ჩემს დასჯას რომ შესძლებდა, რადგან ადამიანებს თავიანთ წარმოსახვაში ასეთად სურთ ჩემი ხილვა. ნუთუ არ იცით, რომ გიჟად შერაცხეს ყველა, ვინც კი ჩემთან დაპირისპირებას შეეცადა? ჰოდა, თქვენც იგივე ბედი გელით. ან იქნებ გგონიათ, ამ საქმეში პირველი ხართ? შურისძიებით შეპყრობილ რამდენ დედას, ცოლს ან ქმარს მიუღმართავს მართლმსაჯულებისთვის, მაგრამ ამაოდ; ყველა სამართლო პროცესის შემდეგ ჩემს წიგნებზე მოთხოვნილება მხოლოდ და მხოლოდ იზრდებოდა. თვით პრეზიდენტებიც კი მილოცავდნენ წარმატებებს. ყველა, ვინც კი შეეცდებოდა, სამართლოში აღედრა საქმე, გაბითურებული რჩებოდა. თქვენ კი ჩერჩეტი ყოფილხართ, ბატონო ფიურჰტეგოტ ჰოფერ! არ გეპატიებათ, დანაზოგი ფული ასე სულელურად რომ გაატანეთ ქარს. არ იფიქროთ, რომ ხარჯებს აგინაზღაურებთ! ის კი არა, ახლა მოემზადეთ, იყვირეთ და შველა ითხოვეთ!

სტუმარი: /შეშინებული/ შველა ვითხოვო? კი მაგრამ, რატომ?

ავტორი: სასწრაფოდ ახალი მასალა მჭირდება.

სტუმარი: მერედა მე რა შუაში ვარ?

ავტორი: მინდა იცოდეთ, რომ ეს ახალი მასალა ახლა თქვენ ბრძანდებით.

სტუმარი: რას მიპირებთ?

ავტორი: დრო აღარ ითმენს, საქმეს უნდა შევუდგე.

სტუმარი: /თავზარდაცემული/ რატომ ამოიღეთ პისტოლეტი?

ავტორი: არა, თქვენს მოკვლას პისტოლეტით ნამდვილად არ ვაპირებ; ჩემი კალმით უნდა მოგილო ბოლო; ახლა მაინც მიხვდით, რა გელით?

სტუმარი: გეფიცებით, რაც კი რამ წმინდა გამაჩნია, ახლავე გავეცლები აქაურობას და ენტილში დავბრუნდები...

ავტორი: არა, ეს-ესაა ახალი პიესისთვის ისეთი სიუჟეტი მომანოდეთ, რომ უთუოდ უნდა მოკვდეთ. განა თვითონვე არ მითხარით, ფანტაზია არ გაგაჩნიათ და მხოლოდ იმას აღწერთ, რასაც თქვენი თვალთ ხედავთ და აღიქვამთ? დიახ, დიახ, ფიურჰტეგოტ ჰოფერ, ჩემი კალმის წყალობით თქვენ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შეხვალთ; მალე მილიონობით ადამიანი გახდება მონმე იმისა, აკანკალებული როგორ იდექით ჩემს წინაშე.

სტუმარი: მიშველეთ!

ავტორი: აი, ხედავთ? მოვარდა ვინმე თქვენს საშველად? აბა სად არის ის თქვენი ინგლისელი პოლკოვნიკი? ან ცნობილი კინოვარსკვლავი და ერცჰერცოგი ჰერნოვიცი რატომ არ ჩანან?

სტუმარი: თქვენ სატანა ხართ!

ავტორი: არა, გეშლებათ, მე მწერალი ვარ. რადიოპიესა, რომელშიც თქვენს სიკვდილს აღწერ, ეთერში გადაიცემა. ხომ არ გგონიათ, დიდად მსიამოვნებს ამბავი?! ღმერთია მონმე, მერჩივნა ლუდი დაგველია ერთად, მერე კი ერთი ხელი კეგლი გვეთამაშა. ახლა კი რა? მთელი ღამე თქვენი სიკვდილის აღწერას უნდა მო-

- ვუნდე.
- სტუმარი:** მაპატიეთ, პატივცემულო ბატონო კორბეს! გაფიცებთ ყველაფერს, შემობრალეთ!
- ავტორი:** კალმის ოსტატმა არ იცის, რა არის შებრალება!
- სტუმარი:** /შიშისგან გონებაარეული აივნისკენ გარბის/ მიშველეთ!
- ავტორი:** /ხმამალლა/ ჩემი ოცდამესამე მსხვერპლი თქვენ იქნებით!
- სტუმარი:** /აივნიდან/ ოცდამეორე! /მოგუდული ხმით ყვირის/ მიშველეთ! /სიჩუმე/
- ავტორი:** აი შტერი...
- მდივანი:** /შემოდის/ ბატონო კორბეს, რა მოხდა?
- ავტორი:** სტუმარი აივნიდან გადახტა, სებასტიან. უეცრად საშინელმა შიშმა აიტანა... ვერ მივხვდი, რატომ? აი, სასტუმროს მეპატრონეც მოსულა.
- სასტუმროს მეპატრონე:** დიდად პატივცემულო ბატონო კორბეს! აღარ ვიცი, რა ვიღონო. რა მეშველება... ვილაც გიჟი შემოპარულა თქვენთან და... აი ახლა ერთიანად დამტვრეული, ბაღში გდია... კარისკაცმა მაშინვე შენიშნა, რომ სრულ ჭკუაზე არ იყო ეგ უბედური... ღმერთო, რა ბედი გვექონია, რომ ვინმეს თავზე არ დაეცა და მხოლოდ ვარდები გადათელა.
- ავტორი:** აღარ შემანუხოთ!
- სასტუმროს მეპატრონე:** რა თქმა უნდა, ბატონო ჩემო.
- ავტორი:** აბა, შევეუდგეთ საქმეს, სებასტიან. ვიდრე დავიწყებდეთ, ერთ სიგარეტს გავაბოლებ. თუ შეიძლება, მომიკიდეთ! /მდივანი იღებს პისტოლეტის ფორმის სანთებელას და უკიდებს/. გმადლობთ. იოზეფლიობადებში ჩვენი მისია დასრულებულია. უნდა ვიჩქაროთ. ხვალ დილით ჩემოდნებს ჩავალაგებთ და მალიორკაზე გავემგზავრებით.
- მდივანი:** მალიორკაზე?
- ავტორი:** დიახ, ხმელთაშუა ზღვის ჰავა ძალიან მოგიხდებათ. ახლა კი მოემზადეთ!
- მდივანი:** დიახ, ბატონო ჩემო!
- ავტორი:** გასამხნეველად ბარემ ცოტა ვისკიც დამისხით!
- მდივანი:** ინებეთ, ბატონო ჩემო.
- ავტორი:** მაშ ასე, ვინც კარნახს: „პატივცემულო მსმენელებო! უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, აგინეროთ ადგილი, სადღაც გათამაშდა ეს, ცოტა არ იყოს, უჩვეულო, მაგრამ გეფიცებით, სავსებით უტყუარი ამბავი. კაცი ყოველთვის ღელავს ხოლმე, როდესაც რაიმეს გულწრფელად ყვება თავის თავზე. ეჭვი არ მეპარება, რომ მსგავსი ამბები არ მხოლოდ პოლიციას, არამედ პროკურატურასაც დააინტერესებს. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები, მოგიყვეთ ეს უტყუარი ამბავი, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, არავინ დამიჯერებს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად მოხდა...“

გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა



რეპორტაჟი

LIB.GE-სა და „როკ კლუბის“ არტ სალამოება



ფოტოზი კატო ჯავახიშვილი
და ნინო სადლობელაშვილი



ფოტოზი პანჩო

„თუკი სადმე შეუძლებელი იყო ჩვენი წარმოდგენა, სწორედ ეს არის ის ადგილი – „როკ კლუბი“, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი მომხიბვლელობა. ცხოვრება, ხელოვნება, რაღაც დონეზე, თამაშია. ზოგჯერ ჩვენ ჩვენს თავებს დროებით ვუშვებთ წარმოდგენელ ადგილებში და შემდეგ ისევ უკან ვბრუნდებით. დღევანდელ სალამოსაც ვუძღვნი თამაშს, ოღონდ ნამდვილ თამაშს და არა ყალბსა და იმიტირებულს“, – ამ სიტყვებით მიესალმა პოეტი **ნინო სადლობელაშვილი**, მისი, **კატო ჯავახიშვილისა** და მომღერალ **პანჩოს** ერთობლივ არტ სალამოზე დასასწრებად „როკ კლუბში“ შეკრებილ საზოგადოებას.

მუსიკისა და პოეზიის სინთეზი და ამ სახით მაყურებლისთვის მიწოდება – ეს იყო ელექტრონული ბიბლიოთეკა lib.ge-სა და „როკ კლუბის“ მესვეურთა მთავარი მიზანი, როდესაც ახალ პროექტზე იწყებდნენ მუშაობას. დღეს კი, როდესაც კატო ჯავახიშვილის, ნინო სადლობელაშვილისა და პანჩოს მონაწილეობით უკვე მეშვიდე არტ სალამო გაიმართა, პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი **გიორგი კეკელიძე** ერთგვარ რეზიუმეს უკეთებს განვლილ სალამოებს და აცხადებს, რომ პროექტმა გაამართლა.

აქვე გთავაზობთ განვლილი სალამოების მოკლე მიმოხილვას:

დავით ჩიხლაძე/გვანცა რეხვიაშვილი – გია ნიკოლაძე/ირაკლი ქოიავა;

პაატა შამუგია – ჯგუფი „ეკო და პარალელური თაობა“;

კატო – ლევან ქუთათელაძე/ალეკო კაჭარავა;

ნენე კვინიკაძე – თომა ჩალაძე;

ზაზა კოშკაძე/ხვიჩა ყალიბეგაშვილი – გიგა რეხვიაშვილი/ნეკა ბაღდაძე;

დავით ქაშიაშვილი – რობი კუხიანიძე.

პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, „როკ კლუბის“ წარმომადგენელი **ეკა ლემონჯავა**: „აღნიშნული არტ სალამოები საინტერესოა იმით, რომ აქ მონაწილეობის მიღების საშუალება ეძლევათ როგორც ცნობილ, ისე ნაკლებად ცნობილ შემოქმედებს. სიახლე და ძალიან მნიშვნელოვანი პრეცედენტი კი არის ის, რომ სალამოებზე გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხის 70% მონაწილეებს გადაეცემათ“.

„ძალიან მიყვარს თითოეული ადამიანი, რომელიც მისმენს, რომელიც კითხულობს ჩემს პოეზიას, და თუკი მოხდა ისე, რომ მათ თუნდაც ერთი ხორბლის მარცვლისხელა ეტკინებათ იმის, რაც ჩემშია და რასაც გადმოვცემ, ეს ნიშნავს, რომ უკვე რაღაც შედგა“, – თქვა პოეტმა კატო ჯავახიშვილმა.

მეშვიდე არტ სალამო ემოციური და საინტერესო ექსპრომტით – მომღერალ **ნინო ბაშარულისა** და პანჩოს შესრულებული დუეტით დასრულდა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა lib.ge და „როკ კლუბი“ ტრადიციულად, ყოველ ხუთშაბათს, კვლავაც მრავალფეროვან სალამოებს გვპირდებიან.

ნიგნები

„ინტელექტი“ გთავაზობთ

ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი

შემდგენლები: ნასიბ ნასიბოვი, ვენერა ჯანგიძე,
სულეიმან სულეიმანოვი

ახლადგამოცემულ ქართულ-აზერბაიჯანულ ლექსიკონში 22 ათასი სიტყვაა შესული. იგი გათვალისწინებულია ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული ყველა აზერბაიჯანელისათვის, ვინც სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს ქართულ ენას. ლექსიკონი სამსახურს გაუწევს აგრეთვე თურქოლოგიური განყოფილების სტუდენტებს და ყველა ქართველს, რომელსაც აზერბაიჯანული ენის შესწავლა სურს.

ლექსიკონში შესულია როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, აქტიური სიტყვები, ასევე ინტერნაციონალური სიტყვებიც, რადგან ხშირ შემთხვევაში ინტერნაციონალიზმები ქართულსა და აზერბაიჯანულში ერთგვარაფერულად განსხვავდება.

ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი ამ წიგნის სახით პირველად გამოიცა და გამომცემლობის ახალ სერიას – „ინტელექტის ლექსიკონსაც“ ჩაუყარა საფუძველი.

ჯონ გოლზვორთი

ფორსაიტების ხსნა

„ნობელის პრემიის ლაურეატების“ სერიით ახალი ტომი გამოიცა. ნოველა „ფორსაიტების ხსნასთან“ ერთად, რომელიც ჯონ გოლზვორთის სახელგანთქმული ეპოპეის – „ფორსაიტების საგის“ დასაწყისი აღმოჩნდა, კრებულში რამდენიმე მოთხრობაა შესული. ყველა მათგანი ნობელიანტი მწერლის მოთხრობების კრებულიდან – „ქარავანიდანაა“ ამოკრეფილი. ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე გამყრელიძემ.

„არტანუჯი“ გთავაზობთ


გრიგოლ რობაქიძე

„მუსოლინი“

გამომცემლობა „არტანუჯი“ წარმოგიდგენთ გრიგოლ რობაქიძის „მუსოლინს“ წიგნის სახით პირველად ქართულ ენაზე.

თავის დროზე ამ წიგნმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს არ იყო მხოლოდ ბიოგრაფიული ნარკვევი, არამედ იყო „არსის ხატი“. მწერალი ჯერ საბჭოთა კავშირში, მოგვიანებით კი ევროპაში დაემგზავნა. მასთან ურთიერთობას გაურბოდნენ გამომცემლები, თავს არიდებდნენ კოლეგები. „მუსოლინის“ გერმანული ტექსტი ქართული ენის „სამყაროსეული სურათებით“ აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა.



საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ვლადიმერ პერანიძე
ბადრი ტალახაძე
მართა წიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

ფაქსი: 25-05-22, 91-22-83

www.intelekti.ge info@intelekti.ge

რედაქტორი: 8(99) 90-37-22